თბილისის თავისუფალი აკადემია

2023

© ყველა უფლება დაცულია “თბილისის თავისუფალი აკადემია“

ჟურნალი „აკადემლაბი“2023

ჟურნალი დაიბეჭდა “ბარტონი“

ISSN 2720-7811

თბილისის თავისუფალი აკადემია

FREE ACADEMY OF TBILISI

საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

“აკადემლაბი“ N3

International Refereed Scientific Journal

“Academlab“ N3

2023

თბილისის თავისუფალი აკადემიის

რექტორი

სამართლის დოქტორი

პროფესორი

სალომე ოქროფერი

2023 წლის 07 დეკემბერს თბილისის თავისუფალ აკადემიაში რიგით XXIV - ე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდება.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროცესებში მაქსიმალური ჩართულობა, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება თბილისის თავისუფალი აკადემიის ძირითადი კონცეფციაა.

მოხარული ვარ, რადგან რექტორის რანგში მეოთხედ მაქვს შესაძლებლობა ვუხელმძღვანელო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას, ვიყო სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე და მქონდეს საშუალება მონაწილე ვიყო იმ უნიკალური საგანმანათლებლო გამოცდილების შექმნის პროცესში, რომელსაც ქმნის თბილისის თავისუფალი აკადემიის საუნივერსიტეტო საზოგადოება.

მნიშვნელოვანია რომ უნივერსიტეტმა შექმნას ისეთი საგანმანათლებლო სივრცე, სადაც თითოეული სტუდენტი შეძლებს თვითრეალიზებას, მაქსიმალური ცოდნის მიღებას და შემდგომ მის გამოყენებას. უნივერსიტეტის საქმიანობა უნდა შედგებოდეს რამოდენიმე ძირითადი კომპონენტისაგან: პირველი - უნივერსიტეტი უნდა იდგეს სტუდენტების სადარაჯოზე, ანუ ემსახურებოდეს სტუდენტებს. მეორე - უნივერსიტეტი უნდა იყოს მუდმივი განახლების და ინოვაციების ძებნის პროცესში და მესამე - უნდა ქმნიდეს უნიკალურ საგანმანათლებლო შესაძლებლობას და პრეცედენტულ ქეისებს თავის საქმიანობაში. სწორედ ასეთ სტრუქტურას მიჰყვება თბილისის თავისუფალი აკადემია და ვფიქრობ, რომ ეს გამოარჩევს მას სხვა უმაღლესი დაწესებულებებისაგან.

ჩემი გუნდი მუდმივ რეჟიმში ინარჩუნებს ხარისხის კულტურას, ქმნის შრომისა და განათლების ბაზრის შესატყვის საგანმანათლებლო პროგრამებს, უწყვეტად ახორციელებს აკადემიის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, ზრუნავს აკადემიის სტუდენტების დასაქმებაზე, ახდენს უკიდურესად კონკურენტულ გარემოში სათანადო პოზიციონირებას და მუდმივად ინარჩუნებს კორპორატიული კულტურის მდგრადობას.

დაბოლოს, XXIII - ე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია კიდევ ერთი ახალი გამოცდილება იქნება ინოვაციების ძებნის პროცესში, რამეთუ კონფერენციის მონაწილე პირები მოახდენენ საკუთარი გამოცდილების გაზიარებას, კვლევით პროცესში მიღებული შედეგების ანალიზს, რაც საბოლოოდ მოგვცემს შესაძლებლობას სიახლეები გამოვიყენოთ ჩვენს სამომავლო საქმიანობაში.

Rector of

Free Academy of Tbilisi

Professor

Salome Pirvely

On December 07, 2023, the XXIV International Scientific Conference will be held at the Free Academy of Tbilisi.

Maximum involvement of academic staff in scientific processes, cooperation with international partners, sharing of international experience, planning and implementation of joint projects is the main concept of the Free Academy of Tbilisi.

I am happy, as for the fourth time as rector I have the opportunity to lead an international scientific conference, to be the chairwomen of the editorial board and to have the opportunity to participate in the creation of the unique educational experience worked out the university community of the Free Academy of Tbilisi.

It is important for the university to create such an educational space where each student will be able to self-realize, gain maximum knowledge and use it further. The activity of the university should consist of several main components: first - the university should stand on the guard of students, that is, serve students. Second - the university must be in the process of constant renewal, it must be in the process of searching for innovations, and third - it must create a unique educational opportunity and precedent cases in its activities. This is the structure that the Free Academy of Tbilisi follows, and I think that this distinguishes it from other higher institutions.

My team constantly maintains a culture of quality, creates educational programs matching the labor and education markets, continuously improves the qualification of the academy's academic staff, takes care of the employment of the academy's students, positions itself in an extremely competitive environment, and constantly maintains the sustainability of the corporate culture.

And finally, the XXIII International Scientific Conference will be another new experience in the process of searching for innovations, as the participants of the conference will share their experiences, analyze the results obtained in the research process, which will finally give us the opportunity to use innovations in our future activities.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული

მთავარი რედაქტორი:
სალომე პირველი - თბილისის თავისუფალი აკადემიის რექტორი, სამართლის მეცნიერებათა დოქტორი.

მთავარი რედაქტორის მოადგილე:

ეთერ ხარაიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

გულნაზ ერქომაიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

მარინე კობალავა - თბილისის თავისუფალი აკადემიის ვიცე რექტორი;

ეკატერინე ლაფაჩი - თბილისის თავისუფალი აკადემიის პროფესორი

ტექნიკური რედაქტორი:
მარიამ სიხარულიძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი.

გრაფიკული დიზაინერი:
სოფიკო ალფაიძე.

სარედაქციო კოლეგია:
მარინა გუნარე - ბალტიის საერთაშორისო აკადემიის ასოცირებული პროფესორი (ლატვია);

ლიუდმილა შიმანოვსკაია - პოლტავას ეკონომიკისა და კომერციის უნივერსიტეტის სრული პროფესორი (უკრაინა);

დარპან პრაშერ - თბილისის თავისუფალი აკადემიის რექტორის მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების საკითხებში;

ანზორ აბრალავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო);

ანჟელა აბულაძე - თბილისის თავისუფალი აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი (საქართველო);

მაია ვასაძე - თბილისის თავისუფალი აკადემიის ბინესის ადმინისტრირებისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილე, ასისტენტ პროფესორი (საქართველო).

© ყველა უფლება დაცულია “თბილისის თავისუფალი აკადემია“ 2023

საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „აკადემლაბი“, გამოიცემა წელიწადში ერთხელ. აღნიშნულ ჟურნალში წარმოდგენილი იქნება საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წამყვანი მეცნიერების და სპეციალისტების კვლევები და პრაქტიკული მუშაობის შედეგები.
ჟურნალი დაიბეჭდა “ბარტონი“

PROCEEDINGS OF THE INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

Editor-in-Chief:

Salome Pirvely – Free Academy of Tbilisi, Rector.

Deputy Editor-in-Chief:

Eter Kharaishvili - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor;

Guliko Erkomaishvili - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor;

Marine Kobalava - Free Academy of Tbilisi, Vice Rector;
Ekaterine Chinchaladze - Academic Doctor of Psychology;

Ekaterine Lapachi - Professor of Free Academy of Tbilsi.

Technical Editor:

Mariam Sikharulidze - Head of Public Relations.

Graphic designer:

Sopiko Alpaidze.

Editorial Board:

Marina Gunare - Associate Professor at the Baltic International Academy (Latvia);

Liydmila Shymanovska - Dianich - Full Professor at Poltava University of Economics and Trade (Ukraine);

Darpan Prasher - Adviser to the Rector of Free Academy of Tbilisi on International Relations;

Anzor Abralava - Georgian Technical University, Associate Professor (Georgia);

Anzhela Abuladze - Free Academy of Tbilisi, Head of Quality Manage-ment Service (Georgia);

Maia Vasadze - Free Academy of Tbilisi, School of Business Adminis-tration and Social Sciences, Deputy Dean (Georgia).

© All rights reseved “Free Academy of Tbilisi“ 2023 International Refereed Scientific Journal “ACADEMLAB“ is issued once a year. The journal involves the results of the researches and practical works of scientists and specialists from Georgia and other countries as well.
The magazine was published “Barton“

შინაარსი

1. **სალომე პირველი, მარიამ სიხარულიძე**
ცრუმაგიერობა, ცრუმაგიერი პირები და პასუხისმგებლობის წონადობა 10

2. **დავით შოშიტაშვილი, ლილი უშვერიძე, თამარ დევიძე**
მიკრო ბანკების გაჩენა საქართველოში: მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების კონკურენტუნარიანობის გაძლიერება და ფინანსური ინკლუზიის განვითარება 16

3. **ემზარ კაკულია, სალომე ჩხაიძე**
სათამაშო ბიზნესის როლი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში 20

4. **მურმან ციქუბაძე**
საქართველოში, საგადასახადო დავის წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი გამოწვევა 25

5. **გია დუჩიძე, თამარ პირგასიმოვა, მურთაზ ტალახაძე**
საქართველოში მწვანე ეკონომიკის და მდგრადი განვითარების დანერგვის თანამედროვე ტენდენციები 30

6. **ქეთევან ჭიაბრიშვილი, ლუკა ასანაშვილი, თორნიკე ბაბუციძე**
ქცევითი ეკონომიკა 37

7. **ქეთევან ჭიაბრიშვილი, გიული პაქსაძე,**
პირდაპირი უცხოური და პორტფელური ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში 43

8. **ქეთევან ჭიაბრიშვილი, სოფო კახნიშვილი, ამირან ბაბუციძე**
მსოციალური კაპიტალის თავისებურებები განვითარებად ქვეყნებში სოციალური კაპიტალის თავისებურებები განვითარებად ქვეყნებში 50

9. **ქეთევან ჭიაბრიშვილი, ლაშა აბულაძე**
სამხრეთ კავკასიის ქვეყნების როლი ევროპის ენერგო უსაფრთხოებაში 57

10. **სოფიკო ალფაიძე**
ციფრული მარკეტინგი და ბიზნესი 64

11. **ნიკოლოზ ლომსაძე**
ბიზნესის როლი ბიზნესის განვითარებასა და რეგულირებაში 67

12. **ნონა ახალაშვილი**
იურიდიული ფსიქოლოგია, როგორც ფსიქოლოგიური მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი 73

13. **მადონა ნიკოლაიშვილი**
განმავითარებელი სწავლების ინსტრუმენტი „მადონა“ -
კომპლექსური დავალების ალტერნატივა 82

14. მაია ბლიაძე, შორენა ტყემალაძე
კლიმატის ცვლილება და განათლება 93

15. **მეგი მანდარი**
ბრიტანული თუ ამერიკული ინგლისური 100

16. **ისაკო მეფარიშვილი**
ილია ჭავჭავაძე - „ახალი ენა“ 103

17. **ისაკო მეფარიშვილი, ელენე დოლაქიძე**
„ქმნა მართლისა სამართლისა...“ 109

18. **ისაკო მეფარიშვილი, მარიამ ლილუაშვილი**
ქართული რენესანსის პრობლემა საქართველოში 113

Content

1. **Salome Pirvely, Mariam Sikharulidze**
   Falsehood, false persons and the balance of responsibility 10

2. **David Shoshitashvili, Lily Ushveridze, Tamar Devidze**
   BThe Emergence of Micro Banks in Georgia: Enhancing SME Lending Competitiveness and Advancing Financial Inclusion 16

3. **Emzar kakulia**
   The role of gambling in the economic development of Georgia 20

4. **Murman Tsikubadze**
   Some challenges related to tax litigation in Georgia 25

5. **Gia Duchidze, Tamar Pirgasimova, Murtaz Talakhadze**
   AModern trends of introduction of green economy and sustainable development in Georgia 30

6. **Ketevan Chiabrishvili, Luka Asanashvili, Tornike Babutsidze**
   Behavioral economics 37

7. **Ketevan Chiabrishvili, Giuli Paksadze**
   The role of foreign direct and portfolio investments in the development of Georgian economy 43

8. **Ketevan Chiabrishvili, Sopho Kakhnishvili, Amiran Babutsidze**
   PFeatures of social capital in developing countries 50

9. **Ketevan Chiabrishvili, Lasha Abuladze**
   The role of South Caucasus countries in Europe›s energy security 57

10. **Sopiko Alpaidze**
    Digital Marketing and Business 64

11. **Nikoloz Lomsadze**
    The role of business in business development and regulation 67

12. **Nino Akhalashvili**
    Legal psychology as an independent branch of psychological science 73

13. **Madona Nikolaishvili**
    Developmental teaching tool «Madonna» - an alternative to complex tas 82

14. **Maia Bliadze, Shorena Tkemaladze**
    Climate change and education 93

15. **Maggie Mandaria**
    British or American English 100

16. **Isako Meparishvili**
    Ilia Chavchavadze – „New Language“ 103

17. **Isako Meparishvili, Elene Dolakidze**
    “To do true justice makes even a dry tree green” 109

18. **Isako Meparishvili, Mariam Liluashvili**
    The problem of the Georgian renaissance in Georgia 113

ცრუმაგიერობა, ცრუმაგიერი პირები და პასუხისმგებლობის წონადობა

სალომე პირველი[1] მარიამ სიხარულიძე[2]

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის რექტორი, სამართლის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, spirveli@freeacademy.edu.ge

[2]თბილისის თავისუფალი აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, msikharulidze@freeacademy.edu.ge

აბსტრაქტი

სამართალი და სამართლის სწორი გაგება, მისი სწორი დეფინიცია - ეს არის უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისათვის. არსებობს ანბანური სამართალი, ანუ სამართალი რომელიც დაწერილია და კანონებად, წესებად, დადგენილებებად გვევლინება, თუმცა არსებობს თეორიული სამართალი და სამართლის არსი, რომელიც ასევე უმნიშვნელოვანესია. სამართლის დარგის სპეციალისტებმა კარგად უწყიან თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თეორიული სამართალი, სამართლიანი სამართალი და სამართლის სწორი გაგება, აღქმა და შემდეგ მასზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება. შეუძლებელია ადამიანი მხოლოდ „ანბანური“ სამართლის არსს ცნობდეს და მხოლოდ დანაწესების ჩარჩოში იყოს მოქცეული. სამართალი უფრო დიდია, უფრო ფართოა და მისი ასეთივე გაგება არის რელევანტური. საქართველოს არსებულ სამართლის სისტემაში არსებობს არაერთი დასახვეწი ნორმა, კანონი, ჩანაწერი თუმცა სანამ მათი საბოლოო დალაგება მოხდება მნიშვნელოვანია ადამიანებმა თეორიული სამართლის პრინციპების მოშველიების საფუძველზე მიიღონ სამართლიანი გადაწყვეტილებები. სახელმწიფო ორგანოებმა სწორედ თეორიულ სამართალთან მჭიდრო ბმაში უნდა გამოიყენონ თავიანთი ძალაუფლება და მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც არა მხოლოდ კანონის მკაცრად დადგენილ ნორმებთან მოდის შესაბამისობაში, არამედ არ ეწინააღმდეგება სამართლის ძირითად არსს და მის ბუნებას. სამართალი ძალიან ფართო სფეროა და მას ასეთი ფართო და სიღრმისეული, მაღალ პროფესიონალური გაგება სჭირდება. შეუსაბამოა მხოლოდ იცოდე კანონი და გვერდს უვლიდე თეორიულ საფუძვლებს, არ იაზრებდე, ვერ გრძნობდე, ვერ იმეცნებდე მას. სამართლის თეორია არის სამართლის ნორმების თეორია[3]. გადამწყვეტია სამართლის დარგის სპეციალისტს ჰქონდეს იურიდიული ლოგიკა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სამართლის შეფარდების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: სამართალი, ცრუმაგიერი პირები, სახელმწიფო, ძალაუფლება, ადამიანი, წესები, კანონები, თეორია, ბუნება, დათქმა.

ცრუმაგიერი პირის ინსტიტუტი და ჩანაწერი საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2004 წლიდან იღებს სათავეს. იმ პერიოდში მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 91 - ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო დაადგენდა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო გადასახადის გადამხდელის სხვა პირისაგან განსხვავება და ეს უკანასკნელი გამოყენებული იყო გადასახადისგან თავის არიდების მიზნით, აღნიშნული პირები ერთიმეორის ცრუმაგიერ პირებს წარმოადგენდნენ[1]. 2010

წელს კი ცრუმაგიერ პირს კანონმა გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნის ნაცვლად გადასახადების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის თავის არიდების მიზანი განუსაზღვრა, ხოლო 2019 წლის ცვლილებების შედეგად საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილება მიეცა პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების შესახებ შუამდგომლობის სასამართლოსთვის წარდგენასთან ერთად ამ პირის ქონებაზე გაავრცელოს საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების ფარგლებში[2]. თეორიულად რომ ვთქვათ, ცრუმაგიერია პირი ვინც გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით გამოიყენება. როგორც სამართლის დოქტორი ზვიად როგავა წერს, ტერმინი „ცრუმაგიერი პირი" ნიშნავს მეორე მეს, ცრუ, ფიქციურ პირს ანუ სხვა პირს, რომელიც სინამდვილეში მე ვარ. პროცედურულად, რომ ვთქვათ პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების შესახებ შუამდგომლობით საგადასახადო ორგანო ითხოვს პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარებას, შემდგომში ამ პირის მიმართ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებისა და გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით. აქ საგულისხმოა ფაქტი, რომ მიმდინარე დანაწესის შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246 - ე მუხლის მე - 5 ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერი პირის მიმართ განახორციელოს ამ თავით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები[4]. პრაქტიკულად სასამართლოს მიერ პირის ცრუმაგიერად ცნობას მოჰყვება საკუთრების უფლების აბსოლუტური რღვევა იმის გაუთვალისწინებლად თუ რა ოდენობის ზიანი და/ან ზარალი მიადგა პირის მართლსაწინააღმდეგოქმედებითსახელმწიფოს,ანრაოდენობისთანხაიქნაგანრიდებული სუბიექტის მიერ. საგადასახადო ორგანო 246 - ე მუხლის თანახმად თავისი დისკრეციის ფარგლებში კანონის მოშველიების პრინციპით აღღვევს ყველა სხვა უფლებას, კერძოდ საქართველოს კონსტიტუციის მე - 19 მუხლით გარანტირებულ საკუთრების უფლებას, თანაზომიერების კონსტიტუციურ პრინციპებს, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას და ზოგადად, საკუთრების უფლების დამცავ ყველა სხვა სამართლებრივ აქტს. უმნიშვნელოვანესია, რომ პირის ცრუმაგიერად ცნობა ხდება მხოლოდ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ, ანუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და პირს არ აქვს უფლება მიიღოს სრული სამივე საფეხურის სასამართლოს შესაძლებლობა იმის მიუხედავად, რომ პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარება ურთულესი საკითხია, რასაც ასევე ადასტურებს, როგორც ქართული, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალწარმოების პრაქტიკა. გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების შესახებ საკითხის გადაწყვეტა საჭიროებს მრავალრიცხოვანი ფაქტობრივი გარემოებების დეტალურ შესწავლას და სიღრმისეულ სამართლებრივ ანალიზს, რაც, ვფიქრობ, იმსახურებს სახელმწიფოს მხრიდან ყურადღებას, ჩარევას, საგადასახადო კოდექსის 246 - ე მუხლის ცვლილებას და მის შესაბამისობაში

მოყვანას კონსტიტუციურობის პრინციპებთან.

თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპის გათვალისწინებით, გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერი პირის მიმართ ამ დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ გადასახადის გადამხდელის მიერ მისთვის მოჩვენებითი გარიგების საფუძველზე გადაცემული ქონების ღირებულების ან/და ფულის ფარგლებში. ანუ, როდესაც საგადასახადო ორგანო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურებს იწყებს, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები უნდა მიმართოს ცრუმაგიერი პირის იმ ქონებაზე, ან იმ ქონების ღირებულების ფარგლებში, რომელიც ამავე ღონისძიებებისათვის თავის არიდების მიზნით გადასახადის გადამხდელის მიერ მიეწოდა მას. მოცემული დასკვნა გამომდინარეობს თვით ცრუმაგიერობის ინსტიტუტის არსიდან, რომ მოხდეს იმ მდგომარეობის აღდგენა, რაც იარსებებდა, რომ არ მომხდარიყო ცრუმაგიერი პირისათვის ქონების გადაცემა. ცრუმაგიერ პირთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ მისი პასუხისმგებლობის ზომა შეიძლება იყოს მხოლოდ მიყენებული ზიანის მოცულობა. ცრუმაგიერობის შემთხვევაში, ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი არ შეიძლება იყოს ცრუმაგიერი პირისათვის გადაცემულზე მეტი. შესაბამისად, დაუშვებელია ცრუმაგიერ პირს ქონებრივად დაეკისროს აღნიშნულზე მეტი მოცულობის პასუხისმგებლობა.

ცრუმაგიერად ცნობის საქმესთან მიმართებით უმიშვნელოვანესია სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მკაფიოდ ადგენდეს ცრუმაგიერობის ფარგლებს, რათა ამით საგადასახადო ორგანოს შეეზღუდოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. საგულისხმოა ფაქტი, რომ სააპელაციო სასამართლოს ისტორიაში მოიპოვება ისეთი გადაწყვეტილებები, სადაც აღნიშნული მსჯელობა გვხვდება და სადაც სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მოახდინა ცრუმაგიერი პირის პასუხისმგებლობის განსაზღვრა. ცრუმაგიერმა პირებმა სოლიდარულად ვერ და არ უნდა აგონ პასუხი და მით უფრო, თუ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების ოდენობა აღემატება ცრუმაგიერი პირისათვის გადაცემული აქტივის ღირებულებას, გაუმართლებელია ცრუმაგიერ პირს მოეთხოვოს საკუთარი ქონებით დავალიანების სრულად დაფარვა. სასამართლო ვალდებულია დაიცვას თანაზომიერების პრინციპი, რათა სიკეთე - გადასახადის გადახდა, რომლის მიღწევასაც ემსახურება ცრუმაგიერი მფლობელობის დადგენა, არ აღემატებოდეს კერძო პირის შეზღუდული უფლების დაცვის ინტერესს. შესაბამისად, სასამართლოს როლი საკითხის სწორად გადაწყვეტასა და მხარეებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვის კუთხით არსებითია. საგულისხმოა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც პალატა მსჯელობს, რომ: „გადასახადის გადამხდელს შესაძლებელია ჰყავდეს რამდენიმე ცრუმაგიერი პირი. ასეთ შემთხვევაში, საკუთრების უფლების კონტექსტში, ჩნდება კითხვა, წარმოადგენენ თუ არა აღნიშნული პირები სახელმწიფოსთვის სოლიდარულ მოვალეებს?.“ თბილისის

სააპელაციო სასამართლო ავითარებს მსჯელობას ცრუმაგიერ პირთა პასუხისმგებლობის ფარგლებთან დაკავშირებით, და ამობობს, რომ ამ პირების მიმართ არ უნდა იქნას გამოყენებული სოლიდარული პასუხისმგებლობის ინსტიტუტი. კერძოდ, თითოეულ ცრუმაგიერ პირს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს გადასახადის გადამხდელის მიერ მათთვის მიწოდებული მატერიალური თუ არამატერიალური აქტივის ღირებულების ფარგლებში[5].

ცრუმაგიერი პირების საკუთრებაში არსებული საკუთრებითი ობიექტები განეკუთვნება ქონებათა იმ კატეგორიას, რომელზეც ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული სფერო. „შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ზღუდავს პირის შესაძლებლობას, რომ თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს, განკარგავდეს საკუთარ ქონებას, განიხილება საქართველოს კონსტიტუციის მე - 19 მუხლით დაცული საკუთრების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვად და საჭიროებს სათანადო კონსტიტუციურ - სამართლებრივ გამართლებას“. ცრუმაგიერმა პირმა მხოლოდ იმ მოცულობით უნდა აგოს პასუხი სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე, რა მოცულობითაც იგი გამოყენებულ იქნა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისაგან თავის არიდების მიზნით. მოცემული თემის ირგვლივ გარდამტეხია სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის განჩინება, რომელმაც ზუსტად ასახა ცრუმაგიერი პირების პასუხისმგებლობის ირგვლივ არსებული ხარვეზები. ამავე განჩინებით პალატამ განმარტა, რომ ცრუმაგიერმა პირებმა პასუხი უნდა აგონ მხოლოდ იმ ფარგლებით და მოცულობით, რა მოცულობითაც ისინი იყვნენ გამოყენებული გადასახადის გადამხდელის მიერ ამ ღონისძიებებისაგან თავის ასარიდებლად. განჩინებაში ძირეულად განიმარტა ადმიანისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის არეალი. კერძოდ, „საგადასახადო ტვირთი არ უნდა იყოს იმდენად დიდი, რომ სახელმწიფომ გააუფასუროს კერძო საკუთრების არსებობა და ინდივიდის შემოსავლების, უმთავრესად საჯარო კაპიტალში, სახელმწიფო ბიოუჯეტში თავმოყრა მოახდინოს“[6]; „საგადასახადო ადმინისტრირებისას საკუთრებაში ჩარევის უფლებამოსილება არ არის განუსაზღვრელი და ექვემდებარება იმავე დათქმას, როგორც სხვა შემთხვევაში“[6]; „დაუშვებელია ცრუმაგიერი პირების პასუხისმგებლობა გავრცელდეს ცრუმაგიერი პირის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე, რომელიც გადასახადებისა და საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისგან თავის არიდებისკენ მიმართულ ქმედებათა ჯაჭვში რაიმე ფორმით გამოყენებული არ ყოფილა, არც ცრუმაგიერი პირის მიერ გადასახადებისა და საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისგან თავის არიდებით მიღებული შემოსავლით და არც იმ პერიოდშია შეძენილი“[6].

დასკვნა

გადასახადების ადმინისტრირებისას საკუთრების უფლება უნდა იყოს დაცული, ხოლო საკუთრებაში ჩარევის უფლებამოსილება არ უნდა იყოს განუსაზღვრელი. ცრუმაგიერი პირის პასუხისმგებლობა უნდა შემოიფარგლოს ქონების იმ ნაწილით, რაც მან

ცრუმაგიერობით მიიღო. ამ შემთხვევაში, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებული უნდა იქნეს სწორედ იმ ქონებაზე, რომელიც გადასახადის გადამხდელმა ნომინალურ მფლობელს, ანუ ცრუმაგიერ პირს გადასცა. იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანო საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებას შეუზღუდავად გაავრცელებს ცრუმაგიერი პირის აბსოლიტურ საკუთრებაში არსებულ ქონებაზეც, საკამათო ხდება პასუხისმგებლობის ფარგლების საკითხი. აღნიშნული მიდგომა შეზღუდავს მესამე პირის კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების უფლებას და ეჭვქვეშ დააყენებს საგადასახადო პასუხისმგებლობის ინდივიდუალურ ხასიათს. თუ საგადასახადო ორგანო გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებს შეუზღუდავად გაავრცელებს მესამე პირის (ცრუმაგიერი პირის) საკუთრებაში არსებულ ქონებაზე, საგადასახადო ორგანოს აღნიშნული ქმედება საკუთრების უფლებას აბსოლიტურად დაუცველ უფლებად გადააქცევს[7]. ამდენად, მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და ცრუმაგიერ პირებზე საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების მიქცევისას, საგადასახადო ორგანო ვალდებულია დაიცვას სამართლიანი ბალანსი საჯარო და კერძო ინტერესებს შორის.

[1] საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2004, მუხლი 91.

[2] საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

[3] გიორგი ხუბუა „სამართლის თეორია“

[4] საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 246

[5] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 27 ოქტომბრის ბრძანება საქმეზე N 3ბ/1659-20;

[6] სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 03 ივლისის განჩინება);

[7] სამართლის დოქტორი ზვიად როგავას საექსპერტო დასკვნა

Falsehood, false persons and the balance of responsibility

Salome Pirvely[1] Mariam Sikharulidze[2]

[1]Rector of Free Academy of Tbilisi, Doctor of Law, Professor, spirveli@freeacademy.edu.ge, spirveli111@yahoo.com

[2]Head of Public Relations Service of Free Academy of Tbilisi, msikharulidze@freeacademy.edu.g

Abstract

Law and the correct understanding of law, its correct definition, is the most important thing for the existence of a democratic state. There is alphabetic law, i.e. law that is written and appears as laws, rules, decrees, but there is theoretical law and the essence of law, which is also very important. Specialists in the field of law are well aware of the importance of theoretical law, fair law and the correct understanding and perception of law and then making decisions based on it. It is impossible for a person to know only the essence of the alphabetic law and be bound only by the regulations. Law is bigger and broader and its understanding as such is relevant. In the current legal system of Georgia, there are a number of norms, laws, and records that need to be refined, but before their final arrangement, it is important for people to make fair decisions based on the principles of theoretical law, state bodies should use their power in close connection with theoretical law and make decisions that are not only strictly defined by the law It complies with the norm, but does not contradict the basic essence of the law and its nature. Law is a very broad field and it needs such a wide and deep, highly professional understanding. It is inappropriate to only know the law and ignore the theoretical foundations, not to think, not to feel, not to know it. The theory of law is the theory of legal norms. It is crucial for a specialist in the field of law to have legal logic, which is very important in the process of applying the law.

The Emergence of Micro Banks in Georgia: Enhancing SME Lending Competitiveness and Advancing Financial Inclusion

David Shoshitashvili[1] Lily Ushveridze[2] Tamar Devidze[3]

[1]Dean of Free Academy of Tbilisi , Assistant Professor, dshoshitashvili@freeacademy.edu.ge
[2]Assistant Professor of Free Academy of Tbilisi, lushveridze@gmail.com
[3]Associate professor of Georgian Technical University, t.devidze@gtu.ge

Abstract

Georgia's financial sector is undergoing significant transformations, with a diverse range of financial institutions contributing to economic growth and financial inclusiveness. While commercial banks maintain a dominant presence in the financial system, microfinance institutions (MFIs) stand out as the most substantial non-bank lenders when considering portfolio volume. In March 2023, the Parliament of Georgia adopted the Law of Georgia on the Activities of Micro Banks establishing a new financial institute in Georgia. Micro banks are expected to appear in the financial market of Georgia starting from 2024 and are considered to fill the existing gap between commercial banks and MFIs. This article explores the dynamic landscape of traditional banking, the role of MFIs, and the emergence of micro banks, shedding light on how these entities shape the financial landscape and foster economic development.

Keywords: Banks, Micro Banks, Micro Finance Institutions, MFIs, National Bank of Georgia, NBG, SME.

Introduction

The National Bank of Georgia (NBG) has undertaken various measures in recent years to enhance its supervisory authority, including legislative adjustments. These efforts have significantly contributed to the institutional growth and fortification of the non-banking financial sector. The National Bank's timely and measured regulatory and supervisory reforms in the microfinance sector have rendered it more liquid, well-capitalized, stable, efficient, and appealing to investors. These reforms encompassed initiatives such as capital augmentation, the implementation of supervisory ratios, the establishment of an effective interest rate limit, the adoption of the principle of responsible lending, enhancements to reporting standards, and the introduction of a legal framework governing the liquidation of MFIs, among others.

Financial sector in Georgia

The non-banking sector, comprising MFIs and lending entities, holds a crucial role in supplying financial support to businesses and residents in various regions of Georgia. This sector exhibits diversity, encompassing small, specialized organizations as well as large entities with a wide range of services. Moreover, their financial structures vary. Notably, the presence of sizable organizations with access to resources from international financial institutions aligns with traditional microfinance activities, particularly in serving entrepreneurs and agricultural financiers.

Banks dominate the financial system in Georgia. The financial sector is composed of 15 commer-

cial banks[1] and 35 MFIs.[2]

Georgia's banking sector plays a pivotal role in providing a wide array of financial services. Commercial banks, both local and international, form the backbone of the financial system. They serve as key players in facilitating large-scale transactions, supporting businesses, and catering to the financial needs of individuals.

The microfinance sector in Georgia is a critical component of the financial system. MFIs are dedicated to providing financial services to individuals and businesses that may not have access to traditional banking. These institutions focus on microcredit, enabling entrepreneurs and small businesses to access funding for their ventures. The inclusive nature of MFIs contributes significantly to financial empowerment and community development.

As these organizations are currently unable to accept deposits or establish customer accounts, their access to the financing sector within the country is constrained. The new regulation opens up new economic opportunities for MFIs seeking to transform their operations and enhance their market presence.

It's important to highlight that the licensing requirements for micro banks differ from those of traditional banks and other non-banking institutions. Unlike commercial banks, which need a capital of GEL 50 million, and MFIs, which require GEL 1 million, micro banks are obligated to have a charter capital of GEL 10 million to secure a license. Moreover, micro banks are restricted from issuing loans exceeding GEL 1 million.

In 2022, around 76% of the reported claims in MFIs were associated with consumer loans, which is unsurprising given that this is the primary product offered by these institutions. The diagram 1 below shows the statistics of distribution of claims made at microfinance institutions by product from 2018 to 2022.

Diagram 1: Distribution of claims made at MFIs by product

1 NBG, Licensed Commercial Banks - https://nbg.gov.ge/en/page/licensed-commercial-banks-1

2 NBG, The List and the coordinates of Microfinance organizations - https://nbg.gov.ge/fm/%E1%83%96%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%93%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%9D_%E1%83%96%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%93%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/eng/miso/miso-eng-020623.xlsx



Source: NBG

According to the Law of Georgia on the Activities of Micro Banks, micro banks are subject to the following significant operational limitations:

- A minimum of 70% of the credit portfolio must consist of business loans or loans repayable using income from business activities.
- Loans can only be issued in GEL.
- Deposits acquired from individuals must not be below GEL 100,000 (or its equivalent in foreign currency) per individual.
- The maximum cumulative value of credits and other obligations extended to a single borrower or a group of interconnected borrowers should not exceed GEL 1,000,000.

The regulatory environment plays a crucial role in shaping the future trajectory of micro banks in Georgia. A supportive regulatory framework that balances financial inclusion with stability is essential. Striking this balance ensures that micro banks can thrive, innovate, and contribute to the overall economic well-being of the country. A new category of banking institutions is expected to join 15 commercial banks starting next year.

Conclusion

According to the proposed new framework, the primary tier would consist of micro banks, gradually be allowed to accept deposits, acquire deposit insurance akin to traditional banks, and access GEL from the NBG. Existing qualified MFIs would be eligible to apply for licensing as micro banks. Once licensed, these micro banks would have a defined role as lenders to underserved individuals, small and medium-sized enterprises, and agri-businesses.

Additionally, they would be obligated to adhere to capital and liquidity requirements in accordance with the Basel framework, with considerations for proportionality. The micro banks would be subject to enhanced supervision, necessitating the implementation of risk management and corporate governance frameworks. These measures are designed to encourage small and medium-sized enterprises lending, decrease funding costs for micro banks, and enhance the overall safety and soundness of the financial system.

Consequently, MFIs now have the opportunity to attain micro bank status, allowing them expanded capabilities in funding small entrepreneurs and facilitating new lending initiatives in the

agricultural sector. The registration of micro banks is expected to intensify competition within this sector, influencing interest rates. This dual effect, combining relatively inexpensive resources and heightened competition, is anticipated to lead to a reduction in interest rates.

The introduction of a new micro bank license serves to create an additional, interesting, attractive financial institution for investors, which will become a transitional stage between MFIs and full-fledged banks.

As of today, the application for transformation into a micro bank has been submitted to the National Bank only by the microfinance organization "MBC", but there is an interest from more MFIs.

References

1. National Bank of Georgia - https://nbg.gov.ge/en
2. Law of Georgia on the Activities of Micro Banks, available at: https://nbg.gov.ge/en/legal-acts/projects/law-of-georgia-on-the-activities-of-micro-banks
3. National Bank of Georgia Annual Report 2022, available at: https://nbg.gov.ge/fm/%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98/2022/annual-report.pdf?v=vqiyz
4. Microfinance Sector in Georgia (2018-Q1 2022) Sector Snapshots, PMCG, available at: https://www.pmcresearch.org/publications_file/dddd627a15ba8b4ea.pdf
5. IMF, Georgia: Technical Assistance Report—Strengthening Regulation, Supervision, and Oversight of Micro Lending Institutions, available at: https://www.elibrary.imf.org/view/journals/002/2020/273/002.2020.issue-273-en.xml
6. Georgia Microfinance Association - http://microfinance.ge/en/
7. Banking Association of Georgia - https://www.association.ge/en/
8. National Statistics Office of Georgia - https://www.geostat.ge/en
9. MBC, MBC Plans To Obtain The Status Of A Micro Bank, available at: https://mbc.com.ge/en/news/mbc-plans-to-obtain-the-status-of-a-micro-bank

სათამაშო ბიზნესის როლი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში

ემზარ კაკულია[1] სალომე ჩხაიძე[2]

[1]ეკონომიკის დოქტორი, ცხუმ - აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი, Kakulia.emzari@gmail.com

[2]თბილისის თავისუფალი აკადემიის ბიზნესადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტი, სოციალური მედიის მენეჯერი, schxaidze18@gmail.com

აბსტრაქტი

საქართველოში აზარტული თამაშობების მიმართ არსებობს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, მიუხედავად მისი მნიშვნელოვანი როლისა ეკონომიკურ განვითერაბაში, რადგანაც გაჩნდა გაუბედურებული ადამიანები და ოჯახები, რამაც განაპირობა უარყოფითი დამოკიდებულება საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან. გარდა ამისა, აზარტული თამაშები საქართველოში ძლიერი ეკონომიკური კონტრიბუტორი და ტურიზმის განვითარების ხელშემწყობია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

აზარტულ თამაშობების საქართველოში დიდი ისტორია აქვს, ამის ნათელი მაგალითია აკაკი წერეთელი, რომელიც ცნობილია აზარტული თამაშობებისადმი ინტერესით. XIX საუკუნეში ქართული ელიტა მიიპყრო კონკრეტულმა სათამაშო დაწესებულებებმა. საბჭოთა კავშირის დროს აზარტული თამაშობები აკრძალული იყო, გარდა ლატარიებისა. დამოუკიდებლობის მოპოვების და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ, ბოლო წლებში სათამაშო ბიზნესი საოცარ ზრდას განიცდის და მისი წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში უდაოა.

სამეცნიერო სტატიაში განხილულია საქართველოში აზარტული თამაშობების ევოლუცია, მისი მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო და გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე. ასახულია როგორც გამოწვევები, ასევე შესაძლებლობები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

საკვანძო სიტყვები: აზარტული თამაშები, ტურიზმი, ეკონომიკური განვითარება, კაზინო ინდუსტრია, მარეგულირებელი ჩარჩო

აზარტული თამაშობების სამშობლოდ ისტორიკოსები მოიხსენიებენ რომის იმპერიას, ხოლო პირველი სათამაშო სახლების გაჩენის თარიღად ასახელებენ ჩვ.წ.აღ.-მდე 557-ე წელს. უძველესი დროიდან, საზოგადოეების დიდებული წარმომადგენლებისათვის მოდაში იყო ე.წ. „Casini-ებში“ თავშეყრა, სხვადასხვა სახის გარიგებების და შეთანხმებების დადებასთან ერთად გართობა და აზარტული თამაშები, რამაც განაპირობა პირველი საჯარო სათამაშო სახლის ლეგალიზება ვენეციაში 1926 წელს, რომელიც ცნობილია თანამედროვე კაზინოების „წინაპრად“.

მე-18 საუკუნეში სათამაშო სახლები მთელს ევროპაში იქცა ხაზინაში შემოსავლის შემომტან წყაროდ, რაზეც მეტყველებს 1765 წელს საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის

(კარდინალ მაზარინის) ბრძანება პარიზში კაზინოს გახსნის შესახებ, 1806 წელს კი საფრანგეთის იმპერატორ ლუი დე ბონაპარტმა ოფიციალურად აღიარა სათამაშო სახლები, უფრო მეტიც, თავად ესტუმრა პარიზის ერთ-ერთ კაზინოს და ამით დიდი პატივი დასდო.

გასართობი ცენტრი „მონტე-კარლო“, რომელიც პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გასართობი ცენტრია, გაიხსნა 1864 წელს არსებული ფინანსური სირთულეების დასაძლევად. სწორედ მე-19 საუკუნეს უკავშირდება სათამაშო ბიზნესის განვითარება აზიაში და მთელს მსოფლიოში, მათ შორის 1822 წელს აშშ-ი პირველი კაზინოების გამოჩენა კოლორადოს და იუტას შტატში. ზოგადად კი სათამაშო ბიზნესის ნამდვილი განვითარება უკავშირდება მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საუკუნის დასაწყისს.

1920-იანი წლების დასაწყისში საქართველო გახდა პირველი საბჭოთა რესპუბლიკა, რომელმაც ხელახლა დანერგა აზარტული თამაშები. მეორედ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ინდუსტრიამ დაინახა სწრაფი ზრდა. 1997 წელს საქართველომ შემოიღო გადასახადი სათამაშო მოწყობილობების რაოდენობის მიხედვით. ინდუსტრიის აკრძალვის გარკვეული მცდელობის მიუხედავად, 2005 წელს საქართველომ დააწესა აზარტული თამაშების დეტალური რეგულაციები. 2011 წლიდან გაიზარდა კაზინოების, სლოტ კლუბებისა და ტოტალიზერების რაოდენობა. საქართველოს ხელსაყრელი სათამაშო გარემო განასხვავებს მას კავკასიის რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ფინანსური ბარიერები სათამაშო ბიზნესის წახალისებისთვის ტურისტულ ცენტრებში, ინდუსტრია რჩება მომგებიანი.

საქართველოს კანონმდებლობა სრულყოფილად არეგულირებს აზარტული თამაშების ინდუსტრიას, რომელიც მოითხოვს ნებართვას ქვეყანაში ყველა სახის აზარტული და მომგებიანი თამაშებისთვის. აღნიშნული ნებართვები იქმნება და კონტროლდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის შესაბამისად და მიზნად ისახავს მოქალაქეთა კანონიერი ინტერესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას. საქართველოს კანონი „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ ადგენს აზარტული თამაშობების ორგანიზებიდ და მიწოდების სამართლებრივ საფუძველებს.

სახელმწიფო რეგულირება ნებართვების საშუალებით გამოიყენება ექსკლუზიურად მაშინ, როდესაც არსებობს პირდაპირი კავშირი საქმიანობასა და ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესის სფეროებს შორის გაზრდილ რისკებს შორის. ნებართვები ანიჭებენ საქმიანობის განხორციელების უფლებას დადგენილ საკანონმდებლო პირობებთან დაცვის უზრუნველყოფისას. ეს ნებართვები შეიძლება იყოს გადაცემული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონით აკრძალულია ან არ არის არსებითად დაკავშირებული ნებართვის მფლობელთან. ნებართვების ტიპებში შედის წამახალისებელი გათამაშების, სამორინის მოწყობა, ტოტალიზატორები და სათამაშო მანქანების სალონები, სხვათა შორის.

საქართველოში აზარტული თამაშების ყველა ფორმის ბიზნესი საჭიროებს

ნებართვას. სანებართვო მოსაკრებლის გადახდა, როგორც წესი, ხორციელდება ერთჯერადად საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში ან შესაბამის ავტონომიურ რესპუბლიკის ბიუჯეტში. ნებართვების გაცემას, კანონიერი პირობების დაკმაყოფილებას, გადასახადების გადახდას და შემოწმებას ზედამხედველობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

საქართველოს შრომის ბაზარზე აზარტული თამაშების ბიზნესს სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა რიცხვმა 10 ათას ადამიანს გადააჭარბა, კერძოდ: 2017 წელი - 8 599 ადამიანი; 2018 წელი - 11 861 ადამიანი; 2019 წელი - 14 995 ადამიანი; 2020 წელი - 10 815 ადამიანი; 2021 წელი - 9860 ადამიანი. საქსტატის მონაცემების მიხედვით სათამაშო ბიზნესის სფეროში დასაქმებულ ადამიანებს აქვთ პროფესიული და კარიერული ზრდის შესაძლებლობა, ხოლო მათი საშუალო ხელფასი 2000 ლარს შეადგენს, რაც მკვეთრად აღემატება საშუალო ხელფასის ზოგად მაჩვენებელს.

„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად დღეის მდგომარეობით აკრძალულ პირთა სიაში რეგისტრირებულია 1. 475 075 ფიზიკური პირი, დამოკიდებულ პირთა სიაში რეგისტრირებულია 4 901 ფიზიკური პირი, აქედან მოსამართლის ბრძანების საფუძველზე 34 პირი, ხოლო თავად პირის მომართვის საფუძველზე 4 867 განაცხადი დარეგისტრირდა. კვლევების თანახმად საზოგადოების განწყობა სათამაშო ბიზნესის მიმართ ძალიან მკაცრია. მიუხედავად იმისა, რომ ფულზე აზარტულ თამაშებში საქართველოს მოსახლეობის ჩართულობა საკმაოდ დაბალია და ამ საქმიანობის გამო მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემებიც მხოლოდ 2 %-ს გააჩნდა, მოსახლეობის ძალზე დიდი ნაწილი (92 %) უარყოფითად არის განწყობილი, ხოლო (63 %) საერთოდ აკრძალვის მომხრეა.

შემოსავლების სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოში რეგისტრირებულია 106 იურიდიული პირი, რომლებზეც გაცემულია სათამაშო ნებართვები 212 საქმიანობაზე. სათამაშო ბიზნესის ყველაზე დიდი კონცენტრაცია არის თბილისში-87 საქმიანობა და ბათუმში-44 საქმიანობა. აზარტული თამაშების სექტორი გადასახადებს იხდის, როგორც ცენტრალურ ბიუჯეტში, ასევე აზარტული თამაშების საქმიანობის მოსაკრებელს ადგილობრივ თვითმმართველობების ბიუჯეტში. სექტორის მიერ გადახდილი გადასახადები კორონა-პანდემიის გამო 2020 წელს 118,3 მილიონი ლარით შემცირდა და 302,1 მილიონი ლარი შეადგინა, რომელიც ასე გადანაწილდა:

- მოგების გადასახადი - 131,107,914 ლარი;
- საშემოსავლო გადასახადი - 61,251,180 ლარი;
- მოსაკრებელი სამორინეს, სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს და წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვაზე - 36,095,000 ლარი;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 55,858,475 ლარი;
- დღგ - 20,616,083 ლარი;

- ქონების გადასახადი (მ.შ. მიწა) - 1,213,494 ლარი;
- სხვა გადასახადები - -3,996,181 ლარი;

მიუხედავად სათამაშო ბიზნესში განხორციელებული რეგულაციებისა, რომლის მიხედვითაც 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისათვის, ასევე დამოკიდებულ პირთა სიასა და აკრძალულ პირთა სიაში შეყვანილი პირებისთვის (მათ შორის, სოციალურად დაუცველი პირებისთვის, საჯარო მოხელეებისთვის) აიკრძალა ონლაინ აზარტული თამაშები, 2022 წელს სათამაშო ბიზნესიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული თანხა, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 65 პროცენტით და ჯამში რეკორდული მოცულობის თანხა, 739 მლნ. ლარი შეადგინა, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლიდან - 55 მლნ. ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან - 114 მლნ. ლარი, ხოლო გადასახადებიდან (დღგ, მოგება-GGR, საშემოსავლო, ქონება, იმპორტი) – 581 მლნ. ლარი. აღნიშნული ზრდა უკავშირდება დაბეგვრის სისტემის ცვლილებას, რომლის მიხედვითაც ბიზნესს უწევს მოგების გადასახადის სახით მიღებულ ფსონებსა და გაცემულ მოგებას შორის სხვაობის 10%, ანუ GGR-ის 10% გადახდა.

ფინანსთა სამინისტროს 9 თვის მონაცემებით, 2023 წელს სახელმწიფომ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან 157 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო, რაც 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან 28 %-ით, ანუ 34,4 მილიონი ლარით მეტია.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სათამაშო ბიზნესის მიმართ და ხშირია მოწოდება მისი აკრძალვის შესახებ, ძალიან რთულია ამ მოწოდების მიღება ეკონომიკური გადასახედიდან, რადგანაც სათამაშო ბიზნესი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემომტანია, რაზეც მეტყველებს სტატიაში მოყვანილი ციფრები. გარდა ამისა, მას გააჩნია მნიშვნელოვანი ირიბი ეკონომიკური ეფექტი ტურიზმის განვითარებასთან.

სათამაშო ინდუსტრიის ზრდა რომელიც ბოლო წლებში შეინიშნება საქართველოში, ამ ბიზნესის სწორ რეგულირებას და სიფრთხილეს მოითხოვს, რადგანაც აზარტული თამაშები ინტერნეტში ინაცვლებს, არსებობს როგორც ფულადი ტრანზაქციების უკონტროლო წარმართვის, ასევე კრიპტოვალუტის გამოყენების და საქართველოს სათამაშო ბიზნესში არარეზიდენტი პირების ჩართულობის საშიშროება, რაც ქმნის ფულის გათეთრების წინაპირობებს (International Monetary Fund 2019).

ვინაიდან აზარტული თამაშების ბიზნესი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია და ტურიზმის განვითარების ხელმშეწყობი, სახელმწიფოს პოლიტიკა დარგის მიმართ ერთის მხეივ უნდა იყოს ლიბერალური, მეორეს მხრივ კი მთავრობამ უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე და დააზღვიოს ყველა ის სოციალურ-

ეკონომიკური რისკები, რომელიც უკავშირდება აზარტული თამაშებიდან მომდინარე საფრთხეებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=104
2. https://www.rs.ge/
3. https://www.mof.ge/
4. https://www.geostat.ge/ka
5. https://bm.ge/ka/article/ramdeni-milionis-gadasaxadebs-ixdian-azartuli-tamashebis-kompaniebi—statistika/95956

The role of gambling in the economic development of Georgia

Emzar Kakulia[1] Salome Chkhaidze[2]

[1]Doctor of Economics, Director of the Institute of Economics and Business of the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, Associate Professor, Kakulia.emzari@gmail.com

[2]Tbilisi Free Academy Business administration educational program fourth year student, Social media manager, schxaidze18@gmail.com

Abstract:

There is a mixed attitude towards gambling in Georgia, despite its important role in economic development, as it has resulted in unhappy people and families, which has led to a negative attitude from a certain part of the society. In addition, gambling is a strong economic contributor and promoter of tourism development in Georgia, which plays an important role in the economic development of the country.

Gambling has a long history in Georgia, a clear example of this is Akaki Tsereteli, who is known for his interest in gambling. In the 19th century, the Georgian elite was attracted by specific gaming establishments. During the Soviet Union, gambling was prohibited, except for lotteries. After gaining independence and transitioning to a market economy, the gaming business has experienced remarkable growth in recent years, and its contribution to the country's economic development is undeniable.

The scientific article discusses the evolution of gambling in Georgia, its regulatory legal framework and its impact on economic development. Challenges as well as opportunities and socio-economic implications are outlined.

Keywords: Gambling, Tourism, Economic development,Casino industry,Regulatory framework.

საქართველოში, საგადასახადო დავის წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი გამოწვევა

მურმან ციქუბაძე
თბილისის თავისუფალი აკადემიის აფილირებული ასისტენტ პროფესორი, mtsikubadze@freeacademy.edu.ge

აბსტრაქტი

ზოგადად საგადასახადო სფერო, მეტად კომპლექსურია რამაა, იგი ყველა ქვეყნის უმნიშვნელოვანი რგოლია და ასევე ეხება ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს. გადასახადებთან დაკავშირებული საკითხები, ყოველთვის იწვევს განსხვავებულ შეხედულებებს. როგორც წესი დიდი გამოწვევაა ქვეყნის მმართველებისთვის, დაიცვან ბალანსი გადასახადის გადამხდელების ინტერესებსა და სახელმწიფო ინტერესებს შორის.

გადასახადებთან დაკავშირებით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია საგადასახადო დავის წარმოება, რომელსაც ჩვენს ქვეყანაშიც აქვს ზიგიერთი გამოწვევა.

საგადასახადო დავა შესაძლებელია დაიწყოს საგადასახადო შემოწმების ჩატარების შემდეგ. საქართველოში, საგადასახადო დავა განიხილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემასა და სასამართლოში. (1. საქართველოს მთავრობის დადგენილება №53)

მოცემულ ნაშრომში მიმოვიხილავთ, დავის საფუძველბსა, ეტაპებსა და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

გამოწვევას წარმოადგენს, საგადასახადო შემმოწმებელთა ანუ აუდიტორთა კვალიფიკაცია, პრაქტიკიდან გამომდინარე ხშირია შემთხვევები, როდესაც გადასახადის გადამხდელები ხშირად არაშესაბამისი თანხებით ჯარიმდებიან, ხშირია ფაქტები როდესაც ესა თუ ის ჯარიმა საერთოდ არ ეკუთვნის სუბიექტს. ამას მოწმობს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო დავების განხილვის საბჭოს ყოველწლიურ ანგარიში, სადაც შემთხვევები როდესაც სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მთელ საჩივრებში თითქმის 1/3 უტოლდება. (2. ს. ფ. ს. ა. დ. გ. ს.-ის 2022 სტატისტიკური ანგარიში)

გამოწვევას წარმოადგენს გასაჩივრების ვადებიც, რომელიც საყოველთაოა, არ ითვალისწინებს საწარმოთა ზომით კატეგორიას და/ან სადაო საკითხის კომპლექსურობას. მარტივად რომ ვთქვათ, პირველი ზომითი კატეგორიის კომპანიას ზუსტად იგივე ვადები აქვს, იმისთვის რომ გაასაჩივროს სადაო საკითხი, როგორც მეოთხე ზომითი კატეგორიის კომპანიას. (3. კანონი ბუღალტრული აღრიცხვის,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ)

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო სფერო, გადასახადები, საგადასახადო დავა, საგადასახადო შემოწმება.

დავიწყოთ საგადასახადო შემოწმების მიმოხილვით რადგან დავის წარმოება სწორედ ამ პროცესიდან გამომდინარეობს. საგადასახადო შემოწმება შესაძლოა იყოს გასვლითი ან კამერალური, თავის მხრივ კამერალური შემოწმება კი შეგვიძლია დავყოთ თემატურ და სრულ შემოწმებად.

სრული საგადასახადო შემოწმება სრული საგადასახადო შემოწმება ნიშნავს, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოწმდება ყველა გადასახადი თუ გადასახდელი, რომლის ვალდებულებაც შესაძლოა თქვენს კომპანიას დაეკისროს და რომლის ადმინისტრირება შემოსავლების სამსახურის პრეროგატივაა.

უნდა ავღნიშნოთ რომ საგადასახადო შემოწმება ხანდაზმულობის ვადას ითვალისწინებს, რომელიც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით სამ სრულ კალენდარულ წელს და მიმდინარე საოპერაციო კალენდარულ წელს მოიცავს. თუმცა გამონაკლისია როდესაც საგადასახადო სამართალდარღვევასთან ერთად ირღვევა სისხლის სამართლის კოდექსიც.

კამერალური საგადასახადო შემოწმება სრულ საგადასახადო შემოწმებას გულისხმობს, ასეთ დროს ხდება კომპანიის ოპერაციების სრული საგადასახადო შესწავლა, ყველა გადასახადთან თუ ოპერაციასთან მიმართებაში. საგადასახადო შემოწმების დასრულებისას გამოიცემა შემოწმების აქტი, სწორედ ეს უკანასკნელია როგორც წესი დავის საგანი. თუმცა უნდა ავღნიშნოთ, რომ საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს შეწყვიტოს საგადასახადო შემოწმება, ეს კი როგორც წესი, ხდება მაშინ, როდესაც შემოწმების პროცესში ირკვევა, რომ შემოწმების შედეგად კომპანიის მიმართ საგადასახადო ვალდებულებების დაკისრება არ მოხდება. შემოწმების პერიოდი ყოველთვის ე.წ. „ჩახურულ“ პერიოდად ითვლება და მისი ხელახალი შემოწმება მხოლოდ სასამართლოს ბრძანების საფუძველზე ხდება. (4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი)

თემატური საგადასახადო შემოწმების შემთხვევაში კი საქმე უფრო მარტივადაა, რადგან ასეთ დროს კონკრეტული გადასახადი, თემა ან ოპერაცია მოწმდება. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ე.წ. „ჩახურულ“ პერიოდად არ ითვლება თემატური შემოწმების პერიოდი, რადგან ის არ გულისხმობდა სრულ შემოწმებას.

არსებობს კიდევ ერთი შემთხვევა რა შემთხვევაშიც გარკვეულ შემოწმებას გადის ესა თუ ის კომპანია საგადასახადო კუთხით: ე.წ. არაოფიციალური შემოწმება, რა დროსაც შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები თხოვენ ამა თუ იმ კომპანიას სხვა და სხვა დოკუმენტს, აკეთებენ რისკების ანალიზს; ეს პროცესი რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 70-ე მუხლის საფუძველზე. (5. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 70-ე მუხლი)

როგორც წესი, დავის მწარმოებლების მხრიდან შეცდომების დიდი ნაწილი სწორედ ამ პროცესშია ხოლმე დაშვებული, ხშირად დარიცხვის მეთოდოლოგია არის გაუგებარი და არარეალისტური, რასაც მოწმობს დავების განხილვის საბჭოს აპარატის მიერ გამოქვეყნებული 2022 წლის სტატისტიკური ანგარიში, სადაც მკაფიოდ ჩანს რომ დავების თითქმის 1/3 -ში გადასახადის გადამხდელები სრულად ან ნაწილობრივს „გაამართლეს“ და შეუმცირეს ჯარიმის თანხები.

სასამართლოში საგადასახადო დავის წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით. (6. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი)

როდესაც საგადასახადო შემოწმების შედეგებს არ ეთანხმება გადასახადის გადამხდელი, მას აქვს რამდენიმე არჩევანი:

გაასაჩივროს საგადასახადო შემოწმების აქტი და მის საფუძველზე გამოცემული

საგადასახადო მოთხოვნა და დარიცხვის ბრძანება ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, კერძოდ ჯერ შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტში; ხოლო შემდეგ ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში. მას ასევე შეუძლია, გაასაჩივროთ საგადასახადო შემოწმების აქტი და მის საფუძველზე გამოცემული საგადასახადო მოთხოვნა და დარიცხვის ბრძანება პირდაპირ სასამართლოში.

ხოლო თუ ეთანხმება შემოწმების შედეგებს, შეუძლია არ გაასაჩივროს და გადაიხადოს დაკისრებული გადასახადები და სანქციები შეთანხმებული გრაფიკით. ან არ გაასაჩივროს და შემოსავლების სამსახურს მიმართოს საგადასახადო შეთანხმების მოთხოვნით.

დავების განხილვის საბჭო არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საგადასახადო დავის განმხილველი ორგანო. (7. საქართველოს მთავრობის დადგენილება №473)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავა ორეტაპიანია და იწყება საჩივრის შემოსავლების სამსახურში წარდგენით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის შედეგად დაუშვებელია მომჩივნის საგადასახადო ვალდებულებების დამძიმება, გარდა გადამხდელის თანხმობით ამავე დავის ფარგლებში ჩატარებული შემოწმების შემთხვევისა.

საგადასახადო შემოწმების აქტი და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება ამ დოკუმენტების საფუძველზე გამოცემულ საგადასახადო მოთხოვნასთან ერთად. საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი/ბრძანება საჩივრდება საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

პირს უფლება აქვს, გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში. ხშირად, ეს 30 დღეც გამოწვევაა გადასახადის გადამხდელებისთვის რადგან ისინი ბიზნეს პროცესებში არიან ჩართულნი, და ხშირად მოცემული დრო არ არის ხოლმე საკმარისი დასაბუთებული პასუხების მოსამზადებლად. 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ დავის დაწყება დასაშვებია ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების ან მტკიცებულებების საფუძვლით.

საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგაც, თუ მომჩივანი დაამტკიცებს, რომ გასაჩივრების ვადის დარღვევა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით იყო გამოწვეული.

საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას. დავის განმხილველი ორგანო საჩივარს განიხილავს 20 დღის ვადაში. მომჩივანს უფლება აქვს, თავისი ინტერესები დაიცვას პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით. დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან მხარის მოტივირებული შუამდგომლობით შეაჩეროს საჩივრის განხილვა დამატებითი ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მოსაპოვებლად.

დამატებითი ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მოპოვების საფუძვლით საჩივრის განხილვის შეჩერების საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 45 დღეს. დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება მხარეებს.

შემოსავლების სამსახურის მიერ მომჩივნისთვის არასასურველი გადაწყვეტილების

მიღების შემთხვევაში ამ მომჩივანს უფლება აქვს, გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს დავების განხილვის საბჭოში ან სასამართლოში. მომჩივანს უფლება აქვს, დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში. დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება ძალაში შედის მომჩივნისთვის ჩაბარებიდან 21-ე დღეს, მისი გაუსაჩივრებლობის შემთხვევაში. დავის განმხილველი ორგანოს ძალაში შესული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დავის განახლება დასაშვებია მხოლოდ ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებიდან 6 წლის ვადაში. დავის განახლების მოთხოვნით დავის განმხილველი ორგანოსათვის მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ მომჩივანს. მომჩივანი ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებით მიმართავს დავის განმხილველ ბოლო ორგანოს, რომელმაც არსებითად იმსჯელა მომჩივნის მიერ მითითებულ დავის საგანზე.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგადასახადო დავის წარმოებასთან დაკავშირებული გამოწვევას ძირითადად წარმოადგენს საგადასახადო შემოწმების დროს აუდიტორთა მხრიდან დაშვებული ხშირი შეცდომები/ზედმეტად დაანგარიშებული გადასახადები, რისი გამოსწორებაც ცდილობს დავების განხილვის საბჭო. ასევე გამოწვევას წარმოადგენს გასაჩივრების ვადები, რომელიც 30 ან 20 დღეს შეადგენს და ხშირად არ არის საკმარისი სრულფასოვანი პასუხების მოსამზადებლად, არ გაითვალისწინება კომპანიის ზომითი კატეგორია დადგენილი ვადების დაანგარიშებაში და ყველა სუბიექტს აქვს თანაბარი დრო, მიუხედავად მათი ზომითი კატეგორიის ან დავის საგნის ფინანსური თუ სხვა შინაარსისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება №53)
2. ს. ფ. ს. ა. დ. გ. ს.-ის 2022 სტატისტიკური ანგარიში)
3. კანონი ბუღალტრული აღრიცხვის,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ)
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი)
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 70-ე მუხლი)
6. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი)
7. საქართველოს მთავრობის დადგენილება №473)

Some challenges related to tax litigation in Georgia

Murman Tsikubadze

Affiliated Assistant Professor of Tbilisi Free Academy, mtsikubadze@freeacademy.edu.ge

Abstract

In general, the tax field is very complex, it is an important part of every country and also affects every citizen of the country. Issues related to taxes always lead to different opinions. It is usually a big challenge for the country's rulers to maintain a balance between the interests of taxpayers and the interests of the state.

Regarding taxes, one of the most important issues is tax litigation, which also has its own challenges in our country.

A tax dispute can be initiated after a tax audit. In Georgia, tax disputes are considered in the system of the Ministry of Finance of Georgia and in court.

In this paper, we review the basis of the dispute, stages and related challenges.

The challenge is the qualification of tax examiners or auditors, based on practice there are frequent cases when taxpayers are often fined with inappropriate amounts, there are frequent facts when this or that fine does not belong to the subject at all. This is evidenced by the annual report of the Dispute Review Board of the Ministry of Finance of Georgia, where the cases when fully or partially satisfied are almost 1/3 of all complaints.

A challenge is also the appeal deadline, which is universal, does not take into account the size category of enterprises and/or the complexity of the disputed issue. To put it simply, a company in the first dimensional category has exactly the same time limit to file a dispute as a company in the fourth dimensional category.

Key words: tax field, taxes, tax dispute, tax audit.

საქართველოში მწვანე ეკონომიკის და მდგრადი განვითარების დანერგვის თანამედროვე ტენდენციები

გია დუჩიძე[1] თამარ პირგასიმოვა[2] მურთაზ ტალახაძე[3]

[1]ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
[2]დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერი
[3]დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერი

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია მწვანე ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მნიშვნელობა, მათი დანერგვის სხვადასხვა ტენდენციები და უპირატესობები. ასევე, რა სახის ღონისძიებები ხორციელება, რომ შემცირდეს წიაღისეულ საწვავებზე დამოკიდებულება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოში დღის აქტიურ რეჟიმში დგას რიგი საკითხები, რომლებიც ხელს უწყობს გარემოსდაცვით ფაქტორებს, ჩვენივე ქვეყნის მოქალააქების მდგრადი და ,,მწვანე" მომავლის უზრუნველსაყოფად. საქართველო აქტიურად მუშაობს ბუნებრივი რესურსების დაცვისა და შენარჩუნების მხრივ, რომლის მიმართულებითაც წინგადადგმული ნაბიჯები მეტად მნიშვნელოვანია. როგორიცაა, მაგალითად : ენერგო ეფექტურობის განცორციელება, განახლებადი ენერგიების პოპულარიზაცია და ა.შ.

,,მწვანე" ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების დანერგვა არის გრძელვადიანი მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს მომავალი თაობისთვის და ჩვენი ეკოსისტემისათვის ჯანსაღი პირობების შექმნას.

საკვანძო სიტყვები: მწვანე ეკონომიკა, ეკონომიკა, მდგრადი განვითარება

,,მწვანე" ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მთავარ მიზანს წარმოადგენს გარემოს მდგრადობის ხელშეწყობა. იგი ფოკუსირებული არის ბუნებრივი რესურსების კონსერვირებაზე და განახლებადი ენერგიების წყაროების გამოყენების ხელშეწყობაზე. მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების დანერგვის ტენდენციები მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას, რომელშიც ჩართული იქნება არა მხოლოდ მთავრობები და კერძო პირები , არამედ სხვადასხვა დაინტერესებული პირებიც. აღსანიშნავია, რომ მწვანე ეკონომიკის განხორციელება მოითხოვს გრძელვადიოან პერიოდს, პასუხისმგებლობას, მონიტორინგს, კონტროლსა და ცვლილებებთან ადაპტაციას. დღეს-დღეისობით ყველა განვიათარებული ქვეყანა აქტიურად არის ჩართული გარემოსდაცვით საკითხებში, მათ შორის საქართველოც, სადაც რამდენიმე ცვლილება განხორციელდა, ,,მწვანე'' ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების დანერგვის მიზნით. მთავრობას ასევე შემუშავებული აქვს მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია. თანამედროვე სამყაროში, მოსახლეობის დიდი ნაწილი უკვე უპირატესობას ანიჭებს ჯანსაღი პროდუქციის მოხმარებას. მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა ავტომატურად ნიშნავს ინვესტიციებს სუფთა ტექნოლოგიებში. ,,მწვანე'' ეკონომიკა არის ეკონომიკური სისტემა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს მდგრადი განვითარებისა და გარემოსდაცვითი რისკების შემცირება, რომელიც ხორციელდება ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის განვითარების საფუძველზე.

ეს არის ეკოლოგიური მოთხოვნების , რესურსების რაციონალური გამოყენების და ბუნების კვლაწარმოების პროცესების შენარჩუნება, რომელიც უზრუნველყოფს ცოცხალი არსებების უსასაფრთხოებას. ასევე, მწარმოებლურობის გაზრდის საშუალებით საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების განხორციელება. იგი მოიცავს რიგ საფეხურებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შესაქმნელად, სადაც ყურადღება გამახვილებული არის როგორც მის აქცენტზე, ასევე მდგრადობაზე. პარალელურად არსებობს ,,ყავისფერი" ეკონომიკა, რომელიც ნიშნავს, ჩვეულებრივ ტრადიციულ ეკონიკას, სადაც წარმოების პროცესში ნახშირბადის მაღალ შემცველობასთან, რესურსების მფლანგველურ და სოციალურ ექსკლურიურობასთან გვაქვს საქმე. ასევე, ბიომრავალფეროვნების განადგურება, ბუნებრივი რესურსების ინტენსიური გამოყენება, გამონაბოლქვი და ა.შ . ,,მწვანე'' ეკონომიკა კი პირიქით, ნახშირბადის დაბალი შემცველობით, ასევე რესურსების რაციონალური მოხმარებითა და სოციალური ინკლუზიურობით. იგი ასევე მოიცავს სუფთა წარმოებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ენერგოეფექტიანობასა და საზოგადოებრივი ნდობის გაზრდას. მისი საშუალებით ხდება არა მხოლოდ შენარჩუნება, არამედ არდგენა ბუნებრივი კაპიტალის. აღსანიშნავია, რომ ,,მწვანე'' ეკონომიკა შემუშავდა მდგრადი განვითარების საფუძველზე. მის მთავარი გამოწვევაა რომ შექმნას მაქსიმალურად ეკოლოგიურად სუფთა უსაფრთხი გარემო, არსებული რესურსების ეფექტური და რაციონალური გამოყენება, მათი ეკოკლოგიურად სუფთა რესურსების ჩანაცვლებით, ახლანდელი და ჩვენი მომავალი თაობებისათვის.

,,მწვანე" ეკონომიკა მოიცავს ექვს მთვარ სექტორს:

1. განახლებადი ენერგია - ეს შესაძლოა იყოს მზის, გეოთერმული, ქარის ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერგია.
2. მწვანე შენობები - ენერგიის მწვანე მოდიფიკატორები.
3. სუფთა ტრანსპორტი - ალტერნატიული საწვავი, ჰიბრიდული ელექტრო სატრანსპორტო საშუალებები
4. წყლის მენეჯმენტი - წყლისა და წვიმის გამწმენდი სისტემები .
5. ნარჩენების მართვა - ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება
6. მიწის მართვა - ორგანული სოფლის მეურნეობა ტყეების განაშენიანება.

,,მწვანე" ეკონომიკის დანერგვის ტენდენციები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ,,მწვანე'' ეკონომიკა აბალანსებს გარემოს დაცვასა და სოციალურ კეთილდღეობას. მისი განვიტარება შესაძლებელი არის სხვადასხვა სექტორში, მაგალითად: ენერგეტიკა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ნარჩენების მართვა და ა.შ. არსებული ეკონომიკის მწვანე ეკონომიკით შეცვლა გულისხმობს, როგორც ინვესტიციებს სუფთა ტექნოლოგიებში , ასევე მწვანე სამუშაო ადგილების პოპულარიზაციას, მდგრადი მოხმარების მოდელების პოპულარიზაციას. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ეს არის გრძელვადიანი პერსპექტიული პროცესი, მისი დანერგვა ხორციელდება სხვადასხვა დაინტერესებული პირებისგან. განვიხილოთ შესაბამისი მიმართულებები.

1. პოლიტიკა და რეგულაციები - მთავრობას შეუძლია მნიშვნელოვანი ძვრები

მოახდინოს ქვეყანაში ,,მწვანე'' ეკონომიკის განვიტარების თვალსაზრისით, მაგალითად : განახლებადი ენერგიების გენერირების მიზნების დასახვა და ნახშირბადის ფასების მექანიზმების დანერგვა მწვანე ბიზნესების წახალისების და გარემოსდაცვითი რეგულაციების აღსრულების მიზნით.

2. ინვესტიეციები - მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა ავტომარტურად ნიშნავს ინვესტიციებს სუფთა ტექნოლოგიებში. განახლებადი ენერგიებისთვის ენერგოეფექტური ინფრასტრუქტურა და მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკა. ამის განხორციელება შესაძლებელი არის კვლ;ევითი ინსტიტუტების დაფინანსებით, გრანტებისა და სუფსიდიების გაცემით და კერძო ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის.
3. განათლება- მწვანე ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მისი ცნობადობა საზოგადოებაში, თუ რამდენად არიან ისინი ინფორმირებულები, მწვანე ეკონომიკისთვის დამახასიათებელი სიკეტეებით. რომლის განხორცილება შესაძლებელია სხვადასხვა კამპანიების დაგეგმვით ასევე ვორკშოფებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით. რომლიც ხელს უწყობს საზოგადოება მიისწრაფოდეს უფრო მწვანე ცხოვრების წესისკენ.
4. მწვანე სამუშაო ადგილები - ეს იმ უნარების განვითარების ხელის შემწყობი კომპონენტია რომელიც განავითარებს ,,მწვანე" ეკონომიკას. მთავრობას შეუძლია მხარი დაუჭიროს მწვანე სამუშაოების შექმნას, ბიზნესებითვის ტრენინგ პროგრამების და სტიმულირების გზით.
5. თანამშრომლობა - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ასევე მთავრობებსა და ბიზნესებს შორის თანამშრომლობა და პარტნიორობა არის გადამწყვეტი, რაც ხელს სეუწყობს, როგორც ცოდნის და რესურსების ,ასევე გამოცდილების გაზიარებას და გარემოსდაცვისთვის სხვადასხვა ინოვაციური გადაწყვეტილებებისა და იდეების შემუშავებას.
6. წარმოება - მდგრადი მოხმარების წახალისება აუცილებელია, ეს შესაძლებელი არის, რომ განხორციელდეს გადამუშავებისა და ნარჩენების შემცირების ხელშეწყობით, როგორც ადგილობრივი, ასევე ორგანული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერით.
7. გარემოს დაცვა - ის ცდილობს ნულამდე დაიყვანოს უარყოფითი გავლენა ეკოსისტემაზე , შეამცირეოს რესურსების მოხმარება და გადაჭრას ისეთი საკითხები, როგორებიცაა: კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა, დაბინძურება და ა.შ
8. რესურსების ეფექტურობა - ეს არის მწვანე ეკონომიკის ფუნდამენტური ასპექტი. ის გულისხმობს ენერგიის, წყალის, მასალების და სხვა რესურსების უფრო ეფექტურად გამოყნებეას. ასეევ გარემოს დეგრადაციის შემცირებას.

,,მწვანე" ზრდა და ,,მწვანე" დასაქმება

მწვანე დასაქმება ეხება ისეთ სამუშაო ადგილებს რომლებიც იქმნება ინდუსტრიაში მათ მთავარ პრიორიტეტს კი წარმოადგენს მდგრადობა და გარემოს დაცვა. ეს სამუშაოები გვხვდება ენერგოეფექტურ, ნარჩენების მართვას, მდგრადი სოფლის მეურნეობისა და მწვანე მშნებელობის სექტორებში. მწვანე ზრდა კი გულისხმობს ეკონომიკურ

განვითარებას რომელიც არის ეკოლოგიურად მდგრადი, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელს უწყობს დაბალი ნახშირბადის გამონაბოლქვს, რესურსების ეფექტურ გამოყენებასა და ეკოსისტემის დაცვას. მწვანე სამუშაო ადგილების რაოდენობის გაზომვა მოიცავს მწვანე ინდურსტრიებში შექმნილი სამუშაო ადგილების მთლიან რაოდენობას. ასევე ინვესტიციები ხორციელდება მწვაე სექტორებში გამოყოფილი ფინანსური რესურსების რაოდენობა განახლებადი ენერგიის პროექტები ან მდგრადი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. რაც შეეხება, ნახშირბადის ემიისისს შემცირებას, მას შეუძლია ასახოს კლიმატის ცვლილებების შემცირება. ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება, რომელიც აჩვენებს პროგრესს ენერგიის მოხმარების შემცირებასა და ენერგიის მდგრადი გამოყენების ხელშეწყობაში. ბუნებრივი რესურსების კონსერვაცია - ანუ ეკოსისტემის შენარჩუნება.

ამ ინდიკატორების საშუალებით ხდება მწვანე ზრდისა და დასაქმების შეფასება, შემუშავებული ინიციატივებისა და პროგრესების თვალსაჩინო ასახვა. სწორედ მათი საშალებით ხორციელდება კონტროლი და შედარება თუ რამდენად განხორციელდა უფრო მდგრად ეკოლოგიურად სუფთა ეკონომიკისაკენ სწრაფვა.

GGEI

მსოფლიოში არსებობს გლობალური მწვანე ეკონომიკის ინდექსი ,,GGEI” რომელიც ზომავს ქვეყნების ეფექტურობასა და მიზიდველობას მწვანე ეკონომიკის თვალსაზრისით. აღსანიძნავია , ის ფაქტი ,რომ GGEI - ის რეიტინგი არის სუბიექტური და შესაძლებელია განსხვავდებოდეს გამოყენებული კრიტერიუმების მიხედვით. 2022 წლის მონაცემებით, 160 ქვეყანას მოიცავს, GGEI წარმოადგენს ახალ მიდგომას ეროვნული მდგრადობის ეფექტურობის გაზომვისთვის: 18 ინდიკატორის თითოეულისაფეხურს , იგი განიხილავს როგორც პროგრესის ხარისხს, რომელსაც თითოეულმა ქვეყანამ მიაღწია 2005 წლიდან 2020 წლამდე,ასევემისდაშორებასგლობალურადდამკვიდრებულიმდგრადობისმიზნებისგან. GGEI აერთიანებს სამ სოციალურ ინდიკატორს: შემოსავლების თანასწორობა, გენდერული თანასწორობა სამუშაო ადგილზე და გენდერული თანასწორობა მმართველობაში. მიუხედავად იმისა, რომ გენდერული თანასწორობისკენ მიმართული მცდელობები ზოგადად უმჯობესდება, შემოსავლების თანასწორობა არ არის, რადგან GGEI-ში შემავალი 160 ქვეყნიდან დაახლოებით ხედავს მზარდ შემოსავლის უთანასწორობას 2005-2020 წლებში.შვედეთი კვლავ არის GGEI-ის მთლიანობაში საუკეთესო შემსრულებელი, სხვა ევროპული ქვეყნები ავსებენ ინდექსის პირველ ადგილს, მათ შორის გაერთიანებული სამეფო და გერმანია. სხვა გლობალური ემიტენტებიდან არცერთი არ მუშაობს კარგად: ჩინეთი 58-ე ადგილზეა; შეერთებული შტატები 38-ე; ინდოეთი 144-ე, ბრაზილია 52-ე; ინდონეზია 154-ე; მექსიკა 78-ე; კორეა 59-ე; იაპონია 47-ე; და კანადა 37-ე. რაც შეეხება საქართველოს, მან მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა მწვანე ეკონომკის განვითარებისა და დანერგვის ტენდენციების თვალსაზრისით. საქართველომ განახორციელა სხვადასხვა სახის ინიციატივები, ენერგო ეფექტურობის ზრდის, განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მიზნით. 2018 წელს საქართველო 44_ე ქვეყანა იყო GGEI _ის შეფასებით.

,,მწვანე“ ეკონომიკის და მდგრადი განვითარების დანერგვის ტენდენციები საქართველოში

მდგრადი ეკონომიკური განვითარების სფეროში, საქართველოში მოქმედებს მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგია 2021-2024 წლების პერიოდისთვის, რომელიც აერთიანებს გენდერულ მიმართულებას ბიზნესის სექტორში ქალთა და მამაკაცთა ეკონომიკური მონაწილეობის რაოდენობრივი თანასწორობის გათვალისწინებით მდგრადი დაფინანსების გზამკვლევის" მიღების შედეგად, ეროვნული ბანკი წამყვან როლს შეასრულებს საქართველოში მწვანე და სოციალური ფინანსური სტანდარტების შემუშავებაში. განახლებადი ენერგია: საქართველო ახორციელებდა ინვესტიციებს განახლებადი ენერგიის წყაროებში, განსაკუთრებით ჰიდროენერგეტიკაში. ქვეყანას აქვს ჰიდროელექტროსადგურებისმნიშვნელოვანირაოდენობა,რაცხელსუწყობსმისენერგეტიკულ დამოუკიდებლობას და ამცირებს წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულებას.

1. ენერგო ეფექტურობა: მოიცავს ინიციატივებს, როგორიცაა ენერგოეფექტური შენობის სტანდარტები და ენერგიის დაზოგვის ტექნოლოგიების პოპულარიზაცია.
2. მდგრადი სოფლის მეურნეობა: საქართველო ფოკუსირებულია მდგრად სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაზე, მათ შორის ბიო მეურნეობაზე და ადგილობრივი და ტრადიციული საკვების წარმოების ხელშეწყობაზე. ქვეყანა ასევე მუშაობდა სოფლის მეურნეობაში წყლის მენეჯმენტის გაუმჯობესებაზე, რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად.
3. დაცული ტერიტორიები: ეროვნული პარკები და ნაკრძალები, რათა შეინარჩუნოს თავისი მდიდარი ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი მემკვიდრეობა. ეს სფეროები იმართება რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად და ეკოტურიზმის ხელშეწყობისთვის. (მაგალითად, ალგეთის ეროვნული პარკი)
4. ნარჩენების მართვა: მიმდინარეობს ძალისხმევა გადამუშავების მაჩვენებლების გაზრდისა და ნარჩენების გამოყოფისა და სათანადო განკარგვის მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით.

საქართველოში ნარჩენების მართვის ერთ-ერთი მაგალითია გადამუშავების პროგრამების ჩამოყალიბება. დღეს-დღეისობით, ბევრ ქალაქში არის გადამუშავების ურნები, სადაც მაცხოვრებლებს შეუძლიათ გამოაცალკეონ გადამუშავებადი მასალები, როგორიცაა ქაღალდი, პლასტმასი, მინა და ლითონი. გარდა ამისა, არსებობს გადამუშავების ცენტრები და ობიექტები, რომლებიც ამუშავებენ და გადაამუშავებენ ამ მასალებს. ეს ხელს უწყობს ნარჩენების რაოდენობის შემცირებას, რომელიც მთავრდება ნაგავსაყრელებზე და ხელს უწყობს ნარჩენების მართვის უფრო მდგრად მიდგომას.

ასევე, მზის ელექტროსადგურების მშენებლობა. მაგალითად, ქვეყანას აქვს ყველაზე დიდი მზის ელექტროსადგური კავკასიის რეგიონში, რომელსაც გარდაბნის მზის პარკი

ჰქვია. მას აქვს 100 მეგავატი სიმძლავრე და ხელს უწყობს ქვეყნის განახლებადი ენერგიის მიზნებს.

კიდევ ერთი მაგალითია ქარის ენერგიის პროექტების განვითარება. საქართველოს გარკვეულ რეგიონებში ქარის ხელსაყრელი პირობები აქვს, რაც მას ხელსაყრელ ხდის ქარის ენერგიის წარმოებისთვის. ქვეყანას აქვს რამდენიმე ქარის ელექტროსადგური, როგორიცაა შუახევის ქარის ელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე 185 მეგავატია.

ავტოსატრანპორტო საშუალებების ხილული გამონაბოლქვის კონტროლი დაიწყეს რომელიც 2023 წლის 4 სექტემბრიდან შევიდა ძალაში და შესაბამის ფინანსურ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული მისი დარრვევა. აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ დღეს საქართველოში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ,,ქარი"_ს მოპედები და მანქანები, რომელიც არ გამოყოფს გამონაბოლქვს, შესაძლებელია მისი შეძენა ან ქირაობა, რომლის გაჩერებაც შესაძლებელი არის მწვანედ მონიშნულ ზონებში.

კოვიდ 19_ი და ,,მწვანე"ეკონომიკა

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კოვიდ პანდემიის დროს უფრო ნათლად გამოჩნდა მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვიტარების მნიშვნელობა და გარკვეულ წილად ხელი შეუწყო მის განვიტარებას და დანერგვის ტენდენციას.

1. ჯანმრთელობა და გამძლეობა - პანდემიამ ხაზი გაუსვა ჯანსაღი გარემოს მნიშვნელობას ადამიანის კეთილდღეობისთვის. მწვანე ეკონომიკის განვითარება, ცნობილია, რომ ფოკუსირებულია მდგრად პრაქტიკაზე და დაბინძურების შემცირებაზე.
2. ეკონომიკური აღდგენა - ინვესტიციებს მწვანე სექტორებში შეუძლია ეკონომიკური ზრდის სტიმულირება და სამუშაო ადგილების შექმნა. მწვანე ტექნოლოგიებს, განახლებად ენერგიას და მდგრად ინფრასტრუქტურას შეუძლია ინოვაციების გააქტიურება და ეკონომიკური აღორძინების შესაძლებლობა.
3. კლიმატის ცვლილების შერბილება - პანდემიამ დროებით შეამცირა ნახშირბადის გლობალური გამონაბოლქვი ჩაკეტვის ზომების გამო. ამან ხაზი გაუსვა ტრანსფორმაციული ცვლილებების პოტენციალს და კლიმატის მოქმედებების პრიორიტეტის მინიჭების აუცილებლობას. მწვანე ეკონომიკის განვითარებას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს სათბურის გაზების ემისიების შემცირებაში და კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილებაში.(მანქანები რომ არარ მოძრაობდნენ, ქარხნები აღარ მუშაობდნენ და ა.შ სხვადასხვა საშუალებები იყო შეზღუდული, რომლებიც გამოყოფენ დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგს და აბინძურებენ გარემოს)
4. მდგრადი მიწოდების ჯაჭვები - განახლდა ადგილობრივი და მდგრადი წარმოება, ისევე როგორც მდგრადი და წრიული ეკონომიკის აშენების აუცილებლობა გაიზარდა. მწვანე ეკონომიკის განვითარებას შეუძლია ხელი შეუწყოს მდგრადი წყაროების მიღებას, შეამციროს ნარჩენები და გააძლიეროს მიწოდების ჯაჭვის მდგრადობა.

საერთო ჯამში, Covid-19-ის პანდემიამ ხაზი გაუსვა უფრო მდგრად ეკონომიკაზე გადასვლის მნიშვნელობას. მწვანე ეკონომიკის განვითარებას შეუძლია გაუმკლავდეს

გარემოსდაცვით გამოწვევებს, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, აღადგინოს ეკონომიკა და ასევე, წვლილი შეიტანოს კლიმატის ცვლილების შერბილებაში.

დასკვნა

ამრიგად,ეკონომიკადამდგრადიგანვითარებასულუფროდაუფროდიდმნიშვნელობას იძენს თანამედროვე მსოფლიოში. შეიძლება ითქვას, რომ შემდეგი ათწლეული ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული დარგი. ეკონომიკური განვითარების ეს მიმართულება თითქმის ყველა სფეროში და ყველა ქვეყანაში გვახსენებს თავს და თითქოს მოგვიწოდებს, რომ დროულად მივიღოთ ზომები და დავიწყოთ მისი დანერგვა არა მხოლოდ ეკონომიკურ საქმიანობაში, არამედ საზოგადოების ცნობიერებაშიც. ასევე, ხელი უნდა შევუწყოთ გარემოს მდგრადობას, როგორც ახლანდელი და მომავალი თაობის, ასევე ეკოსისტემის ჯანსაღი მომავლისათვის.

ბიბლიოგრაფია

1. https://geoeconomics.ge/?p=12751
2. https://dualcitizeninc.com/results-from-the-2022-global-green-economy-index-ggei/
3. https://qari.eco/faq/;https://newspaper.tsu.ge/ge/articles/view/166
4. https://eas.tsu.ge/%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/8479/
5. https://mail.google.com/chat/u/0/#chat/dm/0sA--kAAAAE

Modern trends of introduction of green economy and sustainable development in Georgia

Gia Duchidze[1] Tamar Pirgasimova[2] Murtaz Talakhadze[3]

[1] Doctor of Business Administration, Associate Professor

[2]. Cadet of the National Defense Academy named after Davit Agmashenebeli

[3]. Cadet of the National Defense Academy named after Davit Agmashenebeli

Abstract

The following article is about the meaning of a ,,green'' economy and sustainable development, different trends and advantages of their implementation. Also, what kind of measures are being taken that will reduce dependence on fossil fuels. It should also be noted that there are several issues that contributed to the environmental protection factors in the active change in Georgia. Georgia works to protect and preserve natural recourses, and the steps taken in this direction are very important. Such as, for example: implementation of energy, promotion renewable energies, etc.

Implementation of ,,green" economy and sustainable development is a long-term and important process, which ensures the creation of healthy conditions for future generations and our eco-syste

ქცევითი ეკონომიკა

ქეთევან ჭიაბრიშვილი[1] ლუკა ასანაშვილი[2] თორნიკე ბაბუციძე[3]

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის ასოცირებული პროფესორი, ktchiabrishvili@freeacademy.edu.ge

[2]დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერი

[3]დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერი

აბსტრაქტი

როდესაც ეკონომისტები მოდელებს ქმნიან, ისინი თვლიან, რომ საზოგადოება რაციონალური და პროგნოზირებადია. თუმცა, როცა რეალურ ადამიანებს ვაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ისინი იმპულსურები, შორსმჭვრეტელნი და ხშირ შემთხვევაში უბრალოდ ირაციონალურები არიან. ნაშრომი ეხება ინდივიდების ეკონომიკური კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს, ქცევით ეკონომიკას. უფრო ზუსტად, იმ ეკონომიკურ ეფექტს, რომელიც ადამიანების გადაწყვეტილების მიღების საფუძველი ხდება.

ქცევითი ეკონომიკა ეკონომიკის ქვედარგია, რომელიც ფოკუსირებულია იმ ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ემოციურ ფაქტორებზე, რომელიც გავლენას გადაწყვეტილების მიღებაზე ახდენს. აღნიშნული საკითხი 1759 წელს, ჩვენმა ძველმა მეგობარმა, ადამ სმიტმა მორალური გრძნობების თეორიაში განიხილა, მაგრამ ეკონომისტთა თაობებმა აირჩიეს ნაკლები ყურადღება მიექციათ, გადაწყვეტილების მიღების მრავალი ირაციონალურ ელემენტს, რადგან ეს ართულებს ადამიანის ქცევის პროგნოზირებას. და მაინც, ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, ქცევითმა ეკონომიკამ კვლავ მიიქცია ყურადღება. რამდენიმე მკვლევარს, რომლებმაც ეკონომიკასა და ფსიქოლოგიის რამდენიმე ასპექტი გააერთიანეს, ნობელის პრემიაც მიენიჭა, ხოლო ქცევითი ეკონომიკის მნიშვნელობა, უფრო მეტად ხდება ყურადღებამისაქცევი ისეთ სფეროებში, როგორიცაა მარკეტინგი, ფინანსები, პოლიტიკური მეცნიერებები და საჯარო პოლიტიკა.

საკვანძო სიტყვები: ქცევითი ეკონომიკა, შემოსაზღვრული ირაციონალურობა, ჩარჩოს ეფექტი, რისკი, სტიმულის თეორია.

შემოსაზღვრული რაციონალურობა

ადამიანის ირაციონალური ქცევა არ უარყოფს ეკონომიკური ქცევის შესახებ იმ ძირითად მოსაზრებებს, რასაც ეკონომიკის სახელმძღვანელოებსა თუ სხვადასხვა ლიტერატურაში ვხვდებით. ეს უბრალოდ სირთულის კიდევ ერთ ფენას მატებს, რითაც ეკონომიკის ფენომენი უფრო საინტერსეო ხდება. ახლა, უმეტეს შემთხვევაში, ადამიანები რაციონალურები არიან, როდესაც პროდუქტზე ფასი ეცემა, ადამიანებს აქვთ მიდრეკილება, რომ მეტი იყიდონ ეს პროდუქტი. ასე რომ, მოთხოვნის კანონი მოქმედებს. მაგრამ ეკონომისტები ასევე აღიარებენ, რომ რაციონალურობა შეზღუდულია. ინფორმაციის, დროისა და შესაძლებლობების შეზღუდვამ შეიძლება ხელი შეუშალოს ადამიანებს საუკეთესო შედეგის ძიებაში. მაგალითად, თუ ნაყინის ფასი მართლაც დაბალია, მომხმარებლებმა შეიძლება მეტი არ იყიდონ, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს ეს. სინამდვილეში, მათ შეიძლება ნაკლები იყიდონ, თუ ფიქრობენ, რომ დაბალი ფასი ავტომატურად ნიშნავს, რომ ნაყინის გემო საშინელი იქნება. ახლა, თუ ეს მოხდება,

მაშინ მოთხოვნის კანონი არ მოქმედებს, რაც სერიოზულ პრობლემას ქმნის კლასიკურ ეკონომიკაში. ვგულისხმობ, ეს მოთხოვნის კანონია. არ შეიძლება გქონდეს სიტუაცია, რომელიც არღვევს კანონს და ამას მაინც ვუწოდოთ კანონი, არა? ეს არ ხდება სხვა დისციპლინებში, როგორიცაა ფიზიკა, მაგრამ აქაც ვიპოვით გამონაკლისებს რაოდენ ზუსტ მეცნიერებასთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე. ფიზიკაში ნიუტონის კანონები, ისევე როგორც გრავიტაცია, უმეტეს შემთხვევაში ჭეშმარიტია, მაგრამ ისინი იშლება კვანტურ დონეზე, სადაც არც თუ თვალნათლივ ასახავს ყველაფერს. ისინი ხსნიან პლანეტებისა და მათ ორბიტებს შორის ურთიერთობას, მაგრამ მათ უფრო უჭირთ ელექტრონების თვისობრიობის განმარტვა ზოგირთ საკითხში. შესაბამისად ეკონომიკაშიც ასეა, კლასიკურმა ეკონომიკურმა თეორიამ საკმაოდ კარგად ახსნა დიდი სურათი, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, რაც ჩვენ ბოლომდე არ გვესმის. (დ. არიელი 2008)

ინფორმაციის ნაკლებობა

ნაყინის მაგალითში ერთ-ერთი პრობლემა ინფორმაციის ნაკლებობაა. კლასიკური ეკონომიკა ვარაუდობს, რომ მომხმარებელს აქვს სრულყოფილი ინფორმაცია არჩევანის გაკეთებისას. ანუ მათ იციან ან სულ მცირე, შეუძლიათ სწრაფად მიიღონ ინფორმაცია ფასებისა და ხარისხის შესახებ. მაგრამ სინამდვილეში, ეს სულაც არ არის ასე. რა თქმა უნდა, მომხმარებელს შეუძლია იკითხოს გარშემო ან დაურეკოს მეგობრებს, რომ გასინჯეს თუ არა ამ ტიპის ნაყინი, მაგრამ ისინი ამას ძირითად შემთხვევაში არ გააკეთებენ. ამ სიტუაციაში მომხმარებელს შეუძლია იმოქმედოს შეზღუდული ინფორმაციის მიხედვით. მათ საეჭვოდ დაბალი ფასი აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაყინს ხელმისაწვდომ ფასად მიიღებენ, რაც ძალიან კარგია, ან მეორეს მხრივ მას შეიძლება მაიონეზის გემოც ჰქონდეს. მათ უბრალოდ არ იციან. ფასები უამრავ სიგნალს აგზავნის და მეცნიერებაც კი არსებობს იმის შესახებ, თუ როგორ ცვლის ფასები აღქმას. კალიფორნიაში ჩატარებულმა კვლევამ გააანალიზა ადამიანების მიდგომა, რომლებიც ამოწმებდნენ სხვადასხვა წითელ ღვინოს. მკვლევარებმა მონაწილეებს მისცეს ყალბი ფასები და დააკვირდნენ თუ რა შეფასებას მისცემდნენ და როგორ რიაგირებდა მათი გემოვნური რეცეპტორები სიამოვნების დონის დასადგენად. შედეგები გასაკვირი იყო, როდესაც მათ მიაჩნდათ, რომ მაღალფასიან ღვინოს აგემოვნებდნენ, მათ ნამდვილად მოსწონდათ ღვინო. ეს მართალი იყო მაშინაც კი, როდესაც სუბიექტებს აძლევდნენ ზუსტად ერთსა და იმავე ღვინოს, მაგრამ უთხრეს, რომ ეს იყო განსხვავებული, შესაბამისად ასეთმა ღვინომ უფრო მაღალი შეფასება დაიმსახურეს. ეკონომიკის ძირითადი ვარაუდებისგან განსხვავებით, მარკეტინგულმა ქმედებებმა შეიძლება წარმატებით იმოქმედოს გამომცდელების სიამოვნებაზე,საქონლის არა შინაგანი ატრიბუტების მანიპულირებით. ამ მაგალითიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ფაქტორი რასაც ყურადღება უნდა მივაქციოთ არის აღქმის შეცვლა. იდეა, რომ აღქმა და ვნებები გავლენას ახდენს ჩვენს ქმედებებზე, ასევე ეხება ფინანსებს. მე-17 საუკუნის ჰოლანდიური ტიტების მანიიდან 2008 წლის ფინანსურ კრიზისამდე, ინვესტორები გახდნენ ირაციონალურები უხვად გვაქ ისტორიაში ისთი შემთხვევები, როდესაც მოქმედებდნენ არა ლოგიკით, არამედ იმით, რასაც ოდესღაც ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინსი უწოდებდა ცხოველურ სულებს. ასე რომ, ქცევითი ეკონომიკა არ

უგულვებელყოფს ტრადიციულ ეკონომიკურ თეორიას. ის უბრალოდ ცდილობს გაიგოს, როდის და რატომ იქცევიან ადამიანები განსხვავებულად, ვიდრე ამას ეკონომიკური მოდელები გვთავაზობენ.

ფასის არაშინაგანი ატრიბუტებით მანიპულირება

ქცევითი ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ექსპერიმენტს, ულტიმატუმის თამაშს უწოდებენ. ამ ექსპერიმენტში ორი მოთამაშე წყვეტს, როგორ გაიზიაროს კონკრეტული თანხა, ვთქვათ 100$. პირველ მოთამაშეს ეძლევა მთელი ფული და შემდეგ სთხოვენ შესთავაზოს მეორე მოთამაშესთან მისი გაყოფის გზა. ახლა, თუ მეორე მოთამაშე მიიღებს გარიგებას, ორივე მოთამაშეს შეუძლია შეინახოს ფული. მაგრამ თუ მეორე მოთამაშე უარს იტყვის, ვერავინ შეძლებს ფულის შენარჩუნებას. როდესაც პირველი მოთამაშე სთავაზობს ფულის გაყოფას 50/50, მეორე მოთამაშე თითქმის ყოველთვის იღებს ამ შემოთავაზებას. მაგრამ რა ხდება, როდესაც პირველი მოთამაშე გვთავაზობს არათანაბარ გაყოფას, როგორიცაა 80/20-ზე? მიიღებთ თუ არა ამ შეთავაზებას? ისე, გამოდის, რომ ნაკლებად თანაბარ შემოთავაზებებს ხშირად უარყოფენ. შეიძლება ეს ერთი შეხედვით არ ჩანს, მაგრამ ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება კლასიკურ ეკონომიკურ თეორიას. ეს ირაციონალურია. რაციონალური არჩევანი იქნება, რომ მეორე მოთამაშე დაეთანხმოს ნებისმიერ შეთავაზებას, თუნდაც ეს მხოლოდ დოლარი იყოს. ვგულისხმობ, ბოლოს და ბოლოს, დოლარი ჯობია არაფერს. მაგრამ ადამიანის ქცევა არ არის მოტივირებული მხოლოდ მოგებით. ის ასევე ჩამოყალიბებულია რთული იდეებით, როგორიცაა სამართლიანობა, უსამართლობა და შურისძიებაც კი. ულტიმატუმის თამაში გვიჩვენებს, რომ ადამიანები ყოველთვის არ არიან ისეთი პროგნოზირებადი, როგორც ბევრ ეკონომისტს ჰგონია.

ჩარჩოს ეფექტი

საზოგადოება რომ სრულიად რაციონალური იყოს, ისინი მუდმივად მიიღებდნენ ერთსა და იმავე გადაწყვეტილებას იდენტური ვარიანტების გათვალისწინებით. მაგრამ ზოგჯერ ხალხის არჩევანი, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის წარმოდგენილი ვარიანტები. ფსიქოლოგები ამ ტიპის კოგნიტურ მიკერძოებას კადრის ეფექტს უწოდებენ. ვგულისხმობ, გირჩევნიათ ჭამოთ საქონლის ხორცი, რომელიც 75% უცხიმოა თუ 25% ცხიმით? გირჩევნიათ გათამაშებაში მონაწილეობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ყოველი ათასი მოთამაშიდან ერთი გამარჯვებულია? ან გათამაშება, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ 999 დამარცხებული იქნება? დაუჭერდით მხარს კანონს, რომელსაც ჰქვია „გავაუმჯობესოთ ჩვენი სკოლების იერსახე“ ან კანონს, რომელსაც ჰქვია „გაზარდეთ ჩვენი გადასახადები“? თითოეული ეს სცენარი შეიძლება ჩამოყალიბდეს ისე, რომ გავლენა მოახდინოს თქვენს გადაწყვეტილებაზე. კლასიკური ეკონომიკა ამტკიცებს, რომ ჩარჩოებს შედარებით მცირე გავლენა უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღებაზე, რადგან ადამიანების უმეტესობა რაციონალური და ინტელექტუალურია. მაგრამ რეალურ სამყაროში ადამიანები შეიძლება იყვნენ საკმაოდ ირაციონალურები.

ფსიქოლოგიური ფასი

ასე რომ, ბიზნესებმა დიდი ხანია იციან გადაწყვეტილების მიღების ფსიქოლოგიის შესახებ. მაგალითად, სავარჯიშო დარბაზმა შეიძლება შეცვალოს თავისი საწევრო

გადასახადი და რეკლამირება მოახდინოს, როგორც: მხოლოდ ერთი დოლარი დღეში, რაც, როგორც ჩანს, ბევრად უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე წელიწადში $365. თუნდაც, ტელევიზორი, რომლის ფასიც 499$, უკეთესი გარიგებაა, ვიდრე 500$ ფასიანი. ამას ფსიქოლოგიური ფასი ჰქვია. ამან შეიძლება ადამიანებს აგრძნობინოს, რომ კარგ გარიგებას იღებენ. საინტერესოა, რომ მაღალი დონის საცალო მოვაჭრეები ზოგჯერ პირიქით აკეთებენ. ისინი ადგენენ თავიანთ ფასებს მთლიან დოლარად, ძირითადად მიუთითებენ იმაზე, რომ მათი საქონელი უფრო მაღალი ხარისხისაა, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ ნახოთ ფასდაკლების მაღაზიაში.

სტიმულის თეორია

ქცევით ეკონომისტებს ასევე მოსწონთ საუბარი იმაზე, რასაც სტიმულის თეორია ვუწოდებთ. სტიმულები მოუწოდებს ადამიანებს იმოქმედონ გარკვეული გზით, მათთვის ხელმისაწვდომი არჩევანის შეცვლის გარეშე. ბავშვთა სიმსუქნესთან ბრძოლა ბევრ ქვეყანაში პრიორიტეტია და პოლიტიკის შემქმნელებმა შემოგვთავაზეს გადაწყვეტილებების მთელი სპექტრი, ამასთან დაკავშირებით მიიღეს რეგულაციები, როგორიცაა: სკოლებში სოდის აკრძალვით დაწყებული, ჯანსაღი კვების ხელშემწყობითა, თუ მედია კამპანიებით დამთავრებული. ქცევითი ეკონომისტები პრობლემას ოდნავ განსხვავებულად უყურებენ. მათ სურდათ საზოგადოებას დაენახათ, შეძლებდნენ თუ არა ბავშვები უფრო ჯანსაღად კვებას, თუ სასკოლო კაფეტერიებს გადააკეთებდნენ ისე, რომ ჯანსაღი საკვები, როგორიცაა ხილი და ბოსტნეული უფრო ხელმისაწვდომ ადგილას მოეთავსებინათ და ნაკლებად ჯანსაღ საკვები, როგორიცაა დესერტები, ნაკლებად მოსახერხებელ ადგილებში. კლასიკური ეკონომიკური თეორია ვარაუდობს, რომ ეს იდეა არ იმუშავებს, რადგან რაციონალური ადამიანებს წესით დესერტების და მსგავსი საკვები პროდუქტების მოხამრება უნდა ერჩიათ და ამას მოხმარების რაოდენობაზე გავლენა არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სტუდენტები უფრო ჯანსაღ საკვებს ირჩევენ ამის შემდგომ. სტიმულის თეორია მუშაობს და ის ცვლის, თუ როგორ ვახორციელებთ საჯარო პოლიტიკას. არის საკითხები, რომელთა მოგვარებაც საუკეთესოდ არის შესაძლებელი, თუ სწორი ტიპის სტიმულებს შევარჩევთ.

(“Nudge: Improve Decisions about Health, Wealth, and Happiness” რიჩარდ ჰ. ტალერი და კას რ. სანშტაინი (2008))

რისკი(ნეიტრალურობა და მიმღეობა)

ახლა, სხვა რაკურსიდანაც შევხედოთ ამ საკითხს. ქცევითი ეკონომიკა რისკებსაც აფასებს, ვთქვათ, ვიღაცამ შემოგთავაზათ ორი დალუქული კონვერტი. ერთში არის 100 დოლარი, ხოლო მეორე ცარიელია. შეგიძლიათ აირჩიოთ კონვერტი ან შეგიძლიათ აიღოთ $50 ნაღდი ფული ახლავე. ვინაიდან 100 დოლარის მიღების 50/50 შანსია, მოსალოდნელი ანაზღაურება ან შესაძლო შედეგების საშუალო არის 50 დოლარი. თუ თქვენ მზად ხართ მიიღოთ $50 ნაღდი ფული კონვერტების არ გახსნითვის, მაშინ თქვენი რისკების მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება გაქვთ. მაგრამ თუ თქვენ არ აიღებთ 50 დოლარს და მოგების მაქსიმალიზაციის გამო კონვერტს აირჩევთ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თქვენ რისკებისადმი მიდრეკილი ბრძანდებით. ამ მიმართულებით, არაერთი კვლევაა ჩაატარებული, განსაკუთრებით ზარალის ზიზღის შესახებ, ეს იდეა იმ აზრს ატარებს,

რომ ადამიანებს მტკიცედ სურთ წაგების თავიდან აცილება. კვლევები აჩვენებს, რომ ზოგადად, დანაკარგები უფრო მტკივნეულია, ვიდრე მოგებისგან მიღებული სიამოვნება, ამიტომ ადამიანებმა შეიძლება აირჩიონ მოქმედების უსაფრთხო გზა, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის ყველაზე ლოგიკური არჩევანი. დავუშვათ, მონეტას ვაგდებთ და თუ საფასური მოვა, მე გაძლევ 100 დოლარს, მაგრამ თუ გერბი დაჯდება, 50 დოლარი უნდა მომცეთ. ახლა, მათემატიკურად, თქვენ უნდა დათანხმდეთ ამ შემოთავაზებას, მაგრამ ბევრი ადამიანი ამას არ გააკეთებს, რადგან ისინი წაგების შიშით არიან შეპყრობილნი.

ზარალის ზიზღის გაგება შეიძლება დაეხმაროს ბიზნესს და პოლიტიკის შემქმნელებს გადაწყვეტილებების მიღებაში. მაგალითად, ზოგიერთი სასურსათო მაღაზია ვაშინგტონში, ცდილობდა შეემცირებინა ერთჯერადი პლასტიკური ჩანთების გამოყენება ხუთ ცენტიანი ბონუსების შეთავაზებით, თუ მომხმარებლებმა მოიტანდნენ მრავალჯერადი გამოყენების ჩანთებს, მაგრამ ეს მიდგომა არცთუ ეფექტური აღმოჩნდა. მოგვიანებით მათ სცადეს 5 ცენტი გადასახადი დაეწესებინათ პლასტმასის ჩანთებზე და ამჯერად ხალხმა ნაკლები ერთჯერადი ჩანთები გამოიყენა. ეს იგივე მაგალითია ადამიანების ბუნებაზე, რომ ზარალის ზიზღი ბევრად ძლიერი აღმოჩნდა -0,05$ თითო ჩანთაზე, ვიდრე +0,05$ თითო ჩანთაზე სარგებელისგან მიღებული სიამოვნება. კიდევ ერთმა კვლევამ გვიჩვენა რომ, თუ როგორ შეუძლია ზარალის ზიზღს მიდგომით დაამოტივიროს მენეჯერმა თანამშრომლები. მკვლევარებმა მუშები სამ ჯგუფად დაყვეს. პირველი იყო საკონტროლო ჯგუფი, რომელსაც არ მიეცა ბონუსი. მეორე ჯგუფს დაჰპირდნენ პრემიას წლის ბოლოს კონკრეტული მიზნების მიღწევიდან გამომდინარე. მესამე ჯგუფის მონაწილეებს ბონუსი წლის დასაწყისში გადაეცათ და უთხრეს, რომ მათ უკან მოუწევდათ ამ თანხის დაბრუნება, თუ კონკრეტულ მიზნებს არ მიაღწევდნენ. პირველი და მეორე ჯგუფის მუშების შედეგები დაახლოებით იგივე იყო, მაგრამ მესამე ჯგუფის თანამშრომლების მუშაობის ხარისხი მნიშვნელოვნად უკეთესი აღმოჩნდა. აქედან შეგვიძლია მარტივად დავასკვნათ, რომ ჩვენ უბრალოდ გვძულს წაგება.

დასკვნა

ასე რომ, ქცევით ეკონომიკას ბევრი რამ აქვს სათქმელი. დასასრულს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქცევითი ეკონომიკა იძლევა ღირებულ შეხედულებებს ადამიანის გადაწყვეტილების მიღების შესახებ, ემოციების და კოგნიტური მიკერძოების როლის აღიარებით ქცევის ფორმირებაში. ემოციების დაკვირვებისა და ჩაწერის საშუალებით, ეს სფერო გვთავაზობს რეალისტურ პერსპექტივას იმის შესახებ, თუ როგორ იქცევიან ადამიანები ჭეშმარიტად, რაც ეჭვქვეშ აყენებს კლასიკურ ეკონომიკაში სრული რაციონალურობის დაშვებას. ადამიანის ირაციონალურობის აღიარებამ, რაც დასტურდება ისეთი ფენომენებით, როგორიცაა ჩარჩოს ეფექტი, წახალისების თეორია და ზარალის ზიზღი, ხელი შეუწყო ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების სახეცვლილ გაგებას.

ჩვენ შეიძლება ყოველთვის არ ვიყოთ რაციონალური სხავდასვა საკითხთან მიმართებაში, რასაც წესით კლასიკური ეკონომიკა გვთავაზობს. წლების განმავლობაში ეკონომიკას ამოუხსნელი პარადოქსები ჰქონდა და რა საკვირველი დღესაც აქვს თუმცა, ქცევითი ეკონომიკა გვეხმარება უკეთ გავიგოთ, თუ როგორ ვიღებთ გადაწყვეტილებებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. “Nudge: Improve Decisions about Health, Wealth, and Happiness” რიჩარდ ჰ. ტალერი და კას რ. სანშტაინი (2008)
2. “პროგნოზირებადი ირაციონალური: ფარული ძალები, რომლებიც აყალიბებენ ჩვენს გადაწყვეტილებებს” დ. არიელი (2008)
3. Thinking, Fast and Slow” დანიელ კანემანი (2011)
4. “ქცევის ეკონომიკის გზამკვლევი” BehavioralEconomics.com-ის მიერ.
5. “ქცევითი ეკონომიკის გამოყენება საჯარო პოლიტიკაში შეერთებულ შტატებში” ელდარ შაფირი და ანეშ რაღუნანდანი.
6. https://www.behavioraleconomics.com/ (The Behavioral Economics Guide)
7. https://advanced-hindsight.com/ (https://advanced-hindsight.com/research/#)

Behavioral economics

Ketevan Chiabrishvili[1] Luka Asanashvili[2] Tornike Babutsidze[3]

[1]Associate Professor of Tbilisi Free Academy, ktchiabrishvili@freeacademy.edu.ge

[2]David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia

[3]David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia

ABSTRACT

When economists create models, they assume that society is rational and predictable. However, when we observe real people, we find them to be impulsive, short-sighted, and often just plain irrational. The work deals with one of the important features of economic culture of individuals, behavioral economy. More precisely, the economic effect that becomes the basis of people’s decision-making.

Behavioral economics is a subfield of economics that focuses on the psychological, social, and emotional factors that influence decision making. Our old friend Adam Smith discussed this issue in 1759 in his Theory of Moral Sentiments, but generations of economists have chosen to pay less attention to the many irrational elements of decision-making because it makes it difficult to predict human behavior. And yet, in the last few decades, behavioral economics has regained attention. Several researchers who have combined several aspects of economics and psychology have been awarded Nobel Prizes, and the importance of behavioral economics is gaining more attention in fields such as marketing, finance, political science, and public policy.

Keywords: behavioral economics, bounded irrationality, framing effect, risk, incentive theory.

პირდაპირი უცხოური და პორტფელური ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში

ქეთევან ჭიაბრიშვილი[1] გიული პაქსაძე[2]

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის ასოცირებული პროფესორი, ktchiabrishvili@freeacademy.edu.ge
[2]დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მესამე კურსის სტუდენტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია, პირდაპირი უცხოური (FDI) და პორტფელური ინვესტიციების ნაკლოვანებები და უპირატესობები; დახასიათებული და გაანალიზებულია გრინფილდის ინვესტიცია, ერთობლივი ინვესტიცია, შერწყმა და შესყიდვა და სტრატეგიული ალიანსები. ყურადღება გამახვილებულია პორტფელური ინვესტიციებზე და მასზე მოთხოვნის პირობებში არსებულ პრობლემებზე.

რამდენადაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, ამ კონტექსტით ნაშრომში, სტატისტიკური მონაცემებისა და დიაგრამების საფუძველზე განხილულია ის ქვეყნები, საიდანაც ჩვენს ქვეყანაში ბოლო ათწლეულის განმავლობაში, პროცენტულად ყველაზე მეტი ინვესტიცია შემოვიდა.

წინამდებარე ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, საქართველოში პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების განხორციელებისას არსებულ დაბრკოლებებსა და გამოწვევებს და გაანალიზებულია მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შემქმნელი პირობები.

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი ინვესტიცია, პორტფელური ინვესტიცია, საინვესტიციო გარემო.

ინვესტორებს კაპიტალის უცხოურ ბაზრებზე განთავსებისთვის სხვადასხვა ვარიანტები გააჩნიათ; მათ შორის არსებობს პირდაპირი და პორტფელის ინვესტიცია.

პირდაპირი უცხოური(FDI) და პორტფელური ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივ და გლობალურ ეკონომიკაში, რამდენადაც ბიზნესის გაფართოების საშუალებებს ქმნის. პირდაპირი უცხოური ინვვესტიციები გრძელვადიანი ხასიათისაა და კაპიტალისა და რესურსების ერთი ქვეყნიდან მეორეში გადანაწილებას ნიშნავს. რატომაა ინვესტიციები ასე მნიშვნელოვანი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და სტაბილიზაციისთვის:

წმინდა ეკონომიკური განვითარება: როდესაც უცხოური ბიზნესი ინვესტირდება, თან სდევს ახლალი ტექნოლოგიები, სამუშაო ადგილები და ეკონომიკური ზრდა.

ცოდნის და უნარების გაზიარება: უცხოელი ინვესტორები ცოდნას, გამოცდილებას და მენეჯერულ უნარებს უზიარებენ მასპინძელ ქვეყნებს. სწორედ ცოდნის გაზიარებას შეუძლია გააძლიეროს სამუშაო ძალის შესაძლებლობები და გაზარდოს მასპინძელი ქვეყნის კონკურენტუნარიანობა.

განვითარებული ვაჭრობა (აქტიური სავაჭრო ბალანსი): პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლია გაზარდოს მასპინძელი ქვეყნის ექსპორტი, რადგან ინვესტორები ხშირად იღებენ ადგილობრვ პროდუქტებსა და სერვისებს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კიდევ ერთი უპირატესობა, მისი როლია

გლობალიზაციის ხელშეწყობაში, რაც, საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების გაფართოებას გულისხმობს. როცა კომპანიები ინვესტირებას უცხო ქვეყნებში ახდენენ, ისინი თანამშრომლობენ სხვადასხვა ქვეყნებთან და აუმჯობესებენ საექსპორტო პოტენციალს; ამ პროცესში ნიშვნელოვანია ახალ ბაზრებზე და რესურსებზე წვდომაც, რაც შესაძლოა ნაკლებად ხელმისაწვდომი იყოს ინვესტორის ქვეყანაში.

მიუხედავად ზემოთაღნიშნული სარგებლისა, გასათვალისწინებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ისეთი უარყოფითი მხარეები, როგორიცაა პოლიტიკური არასტაბილურობა: მნიშვნელოვან ნაკლოვანებად ითვლება, პოლიტიკური არასტაბილურობის გამოვლენა მასპინძელ ქვეყანაში. მთავრობაში ცვლილებებმა, სამოქალაქო არეულობამ ან კონფლიქტმა შესაძლოა ხელი შეუშალოს ბიზნეს ოპერაციების განხორციელებას და გამოიწვიოს ფინანსური ზარალი; მასპინძელმა ქვეყნებმა შეიძლება შეცვალონ თავიანთი რეგულაციები, რაც გავლენას მოახდენს ინვესტიციების განხორციელების პირობებზე (ნამახვანჰესის პროექტი).

უცხოურ ინვესტორებზე ზედმეტად დამოკიდებულება: მასპინძელი ქვეყნები, რომლებიც ზედმეტად დამოკიდებულნი ხდებიან უცხოელ ინვეესტორებზე შეიძლება შეექმნათ დისბალანსი ძალაუფრებასთან მიმართებაში.

ეთიკური გამოწვევები: ბიზნესები უნდა გაუმკლავდნენ ეთიკურ გამოწვევებს, განსაკუთრებით მაშინ როდესაც საქმე ეხება შრომას, გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას და ადამიანთა უფლებების დაცვას. ეთიკური სტანდარტების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა და სამართლებრივი შეუსაბამობა.

პორტფელური ინვესტიციები. მოიცავს აქციებს, ობლიგაციებს, ურთიერთფონდებს, საბირჟო ვაჭრობის ფონდებს, უძრავ ქონებას და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებს.

განვიხილოთ, რატომ არის მნიშვნელოვანი პორტფელის ინვესტირება თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით:

დივერსიფიკაცია, როგორც პორტფელის ინვესტირების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა, მიზნად რისკების შემცირებას ისახავს. მისი ძირითადი არსი დაბალანსებული პორტფელის შექმნაა, რომელიც ინვესტიციაზე, ნეგატიური გავლენის შემსუბუქებაში გვეხმარება.

რისკის მართვა: მოიცავს რისკების იდენტიფიცირებას და შეფასებას ინვესტიციების დასაცავად.

ლიკვიდურობა და ხელმისაწვდომობა: ბევრი პორტფელის ინვესტიცია ძალზე ლიკვიდურია, რაცაადვილებსაქტივებისყიდვა-გაყიდვას. სწორედ ლიკვიდურობა აძლევს საშუალებას ინვესტორს, სწრაფად შეცვალოს პორტფელი. პორტფელის ინვესტიციები ხელმისაწვდომია როგორც დამწყები, ასევე გამოცდილი ინვესტორებისთვის.

უფრო მაღალი შემოსავლის მიღების პოტენციალი: დივერსიფიცირებულ პორტფელებს შეუძლიათ მიიღონ მეტი შემოსავალი სხვადახვა აქტივების კლასიდან და ბაზრიდან.

გასათვალისწინებელია უარყოფითი მხარეებიც:

კონტროლის ნაკლებობა: ინვესტორებს შეიძლება შეზღუდული კონტროლი ჰქონდეთ მათ პორტფელში არსებულ აქტივებზე, რადგან ხშირად გადაწყვეტილებებს ფონდის მენეჯერები იღებენ.

საკომისოები: დივერსიფიკაციისას გასათვალისწინებელია, რომ აქტივების თითოეულ კლასს აქვს განსხვავებული საკომისიო და გადასახადი.
როგორც ვიცით, არსებობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციის სხვადასხვა სახე და თითოეულს თავისი მახასიათებლები და მიზნები აქვს.
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი ტიპებია:
გრინფილდის ინვესტიცია: გულისხმობს ახალი ეკონომიკური ობიექტების მშენებლობას, როგორიცაა ქარხნები, ოფისები ან საწარმოები უცხო ქვეყანაში. ასეთი ტიპის ინვესტიცია საშუალებას აძლევს უცხოელ ინვესტორს დაიწყოს ნულიდან და ააწყოს ოპერაციები, რომლებიც მორგებულია მათ საჭიროებებზე.
ერთობლივი საწარმოები: ერთობლივო საწარმოები პარტნიორობაა, რომელიც მასპინძელ ქვეყანაში უცხოელ ინვესტორსა და ადგილობრივ კომპანიას შორისაა ჩამოყალიბებული. ორივე მხარე იზიარებს საკუთრებას, კონტროლს და რისკებს.
შერწყმა და შესყიდვა: გულისხმობს არსებული ოცხოური კომპანიის ან მისი აქტივების შეძენას ან შერწყმას. მას შეუძლია უზრუნველყოს უცხოელი ინვესტორის ბაზარზე, მომხმარებლებზე და რესურსებზე დაუყოვნელივ წვდომა.
სტრატეგიული ალიანსი: ეს არის კოოპერატიული ხელშეკრულებები უცხოურ კომპანიებსა და ადგილობრივ პარტნიორებს შორის მასპინძელ ქვეყანაში. ამ პარტნიორობას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმები, ისეთი, როგორიცა მარკეტინგული ხელშეკრულებები ან ტექნოლოგიების გადაცემის ხელშეკრულებები.
პორტფელური ინვესტიცია: გულისხმობს, კაპიტალის ფასიანი ქაღალდების, აქციებისა და ობლიგაციების შეძენას, უცხოურ კომპანიებში. რაც უფრო მეტი ევროპული ინვესტიციები შემოვა საქართველოში, მით მეტადაა შესაძლებელი ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება.

დაბრკოლებები ინვესტორებისთვის
ინვესტორები სხვადასხვა დაბრკოლებებს და გამოწვევებს აწყდებიან, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ მიერ წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტების წარმატება/ წარუმატებლობაზე. ამგვარი, ძირითადი წინააღმდეგობებია:
ფსიქოლოგიური ფაქტორები: როცა, ინვესტორების ქცევიდან, ემოციიდან და მიკერძოებული ხასიათიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში გავლენას ახდენს გადაწყვეტილებების მიღებაზე. (შიში, ან სიხარბე, იმპულსური გადაწყვეტილებების მმიზეზი ხდება).
პროფესიული განათლების დეფიციტი- თუ ინვესტორს არ აქვს სათანადო ცოდნა, გაუჭირდება სწორი და რაციონალური გადაწყვეტილების მიღება. პროფესიული განათლება, ინვესტორს აწვდის ინსტრუმენტს, რათა დაინახოს, შეაფასოს და ეფექტურად მართოს საინვესტიციო რისკები. სწორედ პროფესიული განათლების ამაღლებაა საჭირო, ფინანსური ბაზრების სირთულეების ეფექტურად მართვისთვის.
შრომის ბაზრის გაუმართაობა - რომელიც პროფესიული განათლების დეფიციტითაა გამოწვეული.
ტექნოლოგიური მიღწევები: ტექნოლეგიების განვითარებამ, შესაძლოა ხელი

შეუშალოს ინვესტორებს. ზოგადად ტექნოლოგიებისა და ხელოვნული ინტელექტის განვითარებასთან ერთად იზრდება კიბერუსაფრთხოების რისკები. ინვესტორმა უნდა გაითვალისწინოს მონაცემთა დარღვევის ან კიბერშეტევის გავლენა საინვესტიციო პროექტებსა და ორგანიზაციაზე.
დაბალი შემოსავლები - შეიძლება ასევე შემაფერხებელი იყოს. რამდენადაც, ინვესტორების მიზანი, მეტი მოგების მიღებაა, გათვალისწინებული უნდა იყოს, საინფლაციო რისკები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში, პირდაპირი უცხოური ინვეტიციები 2023 წლის მე-2 კვარტალში, 505.7 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, რაც, 2022 წლის მე-2 კვარტალის დაზუსტებულ მონაზემებზე 29,9 %-ით მეტია.
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში 2021-2023 წლებში. 2021 წელს ყველზე მაღალი მაჩვენებელი გვქონდა მე- 4 კვარტალში, -4120.4 მლნ აშშ დოლარი. 2022 წლს მე-3 კვარტალში ყველაზე მოცულობითი ინვესტიცია,- 820.3 მლნ აშშ დოლარია. რაც შეხება 2023 წელს, ყველაზე მაღალი იყო პირველ კვარტალში, - 566.4 მლნ აშშ დოლარით.



2023 წლის მე-2 კვარტალში, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტიციების განმახორციელებელი ქყვეყნები შემდეგნაირად განაწილდა:
პირველ ადგილს იიკავებს გაერთიანებული სამეფო - 168.3 მლნ აშშ დოლაროთ, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიცების 33.3 %-ს შეადგენს, ეს განაპირობა იმან რომ ლონდონის საფონდო ბირჟა გაერთიანებულ სამეფოშია; მეორე ადგილასაა თურქეთი-71,0 მლნ აშშ დოლარით, რაც ინვესტიციების 14 % შეადგენს; ხოლო მესამე ადგილს იკავებს ნიდერლანდები 62.7 მლნ აშშ დოლარით, რაც ინვესტიციების 12.4 %-ია. შემდეგ პოზიციებზეა, ჩეხეთი, მალტა, რუსეთი, აშშ, არაბთა გაერთიანებული საამიროეები, იაპონია, აზებაიჯანი და სხვა.



უნდა აღინიშნოს, რომ საქართველი ინვესტორებისთვის მიმზიდველ ქვეყანად რჩება რამდენიმე მიზეზის გამო:

- საქართველოს გააჩნია, მინერალური რესურსებითა და მრავალფეროვანი კლიმატით უზრუნველყოფილი მნიშვნელოვანი სასოფლო სამეურნეო პოტენციალი, ბიოპროდუქტის საწარმოებლად. ჭიათურის მაგნიუმის, სპილენძისა და ქვანახშირის საბადოები, მიმზიდველია ინვესტორებისთვის.
- ტურისტული პოტენციალი: ტურიზმის სექტორი წლიდან წლამდე ფართოვდება, რაც განპირობებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობით, ისტორიული ადგილებითა და მდიდარი გეოგრაფიული ლანდშაპტით.
- განათლებული სამუშაო ძალა: საქართველოს ჰყავს განათლებული მუშახელი, რაც შეიძლება მომგებიანი იყოს კომპანიებისთვის, რომლებიც საჭიროებენ კვალიფიციურ შრომას.

კანდიდატის სტატუსის საინვესტიციო უპირატესობები

ინვესტორების ნდობის გაზრდა: ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმებისადმი ერთგულების სიგნალია. ამგვარი ვალდებულება გააძლიერებს ინვესტორების ნდობას საქართველოს მიმართ, რაც თავისთავად წარმოების მაღალ სტანდარტებთან,ეკონომიკურ სტაბილურობასა და რესურსების ეფექტურ მართვასთან ასოცირდება.

სავაჭრო შესაძლებლობები: როგორც აღვნიშნეთ, ევროკავშის წევრობა გულისხმობს ევროკავშირის რეგულაციებსა და სტანდარტებთან შესაბამისობას; ამგვარი წარმოების წესით გაიზრდება ქართული პროდუქტებისა და სერვისების კონკურენტუნარიანობა ევროკავშირის ბაზარზე, რაც პოტენციურად გამოიწვევს პირდაპირი უცხოური

ინვესტიციების ზრდას.

ბოლოს კი, აი, რას ამბობს ილია უცხოურ კაპიტალზე: "კაპიტალი, როცა ნამუსიანია, კარგია, მაგრამ უნამუსო კაპიტალი _ ჩარჩული ფული ბუნებითაც მხდალია, იმიტომ, რომ ქურდბაცაცაა _ იქა მკის, სადაც არ უთესია…", "უფულო ერი ფულიანთა საძოვარი, მისი საცხოვრისი ხდება". და იქვე დასძენს: "ქურდბაცაცა ბურჟუაზია და კაპიტალიზმის გაუმაძღარი სტომაქი ქართველებს სახსენებელს გაგვიწყვეტს, თუ ჩვენი მხრიდანაც ჩვენი ცხოვრების უწერელი კანონები არ მოვიმარჯვეთ…" (ი. ჭავჭავაძე 1882)

ასერომ,უცხოურიინვესტიციებისთვისუპირობოდკარისგაღებაკარგსარაფერსმოგვიტანს, რადგან ყველა ბიზნესის მთავარი მიზანი მოგების მიღებაა და არა ქველმოქმედება, ამიტომ ჩვენ ის შუალედური ურთიერთობა უნდა ავაწყოთ ინვესტორებთან, რომელიც არა მხოლოდ მისთვისაც იქნება სასარგებლო და საინტერესო, არამედ, პირველ რიგში, ჩვენთვის. თუ "მასში ჩვენი სახეირო არა არის რა და სავნებელი კია", უარი უნდა ვთქვათ..

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://geworld.ge/ge/ილია-ჭავჭავაძის-თვალსაზ-3/
2. https://www.geostat.ge/media/54150/%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2023-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-I-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%28%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%29.pdf
3. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90
4. https://forbes.ge/ra-aris-pirdapiri-utskhouri-investitsiebi/
5. http://eugeorgia.info/ka/article/524/pirdapiri-ucxouri-investiciebi---aris-tu-ara-saqartve-lo-investorebistvis-mimzidveli-qveyana/
6. https://jyr.tsu.ge/public/uploads/sitepdf/04-%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%92%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf
7. დალი მაგრაქველიძე ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში. თბილისი 2011 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/9025/1/Investiciebi_%20Fasian%20_Qagaldebi.pdf
8. ვახტანგ ჭარაია პირდაპირი ინვესტიციების როლიდა მნიშვნელობაეკონომიკური ზრდისთვის (დისერტაცია)https://www.tsu.ge/data/file_db/library/Disertacia%20-%20Charaia.pdf
9. თინათინ ჟორჟოლიანი საინვესტიციო ზეგავლენა სამშობლობიზნესის

განვითარებაზე თბილისი 2017 (დისერტაცია) https://press.tsu.ge/data/image_db_innova/Tinatin%20Zhorzholiani.pdf

The role of foreign direct and portfolio investments in the development of Georgian economy

Ketevan Chiabrishvili[1] Giuli Paksadze[2]

1Associate Professor of Tbilisi Free Academy, ktchiabrishvili@freeacademy.edu.ge

[2]David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia

Abstract

The paper discusses the disadvantages and advantages of foreign direct investment (FDI) and portfolio investments; Greenfield investment, control investment, mergers and acquisitions, and strategic alliances are characterized and analyzed. The focus is on portfolio investments and those with a high level of demand.

As the role of foreign direct investments is extremely important for Georgia, in this context paper, statistical data and charts discuss the countries from which the most investments have entered Georgia in recent years.

In this paper, the mechanisms and barriers and challenges of direct and Portuguese investments take an important place, and the conditions creating the investment environment are analyzed.

Key words: direct investment, portfolio investment, investment environment.

სოციალური კაპიტალის თავისებურებები განვითარებად ქვეყნებში

ქეთევან ჭიაბრიშვილი[1] სოფო კახნიშვილი[2] ამირან ბაბუციძე[3]

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის ასოცირებული პროფესორი, ktchiabrishvili@freeacademy.edu.ge
[2]დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მესამე კურსის იუნკერი
[2]დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მესამე კურსის იუნკერი

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში, რომელიც ადამიანთა ურთიერთობებისა და კავშირებისგანაა აწყობილი, სოციალური კაპიტალის კონცეფციამ, როგორც პიროვნული და საზოგადოების წარმატების კრიტიკულმა განმსაზღვრელმა, სოციალური ფსიქოლოგიის და მენეჯმენტის თეორეტიკოსთა უპირობო ყურადღება მიიქცია. სოციალური კაპიტალი, როგორც ქვეყნის, ორგანიზაციათა და საზოგადოების მნიშვნელოვანი აქტივი ეხება ურთიერთობების, სოციალური კავშირების და საერთო ღირებულებების ქსელებს, რომელიც არსებობს და ვითარდება საზოგადოებაში. სოციალური კაპიტალი მოიცავს ნდობას, ორმხრივობას და თანამშრომლობას, რომელიც იზრდება ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის, რაც საბოლოოდ აჩენს იმ ღირებულ რესურსს, რომელსაც შეუძლია ჩამოაყალიბოს ჩვენი პირადი და კოლექტიური კეთილდღეობა.
ნაშრომში განხილულია სოციალური კაპიტალის ბუნება, მის ნაირსახეობა შემაკავებელი და გამაერთიანებელი ასპექტებით და მისი მნიშვნელოვანი გავლენა თემებსა და ინდივიდებზე.
საკვანძო სიტყვები: სოციალური კაპიტალი, თანამშრომლობა, ნდობა, შემაკავებელი სოციალური კაპიტალი, გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალი.

სოციალური კაპიტალი მრავალმხრივი კონცეფციაა, რომელიც ურთიერთობებში დამაკავშირებელი არხების სხვადასხვა ფორმებს მოიცავს. შემაკავშირებელი სოციალური კაპიტალი, ისეთ მჭიდრო ჯგუფებში კავშირებს გულისხმობს, როგორიცაა ოჯახი, მეგობრები და მეზობლები. ამგვარ ერთობებში ურთიერთობები ნდობისა და ემოციური მხარდაჭერის მაღალი დონით ხასიათდება. ამ შემთხვევაში, სოციალური კაპიტალის შეკავშირება ხელს უწყობს მიკუთვნებულობისა და სოლიდარობის განცდას.

სოციალური კაპიტალის დაგროვება, სხვადასხვა ჯგუფებსა თუ თემებს შორის კავშირებსაც გულისხმობს, რომელსაც მრავალფეროვნებისა და ჯგუფთაშორისი ურთიერთქმედების ხელშეწყობა შეუძლია. აღნიშნული კავშირები, ხელს უწყობს ინფორმაციის, იდეებისა და რესურსების გაცვლას, რაც სოციალური ინტეგრაციისა და კულტურათაშორისი გაგების ამაღლებას იწვევს.
სოციალური კაპიტალის კავშირები ვრცელდება ადგილობრივ თემებზე და მოიცავს ურთიერთობებს ისეთ ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან, როგორიცაა სამთავრობო უწყებები და ბიზნესი. აღნიშნული კავშირები საშუალებას აძლევს ინდივიდებსა და

თემებს მიიღონ რესურსები, სერვისები და ის შესაძლებლობები, რომელიც ხშირად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სოციალური და ეკონომიკური წინსვლისთვის.
შესავალში, მოკლედ დავახასიათებთ სოციალური კაპიტალის გავლენებს:
ეკონომიკური კეთილდღეობა: სოციალური კაპიტალი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე. საზოგადოებებში, სადაც სოციალური კაპიტალი ძლიერია, ბიზნესს და მეწარმეებს შეუძლიათ მეტად მწარმოებლური და წარმატებულნი იყვნენ . ნდობა და თანამშრომლობა ხელს უწყობს ეკონომიკურ ტრანზაქციებს და ამცირებს ტრანზაქციის ხარჯებს. სოციალური კაპიტალის მქონე ჯგუფებში, ინდივიდებს წვდომა აქვთ ღირებულ ინფორმაციაზე და იმ სამუშაო შესაძლებლობებზე, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს პიროვნებისა და საზოგადოების კეთილდღეობას.
ჯანმრთელობა და კეთილდღეობა: ძლიერი სოციალური კაპიტალი ასოცირდება ჯანმრთელობის უკეთეს მდგომარეობასთან და საერთო კეთილდღეობასთან. სოციალური მხარდაჭერის ქსელები, როგორც სოციალური კაპიტალის დამაკავშირებელი ძირითადი კომპონენტი, ავადმყოფობის დროს, ემოციურ და პრაქტიკულ დახმარებას უზრუნველყოფს. უფრო მეტიც, მიკუთვნებულობისა და სოციალური ინტ[1]ეგრაციის განცდამ, რომელიც ხშირად განვითარებულია სოციალური კაპიტალის კავშირებით, შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება და იზოლაციის გრძნობის შემცირებაც.
განათლება: სოციალური კაპიტალი გადამწყვეტ როლს თამაშობს განათლებაშიც. სტუდენტები, რომლებსაც აქვთ წვდომა ოჯახის, მეგობრებისა და მენტორების დამხმარე ქსელებზე, უფრო მეტად აღწევენ აკადემიურ წარმატებას. ანალოგიურად, სოციალური კაპიტალის შეერთებამ შეიძლება გამოავლინოს ინდივიდები სხვადასხვა პერსპექტივისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების წინაშე, რაც ხელს შეუწყობს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლასა და პიროვნულ ზრდას.
სამოქალაქო ჩართულობა: ძლიერი სოციალური კაპიტალის მქონე საზოგადოებები, სამოქალაქო ჩართულობის უფრო მაღალ დონეს ავლენენ. ნდობა და თანამშრომლობა ხელს უწყობს კოლექტიურ ქმედებას, რაც იწვევს ადგილობრივი მმართველობების სოციალურ ერთიანობას. ადამიანები უფრო მეტად იღებენ მონაწილეობას საზოგადოების ინიციატივებსა და აქტივობებში.
მედეგობა: სოციალურ კაპიტალს შეუძლია გააძლიეროს საზოგადოების მდგრადობა კრიზისების ან კატასტროფების ფონზე. ნდობისა და თანამშრომლობის ქსელები საშუალებას აძლევს ინდივიდებსა და ჯგუფებს, უფრო ეფექტურად მართონ და უპასუხონ ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა ბუნებრივი კატასტროფები ან რეცესია. კრიზისის დროს, ძლიერი სოციალური კაპიტალის მქონე საზოგადოებები, უფრო სწრაფად აღდგება და ნაკლებად ზარალდება.
სხვადასხვა კვლევებზე დაყრდნობით ჩანს, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სოციალური კაპიტალის დონე შედარებით დაბალია, რაც ეკონომიკური განვითარების შეფერხების ერთ-ერთი მიზეზად მიიჩნევა. განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სოციალური უთანაბრობა ნეგატიურ გავლენას ახდენს ნდობაზე, რაც

1 https://tabula.ge/ge/news/545286-sakartvelos-sotsialuri-kapitalit-gharibi

პირდაპირპროპორციულად მოქმედებს ინდივიდების უნარზე - გაუძლოს გამოწვევებს და მზად იყოს ცვლილებებისთვის.

ნებისმიერ საზოგადოებასა და სოციალურ კლასში არსებობს მჭიდრო, შიდა ურთიერთობები მეგობრების, ნათესავებისა თუ ოჯახის წევრების დონეზე, თუმცა სხვადასხვა ფენის ჯგუფებს შორის კომუნიკაცია დარღვეული და შეზღუდულია. შედეგად, განვითარებად ქვეყნებში ვიწრო და მცირე სოციალური წრეებია, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში პირიქით - ნდობის ხარისხი მაღალია და სოციალური კავშირები გაშლილი და გახსნილია. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სოციალური კაპიტალის დაბალ დონეს ნეგატიური (შემაკავებელი) სოციალური კაპიტალის გავრცელება იწვევს, რაც ნეპოტიზმსა და კორუფციაში გამოიხატება.

საქართველოში გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის დეფიციტის ძირითადი მიზეზი, საბჭოური წარსულია. საჭოთა კავშირის წლებში, მხოლოდ გადაწყვეტილებების მიმღებთა მცირე ჯგუფებსა და სანათესაო წრეებს შორის იყო სანდო ურთიერთობები. დღეს, საქართველოში შერწყმულია დასავლური, დემოკრატიულ-ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილება და საბჭოური წარსული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამაერთიანებელი კაპიტალის ფორმა დასავლურ ქვეყნებში გვხვდება. USAID-ის კვლევის თანახმად, საქართველოში სოციალური კაპიტალის სტრუქტურა არაერთგვაროვანია. საგრძნობლად მაღალია ნათესავებს, მეგობრებსა და ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობები. სწორედ ეს კავშირები ვლინდება სხვადასხვა სფეროებში: ბიზნესის მართვა, განათლება და ა.შ. ეს ფაქტი ადასტურებს იმას,რომ საქართველოში შემაკავებელი სოციალური კაპიტალია. ამის ნათელი მაგალითია ფერმერების წარუმატებელი ურთიერთქმედება და პრობლემები კოლექტიურ სამუშაობებში. მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 5%-ია ჩართული სამოქალაქო აქტივობებში, რადგან უცხოებთან ურთიერთთანამშრომლობისგან საზოგადოების გარკვეული ნაწილი თავს იკავებს. დაბალი გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის მაგალითია, სტუმართმოყვარეობის ან საგზაო მოძრაობის წესების დაცვა მხოლოდ მაშინ, თუ შორიახლოს პატრულის ეკიპაჟი ჩანს.



ლეგატუმის მსოფლიო კეთილდღეობის ინდექსის 2017 წლის მონაცემებით, საქართველო მსოფლიოს 149 ქვეყნიდან 84-ე ადგილზეა. ამ ინდექსის მიხედვით, თურქეთს 88-ე, რუსეთს

101-ე, აზერბაიჯანს, 106-ე ხოლო სომხეთს 96-ე, ადგილი უკავია. მოწინავე ადგილი კი ფინეთს , შვეიცარიას, შვედეთს და ნიდერლანდებს უკავია. აღნიშნული ინდექსით იზომება ქვეყნის განვითარების ხარისხი, სადაც გათვალისწინებულია, - სოციალური კაპიტალის განვითარების დონე, ზოგადი ეკონომიკური კონიუნქტურა, მმართველობა, განათლება, ჯანდაცვა, დაცულობა და უსაფრთხოება, პიროვნული თავისუფლება და გარემოს დაცვა.

საქართველოში ლეგატუმის მსოფლიო კეთილდღეობის ინდექსი,2007-2017 წწ

მოცემული დიაგრამა ნათლად ასახავს საქართველოს ადგილს კეთილდღეობის ინდექსში: 2007 წელს მას, 99-ე ადგილი უკავია; 2015-16 წლებში 85-ე ადგილზე ინაცვლებს და შემდგომში, ერთი ერთეულით, - 84-ე ადგილზე ქვეითდება. ლეგატუმის მსოფლიო კეთილდღეობის ინდექსში, აღნიშნული რეიტინგები, მასში შემავალი ინდიკატორების ხვედრითი წილით განიზსაზღვრება:
ლეგატუმის ინდექსში შემავალი ინდიკატორები სოციალური კაპიტალის ხარისხით, საქართველო 149 ქვეყნიდან, 140-ე ადგილზეა, რაც ბუნებრივია, არასახარბიელო მაჩვენებელია. ეკონომიკური მდგრადობის მიხედვით, 95-ე ადგილი უჭირავს, რაც პირდაპირპროპორციულია ქვეეყანაში სოციალური კაპიტალის არსებობასა და მის ფორმებზე; მეწარმეობის შეფასებისა და ბიზნესის მართვის მიხედვით, 70-ე ადგილი გვაქვს; განათლების დონეც ერთ-ერთ პრობლემად რჩება და ინდექსის გამოთვლისას 58-ე ადგილს სჯერდება; ჯანდაცვის მხრივ 90-ე ადგილზეა, დაცულობა- უსფრთხოების ხარისხის მიხედვით, 71-ეზე, ხოლო გარემოს დაცვის ხარისხის მიხედვით 124-ე ადგილზეა. [2]



საქართველოში, საზოგადოების წევრებს შორის ნდობის ხარისხიც დაბალია.
მსოფლიო ღირებულებების კვლევის მიხედვით, 18% თვლის რომ ადამიანები ნდობას იმსახურებენ. რესპოდენტთა 50%-ზე ნაკლებს მიაჩნია, რომ თავიანთი ბედ-იღბალის განსაზღვრა და მართვა დამოუკიდებლად შეუძლიათ, ანუ ე.წ. ინტერნალები არიან; 15% ინდიფერენტულადაა განწყობილი ცხოვრების მიმართ და მიაჩნიათ, რომ მათი ცხოვრება უკონტროლოა. კავკასიის რეგიონის კვლევის მიხედვით, საქართველოში აგრარულ სექტორში მიწის 50%-ზე ნაკლები მუშავდება, მაშინ, როცა სამუშაო ძალის ნახევარზე მეტი, სოფლად მაცხოვრებელია. ქვეყნის მშპ-ში, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი, 10%-საც არ შეადგენს. ეს უკანადსკნელი კარგი მაგალითია იმისა, რომ ქართველი მიწათმოქმედებისთვის პრიორიტეტულია მხოლოდ საკუთარი ნაკვეთების მოვლა და არა ურთიერთანამშრომლობის შედეგად, პროდუქტიულობის გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება. აქედანაც ჩანს, რომ ქართულ საზოგადოებაში

2 https://nasrashvili.blogspot.com/2011/05/blog-post.html

პრობლემურია გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის ჩამოყალიბება და ეფექტური კოჰაბიტაციის მიღწევა. დაბალი დონის გამაერთიანებელ სოციალურ კაპიტალზე მიუთითებს, მხოლოდ კერძო, პირადი საკუთრების მოვლა და საერთო საკუთრებაში არსებული ქონების უგულველყოფა. ჩვენს ქვეყანაში სუსტია სამოქალაქო საზოგადოება - არასამთავრობო ორგანიზაციები. სტატისტიკური ეროვნული ბიუროს მონაცემებით, საქართველოში დარეგისტრირებულია 10 ათასამდე არასამთავრობო ორგანიზაცია, თუმცა აქედან, მცირე ნაწილი ფუნქციონირებს და მათი გავლენა უმნიშვნელოა. მიზეზი ორგანიზაციების სოციალური ბაზის შეზღუდულობაა, რადგან მასში მოხალისეთა მონაწილეობა მინიმალურია. ფორმალური ორგანიზაციების უმეტესობა სოციალური კაპიტალის დონის ამაღლებაზე არ არის ორიენტირებული, მათვის მთავარია საბოლოო მიზნების მიღწევა და ხშირად მოდის წინააღმდეგობაში საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესებთან და საჭიროებებთან. სწორედ ამიტომ აღნიშნული ორგანიზაციები ვერ ასრულებენ საზოგადოების წარმომადგენლობებისა და შუამავლის ფუნქციებს. დაბალი სოციალური კაპიტალის მიზეზების გასაანალიზებლად საჭიროა კვლევებზე დაკვირვება. მარკ ჰოვარდმა დაასკვნა, რომ სამოქალაქო ჩართულობის დაბალ დონეს, სამი ფაქტორი განსაზღვრავს:

- სოციალისტური წყობიდან დღემდე მოღწეული საზოგადოების უნდობლობა და მოხალისეობის კულტურის დეფიციტი;
- ჩაკეტილი და ვიწრო საკონტაქტო ქსელების არსებობა(მეგობრები, ნათესავები) ინდივიდებს სოციალური წრის გაფართოების სურვილი არ აქვთ;
- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მასობრივი იმედგაცრუება.

ჟოუიტი ამტკიცებს, რომ „სოციალისტურმა იდეოლოგიამ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების მოსახლეობაში უნდობლობა და ცინიზმი დანერგა“. საბჭოთა პერიოდში მოსახლეობა ძალდატანებით მონაწილეობდნენ სხვადასხვა აქტივობებსა და კავშირებში, არ ხდებოდა მოსახლეობის წახალისება, აღიარება და განვითარება, რამაც გრძელვადიან პერიოდში უარყოფითი შედეგი გამოიღო. „ლენინური კულტურა“ ხასიათდებოდა ნდობის დაბალი ხარისხით და დასმენის ინსტიტუტით.

საქართველოს ისტორიული წარსულის მაგალითით, გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის გასავითარებლად, ქვეყანას შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდა. ქვეყანა, საუკუნეების განმავლობაში იმყოფებოდა სხვა ქვეყნების ბატონობის ქვეშ. არახალია, რომ მე-19 საუკუნეში საქართველოს ძლიერი ელიტარული და ინტელექტუალური წრე ჰყავდა, - ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა ქართულ, ეროვნულ მოძრაობას ცოდნის, წიგნიერების და ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისა და გავრცელებისთვის, რასაც საბჭოური რეჟიმი გამალებით ებრძოდა. სწორედ ამ დროს გაიარა საქართველომ სოციალური კაპიტალის განვითარების გარდამავალი პერიოდი წინააღმდეგობებითა და სირთულეებით. საბჭოთა წყობიდან მოყოლებული, ქართულ საზოგადოებას მეწარმეებისა და მათი ეკონომიკური საქმიანობის მიმართ უნდობლობა ახასიათებს, რადგან მიაჩნიათ რომ ისინი მხოლოდ პირადი კეთილდღეობისთვის ისწრაფიან. ეჭვი და ნეგატივი კი ლიდერებსაც უკარგავს მოტივაციას.

ნეპოტიზმი და კრონიზმი სოციალური კაპიტალის შემაკავებელი ფორმაა, როცა მეგობრებისა და ნათესავებისთვის განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭება დაუმსახურებლად ხდება. ნეპოტიზმი ლათინური სიტყვიდან მომდინარეობს. „ნეპო“ დისშვილს/ძმისშვილს ან შვილიშვილს ნიშნავს და წარმოადგენს სამსახურში ისეთი ადამიანის თანამდებობაზე დანიშვნას რომელსაც არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, უნარები და შესაძლებლობა. უფრო ვიწრო გაგება აქვს კრონიზმს, აღნიშნულ ტერმინში მოიაზრება ოჯახის წევრებისთვის პრივილეგიის მინიჭება სხვა ინდივიდების ხარჯზე. ორივე აღნიშნული მოვლენა იწვევს კომპანიის ეფექტურობის შემცირებას, პროფესიონალი კადრების დისკრედიტაციას და სხვა ქვეყნებში „ტვინების„ გადინებას. ნეპოტიზმი და კრონიზმი დემოკრატიული პრინციპებისა და ღირებულებების საპირისპიროა და ხელს უშლის ქვეყნის პროგრესულ განვითარებას, კერძოდ:

- ნეპოტიზმის და კრონიზმის გამოვლენით, გარკვეულ ხელმძღვანელ პოზიციაზე დასაქმებულ ადამიანს შეიძლება არ გააჩნდეს სათანადო კომპეტენცია, რის გამოც

შეაფერხებს მთავრობის ეფექტურ ფუნქციონირებას;

- ახალგაზრდებს ეუფლებათ განცდა, რომ კარიერული წინსვლის ფუნდამენტი არ არის მხოლოდ ცონდა და თავდაუზოგავი შრომა, შედეგად ქრება ადამიანური კაპიტალის განვითარების სურვილი;
- ნეპოტიზმი/კრონიზმი ხელს უწყობს „მახინჯი/არაჯანსაღი“ ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

„საერთაშორისო გამჭირვალეობა - საქართველოს“ დაკვეთით, „CRRC“-კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა, 2015 წელს ჩაატარა კვლევა ქართველების განწყობის გამოსავლენად, საჯარო და კერძო სამსახურში, ნეპოტიზმ/კრონიზმთან დაკავშირებით.

გამოკითხვის შედეგები ნეპოტიზმსა და კრონიზმზე საჯარო და კერძო სექტორებში 2015წ

აღმოჩნდა, რომ ქართული მოსახლეობა განსაკუთრებით სენსიტიურია და ნეგატიურადაა განწყობილი, საჯარო სექტორში განვითარებულ კორუფციის სახეებზე, ვიდრე კერძო სექტორში. ამიტომ გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის შექმა სწორედ, საჯარო სტრუქტურებში უნდა დაიწყოს.
მიუხედავად იმისა, რომ სოციალური კაპიტალი მრავალ სარგებელს გვთავაზობს, მისი განვითარება გამოწვევების გარეშე არ ხდება. სოციალური კაპიტალის შექმნა შეიძლება იყოს შრომატევადი და არ გამოიღოს მყისიერი შედეგები, რაც შეიძლება იყოს ბარიერი ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის.



დასკვნა

სოციალური კაპიტალი ძლიერი ძალაა, რომელიც აყალიბებს საზოგადოებრივ ჯგუფებს, მდგრად ეკონომიკასა და მაღალი ხარისხის ინდივიდუალურ ცხოვრებას. მისი სხვადასხვა ფორმის, აღზრდისა და გამოყენების გზების გაგება, აუცილებელია უფრო მეტად ინკლუზიური და მაღალი დონის საზოგადოებების განვითარებისთვის. ნდობის, თანამშრომლობისა და კუთვნილების განცდის გაძლიერებით, სოციალური კაპიტალი გზას უხსნის ეკონომიკურ განვითარებას, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას, საგანმანათლებლო წარმატებას, სამოქალაქო ჩართულობას და ძლიერ მედეგობას, გამოწვევების წინაშე. სოციალური კაპიტალის მნიშვნელობის აღიარება და მის გასაძლიერებლად მუშაობა იწვევს სამართლიანი, ენერგიული და მდგრადი საზოგადოებების ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სალომე უგულავა, 2012-16 იანვარი https://tabula.ge/ge/news/545286-sakartvelos-sotsialuri-kapitalit-gharibi
2. ნასრაშვილი , 2011-26 მაისი https://nasrashvili.blogspot.com/2011/05/blog-post.html

3. https://blh.com.ge/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98/

Ketevan Chiabrishvili[1] Sopho Kakhnishvili[2] Amiran Babutsidze[3]

[1]Associate Professor of Tbilisi Free Academy, ktchiabrishvili@freeacademy.edu.ge

[2]David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia

[3]David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia

Abstract

In a modern world made up of human relationships and connections, the concept of social capital as a critical determinant of personal and societal success has attracted the unqualified attention of social psychology and management theorists. Social capital, as an important asset of the country, organizations and society, refers to the networks of relationships, social ties and shared values that exist and develop in society. Social capital includes the trust, reciprocity, and cooperation that grows between individuals and groups, ultimately creating a valuable resource that can shape our personal and collective well-being.

The paper discusses the nature of social capital, its diversity with constraining and unifying aspects, and its significant impact on communities and individuals.

Keywords: social capital, cooperation, trust, constraining social capital, unifying social capital.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების როლი ევროპის ენერგო უსაფრთხოებაში

ქეთევან ჭიაბრიშვილი[1] ლაშა აბულაძე[2]
[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის ასოცირებული პროფესორი, ktchiabrishvili@freeacademy.edu.ge
[2]დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მესამე კურსის სტუდენტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების(საქართველოსა და აზერბაიჯანის) როლის განხილვა ევროპის ენერგო უსაფრთხოებაში. ამ მიზნით ნაშრომი აქცენტს აკეთებს ენერგეტიკული თვალსაზრისით აქტუალურ პრობლემებსა და იმ საკითხებზე, რომლების მიმართაც ევროპა განსაკუთრებით მოწყვლდია. ხაზგასმულია, რომ კონტინენტზე რუსეთსა და უკრაინას შორის დაწყებულმა ომმა ქვეყნები დააყენა აუცილებლობის წინაშე, ერთის მხრივ დაეხმარონ უკრაინას აგრესორთან ბრძოლაში, ხოლო მეორეს მხრივ ებრძოლონ საკუთარ ქვეყანაში ინფლაციის, გაზრდილი ცხოვრების ღირებულებისა და სხვა პრობლემებს. სიღრმისეულადაა გააზრებული, რომ აღნიშნული გამოწვევების ერთ-ერთ განმსაზღვრელ პირობას რუსეთის აგრესიასთან ერთად ევროპის რუსეთზე ენერგო დამოკიდებულება წარმოადგენს. გაანალიზებულია, რომ მიუხედავად ევროკავშირის ქვეყნების მცდელობისა ყველა ქვეყანა დღემდე ვერ ახერხებს რუსული ენერგო რესურსების გარეშე საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რაც ართულებს მდგომარეობას არის ირანის ბირთვული პროგრამა. ხსენებული პროექტის გამო ირანისთვის დაწესებული სანქციები შეუძლებელს ხდის ქვეყნის ჩართვას ევროპის ენერგო მომარაგების საქმეში, ამ ყველაფრის ფონზე კი სამხრეთ კავკასიის რეგიონი მაშველი რგოლის სახით ევლინება ევროპის კონტინენტს.

ნაშრომში სიღრმისეულადაა გააზრებული ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიური და კასპიისპირა ქვეყნების მიერ ერთ დროს ძალიან დიდი რისკისა და ხარჯის ფასად აშენებული მილსადენების როლი საგრძნობლად გაიზარდა, რამეთუ მათი საშუალებით შესაძლებელი გახდა ევროპისთვის ენერგო თვალსაზრისით რუსეთიდან წარმოქმნილი დეფიციტის გარკვეულ დონეზე დაკმაყოფილება. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება 1998 წელს ანკარაში ხელმოწერილი მნიშვნელოვანი შეთანხმებაზე, რომლითაც გადაწყდა 1768 კილომეტრიანი ბაქო-თბილისი ჯეიჰანის ნავთობსადენის გახსნა. რუსეთის მძაფრი წინააღმდეგობის მიუხედავად, ამ გრანდიოზულმა ინფრასტრუქტურულმა პროექტმა, რომელიც მიზნად ისახავდა კასპიის ბუნებრივი რესურსების პირდაპირ ექსპორტს ევროპაში, არა მხოლოდ გააძლიერა ექსპორტიორი და სატრანზიტო ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ სამხრეთ კავკასია ევროპისკენ მიმავალი ენერგეტიკული რესურსების მნიშვნელოვან და სტაბილურ მიმწოდებლად აქცია. ნაშრომი აქცენტს აკეთებს დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს არაერთი პროექტზე, რომელთა საშუალებითად კიდევ უფრო გაიზრდება სამხრეთ კავკასიის ენერგეტიკული ბმა ევროპის ქვეყნებთან, რაც ბუნებრივია დადებითად აისახება სამომავლო თანამშრომლობაზე. ნაშრომის ფარგლებში მიმოხილულია ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიისა და ევროპის ქვეყნების თანამშრომლობას მრავალი დადებითი მოაქვს ორივე მხარისთვის, მაგალითად ევროპის მისწრაფებას, რომ შეამციროს ნახშირბადის ემისია და გაზარდოს განახლებადი ენერგიის წყაროებიდან წარმოებული ენერგიის მოცულობა, ეხმიანება შავი ზღვის ელექტროკაბელის

პროექტი, რომლის საშუალებითაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიერ განახლებადი ენერგიის წყაროებით წარმოებული ენერგია მიეწოდება ევროპას. აქვე უნდა აღინიშნოს, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის პოზიტიური დინამიკა, რომელზეც სამხრეთ კავკასიის როლის ზრდა ევროპის ენერგო უსაფრთხოებაში დადებითად აისახება.

საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კავკასია, ენერგორესურსები, ელექტროკაბელის პროექტი, ევროპის ქვეყნები, სატრანზიტო დერეფანი.

სამხრეთ კავკასიის რეგიონი გამორჩეულია, როგორც თავისი მდებარეობით, ისე მრავალფეროვანი ენერგო რესურსებით. რეგიონის მნიშვნელობას დასავლური სამყაროსათვის ზრდის ის ფაქტიც, რომ სამხრეთ კავკასიას ესაზღვრება აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიით განსაზღვრული მთავარი ოპონენტებიდან ორ სახელმწიფო(რუსეთი, ირანი), ნატოს წევრი თურქეთი და შავი და კასპიის ზღვები. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს, იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა სახის ეფექტები, პირდაპირი გავლენა აქვს შავი ზღვის აუზის ქვეყნებზე, რომელთაგანაც თურქეთი, რუმინეთი და ბულგარეთი ნატოს წევრები არიან, ხოლო უკრაინა და საქართველო, ახლო პარტნიორები. კასპიის ზღვასთან მოსაზღვრეობა რეგიონს გზას უხსნის ენერგო რესურსების უდიდეს წყაროებთან, რითაც მკვეთრად იზრდება ევროპისთვის სამხრეთ კავკასიის მიმზიდველობა, ენერგო უსაფრთხოების თვალსაზრისით.

მსოფლიო ენერგეტიკულ რუკაზე სამხრეთ კავკასიის გამოჩენა მნიშვნელოვნად განსაზღვრა 1998 წლის 29 ოქტომბერს თურქეთის დედაქალაქ ანკარაში აშშ-ს ენერგეტიკის მდივან ბილ რიჩარდსონის თანდასწრებით აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის, უზბეკეთისა და ყაზახეთის მხრიდან XX საუკუნის უდიდესი ინფრსტრუქტურულ პროექტზე, 1768 კილომეტრიანი ნავთობსადენის გაყვანის შესახებ შეთანხმებაზე, ხელმოწერამ. აღნიშნული, მიზნად ისახავდა, კასპიური ბუნებრივი რესურსების პირდაპირი ექსპორტის დაწყებას, ექსპორტიორი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ევროპასთან რეგიონის დაახლოებას. ბუნებრივია, რომ პროექტს ყავდა მრავალი მოწინააღმდეგე უპირველესად კი რუსეთი. ნათელი იყო, რომ იგი აღნიშნულ პროექტს ყველა შესაძლო გზით დაუპირისპირდებოდა. ასეც მოხდა, თუმცა მიუხედავად არაერთი დაბრკოლებისა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი წარმატებით განხორციელდა და იგი დღემდე წარმოადგენს კასპიური ნავთობის ევროპაში ექსპორტირების სტაბილურ საშუალებას. საგულისხმოა, რომ 2006 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ოფიციალურ გახსნამდე, უკვე ამოქმედებული იყო ბაქო სუფსის მილსადენი, რომელიც თავის მხრივ მნიშვნელოვან როლს თამაშობს კასპიური ნავთობის ექსპორტში.

ირანის ბირთვულმა პროგრამამ და მისგან გამოწვეულმა სანქციებმა ევროპის ენერგო უსაფრთხოება აუცილებელი ქმედებების წინაშე დააყენა. ხოლო რუსეთ-უკრაინის ომმა და რუსეთ-ბელარუსის ენერგო კრიზისმა საბოლოოდ დაარწმუნა ევროპა, რომ რუსეთთან ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება დიდი შეცდომა იყო. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი პოლიტიკური ფიგურა მუდმივ პროცესში აკრიტიკებდა რუსეთზე ენერგო დამოკიდებულების ზრდას, მეტიც აშშ-ს 45-ე პრეზიდენტი ტრაგედიასა და

საშინელებას უწოდებდა აღნიშნულ პროცესს[1](ჩრდილოეთ ნაკადი 2-ს მშენებლობა, რომელიც თავის მხრივ საგრძნობლად გაზრდიდა გერმანიის რუსეთზე ენერგო დამოკიდებულებას), მაინც ვერ მოხერხდა ამ გარდაუვალი რეალობის უმტკივნეულოდ აცილება. დღეისათვის მსოფლიო დგას დღის წესრიგის წინაშე, სადაც შუა დერეფანი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე სანდო და უსაფრთხო მიმართულებად როგორც ენერგო, ისე სხვა რესურსების ტრანსპორტირების თვალსაზრისით. ამდენად, საგრძნობლად გაზრდილია სამხრეთ კავკასიის, როგორც შუა დერეფნის ცენტრალური რგოლის როლი, ევროპის უსაფრთხოებაში.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ 2006 წელს სამხრეთ კავკასიაში კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტს, 692 კილომეტრის სიგრძის ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. აღნიშნულმა გაზსადენმა მნიშვნელოვნად გაზარდა აზერბაიჯანის კონტრიბუცია ევროპის ენერგო მომარაგებაში. დღეისათვის, აზერბაიჯანული გაზის ევროპაში ტრანსპორტირება ხდება თურქეთისა და საბერძნეთის გავლით ტრანს-ანატოლიური მილსადენისა(TANAP) და ტრანს-ადრიატიკის მილსადენის(TAP) საშუალებით.

სამხრეთ კავკასიის როლის სიღრმისეული ანალიზი და განვითარების პერსპექტივები

21-ე საუკუნეში, მსოფლიოში მიმდინარე კრიზისული სიტუაციებისა და გამოწვევების ფონზე, ევროპისათვის ენერგო უსაფრთხოების მიღწევა შუა დერეფნის ეფექტური ათვისების გარეშე წარმოუდგენელია. რუსეთ უკრაინის ომის, რუსეთ-ბელარუსის ენერგო კრიზისის და ირანის ბირთვული პორგრამის შედეგად, ერთადერთი უსაფრთხო დერეფანი კასპიური ნავთობის პირდაპირი და უსაფრთხო ტრანსპორტირებისთვის, სამხრეთ კავკასია გახდა. ხსენებულ დერეფანში ენერგო რესურსების მთავარ ექსპორტიორ ქვეყანას წარმოადგენს აზერბაიჯანი, ხოლო საქართველო ითავსებს ტრანზიტული ქვეყნის ფუნქციას, თუმცა ამ უკანასკნელის როლი ევროპის ენერგო უსაფრთხოებაში მნიშვნელოვნად გაიზრდება შავი ზღვის ელექტრო კაბელის მშენებლობის დასრულებისთანავე, რადგან აღნიშნული, საქართველოს შესაძლებლობას მისცემს ზაფხულის პერიოდში წარმოებული ჭარბი ელექტრო ენერგია ევროპის ბაზარზე გაყიდოს. ამასთან საგულისხმოა ისიც, რომ შავი ზღვის ენერგო კაბელით ძირითადად სამხრეთ კავკასიის რეგიონში განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მოპოვებული ენერგიის ექსპორტია დაგეგმილი. საქართველოს კი, რომელსაც მდიდარი ჰიდრო რესურსები გააჩნია უჩნდება შანსი, რომ გაზარდოს მისი წვლილი ევროპის ენერგო უსაფრთხოებაში.

პროექტები, რომელთა განხორციელებაც გაზრდის სამხრეთ კავკასიის როლს ევროპის ენერგო უსაფრთხოებაში:

ევროპის ენერგო უსაფრთხოებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვან პროექტს

1 https://1tv.ge/news/donald-trampi-chrdiloetis-nakadi-2-tragedia-da-sashinelebaa/

შავი ზღვის ელექტრო კაბელი წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სამხრეთ კავკასიიდან უმთავრესად განახლებადი ენერგიის წყაროებით წარმოებული ენერგიის ექსპორტი იგეგმება. აღნიშნული პროექტი სამხრეთ კავკასიის შავი ზღვის და რუმინეთის გავლით უნგრეთში მდებარე ევროპის ენერგო სისტემასთან დაკავშირებას ითვალისწინებს. აღნიშნული შესაძლებელს გახდის, ელოექტრო კაბელიდან ექსპორტირებული ენერგია დაუბრკოლებლად მიეწოდოს ევროპის ქვეყნებს. ნათელია, რომ პროექტი შეამცირებს ევროპის ენერგო დამოკიდებულებას რუსეთზე. ამასვე მოწმობს ბუქარესტში 17 დეკემბერს პროექტის მონაწილე ქვეყნების მიერ მემორანდუმის ხელმოწერის დღეს, უნგრეთის პრემიერ მინისტრის ვიქტორ ორბანის სიტყვები: ,,დასრულდა პერიოდი, როდესაც რუსეთიდან შემოგვქონდა იაფი ნედლეული და ენერგია.''[2] პროექტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას უსვამს ხაზს ამავე შეხვედრაზე საქართველოს ეკონომიკის მინისტრის რანგში წარმოდგენილი ლევან დავითაშვილის განცხადება, რომ ისევე როგორც თავის დროზე ბაქო-თბილისი ჯეიჰანის პროექტი, შავი ზღვის ელექტრო კაბელი, 21-ე საუკუნის სტრატეგიული პროექტია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კაბელის გამოყენება საქართველოსაც შეეძლება ჭარბი ელექტრო ენერგიის ექსპორტირებისათვის, ამდენად ყველა პროექტი, რომელიც განახლებადი ენერგიის წარმოების ზრდისკენაა მიმართული ცალსახად გაზრდის საქართველოს მიერ ჭარბი ელექტრო ენერგიის წარმოების და შემდეგში ხსენებული კაბელით ექსპორტირების შესაძლებლობას.

ევროპის ენერგო უსაფრთხოებაში სამხრეთ კავკასიის როლის გაზრდისათვის აუცილებელია, რეგიონის ქვეყნებში განხორციელდეს ისეთი პროექტები, როგორებიცაა: აზერბაიჯანის მიერ გაცხადებული 3 გეგავატიანი ქარის და 1 გეგავატიანი მზის ენერგიის სადგურები, ნამახვან ჰესი, ხუდონ ჰესი, ნენსკრა ჰესი და სხვა. ქართლის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა ინვესტორები საქართველოში ქარის ენერგიის წარმოების პოტენციალში. ამდენად, აუცილებელია ქარის ენერგიის წარმოების მხრივ განხორციელდეს სხვადასხვა პროექტები მათ შორის 2018 წელს ,,საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის'' მიერ დაანონსებული 3 ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც მოიცავს ზესტაფონი, საჩხერისა და შიდა ქართლის გარკვეულ ლოკაციებს. აღნიშნული პროექტების საშუალებით გაიზრდება სამხრეთ კავკასიის ქვეყნების როლი ევროპის ენერგო უსაფრთხოებაში. საგულისხმოა ისიც, რომ რეგიონში სტაბილურობის გაზრდისა და სომხეთ-აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში გრძელვადიან პერსპექტივაში არსებობს შესაძლებლობების ფანჯარა სომხეთისთვისაც, თუმცა ამ ეტაპზე ამაზე საუბარი ნაადრევია. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საშუალებით ენერგო რესურსების ექსპორტში ამ ეტაპზე მცირე, თუმცა მზარდი კვოტებით ჩართული არიან ყაზახეთი და თურქმენეთი. მაგალითისთვის 2023 წლის იანვრიდან ივლისამდე პერიოდში ხსენებული ქვეყნებიდან ბთჯ[3]- მილსადენით 2.9 მილიონი ტონა ტრანზიტული ნავთობის გატარება მოხდა. ასევე უნდა ითქვას ისიც, რომ კასპიისა აუზისა და მიმდებარე ქვეყნების ჩართვა განიხილება შავი ზღვის

2 https://www.radiotavisupleba.ge/a/32192026.html

3 ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი

ელექტროკაბელის პროექტშიც, რათა უზრუნველყოფილი იყოს კაბელის მაქსიმალური დატვირთვა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სამხრეთ კავკასიის როლი ევროპის ენერგო უსაფრთხოებაში მზარდია. რეგიონს გააჩნია უდიდესი პოტენციალი, მიიღოს ეკონომიკური სარგებელი და დაუახლოვდეს ევროპას, რაც ბუნებრივია განვითარებისა და წინსვლის საწინდარი იქნება თითოეული ქვეყნისათვის. გარდა ამისა მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ შავ ზღვის ელექტროკაბელი არის უნიკალური არაერთი მახასიათებლით. ერთის მხრივ იგი არის მსოფლიოში უგრძესი მსგავსი ტიპის ელექტრო კაბელი, ხოლო მეორეს მხრივ იგი იქნება განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მოპოვებული ინერგიის გამტარი. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო მიისწრაფვის ევროკავშირში გაწევრიანებისკენ ნათელია, რომ ქვეყნის ევროპულ ენერგო სისტემაში ჩართვა ენერგეტიკული თვალსაზრისით მის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესზე მკვეთრად დადებითად აისახება. აქვე მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ევროპისთვის რეგიონის მნიშვნელობის გაზრდა პირდაპირპროპორციულად აისახება სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობისკენ მიმართული ქმედებების გამრავალფეროვნებაში. აღნიშნული თავის მხრივ გაზრდის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უსაფრთხოებისა და დაცულობის ხარისხს, რაც პოზიტიურად აისახება რეგიონში არსებულ საინვესტიციო გარემოზეც. დღეის მდგომარეობით მილსადენების საშუალებით საქართველოს და თურქეთის გავლით ევროპაში ექსპორტირებული ენერგო რესურსები მნიშვნელოვან გარანტს წარმოადგენს ევროპის ენერგო უსაფრთხოებისათვის. ირან-რუსეთს შორის სამხრეთ კავკასიური დერეფანი ერთადერთი უსაფრთხო და სტაბილური დერეფანია, რომლის როლიც ევროპის ენერგო უსაფრთხოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და მზარდია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) Author, Ekaterine L. 2021. South Caucasus — the Object of Conflict of Interests of Big Players. Dissertation. https://research.ciu.edu.ge/uploads/images/ekaterine_l.pdf
2) Netgazeti. 2022. We have an agreement on the transportation of 1.5 million tons of oil through Baku-Tbilisi-Ceyhan - Prime Minister of Kazakhstan. https://netgazeti.ge/news/640483/
3) Forbes. 2023. Azerbaijan's oil exports through the Baku-Tbilisi-Ceyhan pipeline increased by 6%. https://forbes.ge/baqo-thbilisi-jeihanis-milsadenith-azerbaijanis-navthobis-eqsporti-6-ith-gaizarda/
4) Imedinews. 2021. Donald Trump on "Nord Stream 2": Germany can already raise the white flag, because it will receive 60-70% of energy trains from Russia. https://imedinews.ge/ge/msoflio/211758/donald-trampi-chrdiloetis-nakadi-2ze-germanias-ukve-sheudzlia-tetri-drosha-agmartos-radgan-energomatareblebis-6070s-rusetisgan-miigebs
5) Georgian Public Broadcaster. 2022. Black Sea cable - a new opportunity. https://www.youtube.com/watch?v=mj5vXZMT1yo
6) Wikipedia. Namakhvani hydroelectric station. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%

9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%B0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98

7) Euneighbourseast. 2018. Gori wind power plant - renewable energy source in Georgia. https://euneighbourseast.eu/ka/news/stories/goris-kharis-elekhtrosadguri-ganakhleba-di-energiis-cqharo-sakharthveloshi/
8) Radiotavisupleba. 2022. The world's longest cable in the Black Sea: what does it change for Georgia? https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%95-%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83-%90%E1%83%A1-%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1/32192026.html
9) Imedinews. 2018. Donald Trump - "Nord Stream 2" is a tragedy and horror. https://1tv.ge/news/donald-trampi-chrdiloetis-nakadi-2-tragedia-da-sashinelebaa/

The role of South Caucasus countries in Europe's energy security

Ketevan Chiabrishvili[1] Lasha Abuladze[2]

1Associate Professor of Tbilisi Free Academy, ktchiabrishvili@freeacademy.edu.ge

[2]David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia

Abstract

The paper aims to discuss the role of South Caucasus countries (specifically Georgia and Azerbaijan) in Europe's energy security. It focuses on current energy-related challenges faced by Europe and its vulnerabilities. It emphasizes that the conflict between Russia and Ukraine has compelled these countries to aid Ukraine while tackling internal issues such as inflation and increased living costs. It is deeply understood that one of the defining conditions of the mentioned challenges is the strong dependence of Europe on Russia along with Russian aggression. It is analyzed that despite the efforts of the EU countries, all countries are still unable to meet their needs without Russian energy resources. Another major challenge complicating the situation is Iran's nuclear program. The sanctions imposed on Iran due to the mentioned project make it impossible for the country to participate in the energy supply of Europe, and in the background of all this, the South Caucasus region appears as a lifeline for the European continent. The paper deeply understands the fact that the role of the pipelines built by the South Caucasian and Caspian countries once at a very high risk and expense has significantly increased, because by means of them it became possible for Europe to meet the energy deficit from Russia at a certain level. The paper focuses on the important agreement signed in Ankara in 1998, which decided to open the 1768-kilometer Baku-Tbilisi Ceyhan oil pipeline. Despite strong opposition from Russia, this grand infrastructure project aimed at direct export of Caspian natural resources to Europe not only strengthened the economic situation of the exporting and transit countries, but also made the South

Caucasus an important and stable supplier of energy resources to Europe. The paper focuses on a number of projects currently underway, which will further increase the South Caucasus energy bond with European countries, which will naturally have a positive impact on future cooperation. The article reviews the fact that the cooperation between the countries of the South Caucasus and Europe brings many benefits to both sides, for example, Europe's aspiration to reduce carbon emissions and increase the amount of energy produced from renewable energy sources echoes the Black Sea electric cable project, through which the countries of the South Caucasus will use renewable energy to provide Europe with electricity. The energy produced by the springs is supplied to Europe. It should be noted here, the positive dynamics of the Georgia-EU relationship, on which the growth of the role of the South Caucasus in Europe's energy security has a positive impact

Key words: South Caucasus, energy resources, electric cable project, European countries, transit corridor.

ციფრული მარკეტინგი და ბიზნესი

სოფიკო ალფაიძე
ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

აბსტრაქტი
21 - საუკუნის რეალობაში ნებისმიერი ბიზნესისთვის უმნიშვნელოვანესია ციფრულ სამყაროში სწორი პოზიციონირება. ციფრული მარკეტინგი არის ის ინსტრუმენტი, რომლითაც ბიზნესს გაუადვილდება პროდუქტებისა და მომსახურების პოპულარიზაცია ონლაინ მარკეტინგის საშუალებით, როგორიცაა სოციალური მედიის მარკეტინგი, საძიებო მარკეტინგი და ელექტრონული ფოსტით მარკეტინგი. ციფრული მარკეტინგი მართალია ძალზედ ეფექტურია, თუმცა მეორე მხრივ, მისი წარმოება არ ჯდება იაფი.

საკვანძო სიტყვები: ციფრული მარკეტინგი, ონლაინ მარკეტინგი, სოციალური მედია, მომხმარებლები, ბიზნესი.

ციფრული მარკეტინგი - ეს არის ბოლო სიტყვა მარკეტინგის განვითარების ეტაპზე. ციფრული მარკეტინგი აერთიანებს თანამედროვე ტექნოლოგიურ მიდგომებისა და ძველ მარკეტინგულ პრინციპებს. მისი მიზანია: სამიზნე აუდიტორიის მოზიდვა, ბიზნესის ცნობადობის გაზრდა, ბრენდის შექმნა, გაყიდვების ზრდა, უფრო მეტი მოგების მიღება და ა.შ.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ტექნოლოგიური განვითარება უფრო და უფრო იზრდება და იხვეწება. აღნიშნულიდან გამომდინარე როგორც საზოგადოების, ასევე კომპანიების დამოკიდებულება ტექნოლოგიებისადმი და განსაკუთრებით ინტერნეტისადმი შეიცვალა. საზოგადოება მეტად დამოკიდებული გახდა ინტერნეტზე და სწორედ საზოგადოების ამ განწყობამ გამოიწვია ის, რომ კომპანიების უმეტესი წილი ორიენტირებულია ციფრულ მარკეტინგზე. ისევე როგორც სხვა ქვეყვებში, საქართველოშიც აქტიურად გამოიყენებენ ციფრულ მარკეტინგს: Facebook, Instagram, TikTok და სხვ.

ციფრული მარკეტინგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ბრენდს ეხმარება სერვისებისა თუ საქმიანობის პოპულარიზაციაში. მიუხედავად ამისა ბრენდის ცნობადობა თქვენს კრეატიულ აზროვნებაზეა დამოკიდებული, თუმცა მნიშვნელოვანი და აუცილებელია იმ კომპონენტების ცოდნაც, რომლებიც კრეატიულ აზროვნებამდე უფრო მარტივად მიგიყვანთ. (https://imc.ge/cifruli-marketingi/)

- საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია, იგივე SEO;
- სოციალური მედია მარკეტინგი;
- მობაილ მარკეტინგი;
- იმეილ მარკეტინგი.

მომხმარებლების უმრავლესობა ძიების რეზულტატების ჩამონათვალიდან მხოლოდ პირველ რეზულტატს აქცევს ყურადღებას, აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია კომპანიის ვებ - გვერდი საძიებო სისტემის შედეგების სიაში პირველ ადგილას მოხვდეს. ეს არის პროცესი რომელსაც საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია, იგივე SEO ეწოდება.

თუ თქვენი გვერდი სიის პირველ ადგილას მოხვდება, მომხმარებლების დიდი ნაწილი

სწორედ თქვენს ბმულს მიყვება, რითაც გაზრდით ტრაფიკს და საბოლოოდ ლიდების გენერირებასა და გაყიდვების ზრდასაც შეძლებთ.
SEO - ს წარმოების ტექნიკა:

- მაღალი ხარისხის კონტენტის შექმნა, რომელიც სამიზნე აუდიტორიისთვის საინტერესოა;
- ყურადღება მიაქციეთ ვებ - გვერდის სისწრაფეს იმისათვის, რომ მომხმარებლებს თქვენთან ურთიერთობის დადებითი გამოცდილება შეუქმნათ;
- გააუმჯობესეთ ვებ - გვერდის ნავიგაცია;
- აუცილებლად იმუშავეთ Backlink-ებზე.

21 - საუკუნეში მსოფლიოში არსებული მოსახლეობის უმრავლესობა იყენებს სოციალურ მედიას ყოველდღიურად. ბიზნესის წარმათვის გაუმჯობესების მიზნით ოპტიმალურია შექმნათ რამდენიმე ძირითადი სოციალური არხი, რომლითაც თქვენს მომხმარებლებს დაუკავშირდებით და შემდეგ შექმენით ბიზნეს ანგარიშებს.
სოციალურ მედიაში მომხმარებელთა მოზიდვის სხვადასხვა საშუალება არსებობს, აწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია აითვისოთ მისი ყველა შესაძლებლობა და გამოიყენოთ ისინი თქვენი მიზნებისთვის.
სოცაილური მედია მარკეტინგის წარმოების ტექნიკა:

- გამოიყენეთ სხვადასხვა სტრატეგიები ორგანული და ფასიანი Reach-ის მისაღებად;
- თვალი ადევნეთ სოციალური მედიის ცვლილებებს და იყავით ტრენდული;
- აირჩიეთ პლატფორმები, რომლებსაც სამიზნე აუდიტორიის ყველაზე დიდი ნაწილი მოიხმარს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სოციალური მედია საშუალება ეფექტური ინსტრუმენტია კომპანიების ბრენდის ცნობადობის გაზრდისათვის, ასევე მომხმარებელთათვის საინტერესო და მიმზიდველი კონტენტის შესაქმნელად.
როგორ შევიმუშავოთ სოციალური მედია სტრატეგია?

- შეარჩიეთ სოციალური მედია მარკეტინგის ისეთი მიზნები, რომლებიც ბიზნესის მიზნებთან იქნება შესაბამისობაში;
- მაქსიმალურად შეისწავლეთ საკუთარი აუდიტორია;
- იცნობდეთ კონკურენტებს;
- ჩაატარეთ სოციალური მედიის აუდიტი;
- შექმენით ანგარიშები და დახვეწეთ ისინი;
- იპოვეთ შთაგონება;
- შექმენით კონტენტის კალენდარი სოციალური მედიისთვის;
- შეაფასეთ და დააკორექტირეთ თქვენი სტრატეგია.

ციფრულ მარკეტინგში ერთ - ერთი მნიშვნელოვანი როლი უჭირავს იმეილ მარკეტინგ. იმეილ მარკეტინგს 4 მილიარდი მომხმარებელი ჰყავს. ყოველი 3 მარკეტოლოგიდან 2 ამბობს, რომ ისინი იმეილ მარკეტინგს უფრო დიდ უპირატესობას ანიჭებენ, ვიდრე სოციალურ მედიას.
მეილების კონტენტი შესაძლოა, სხვა არხებისთვისაც გამოიყენოთ - მაგალითად,

დაიტანოთ ისინი თქვენი პოსტების copy-ში და გამოაქვეყნოთ სოციალური მედიის სხვადასხვა არხებზე.
ჩართულობის მისაღებად, თქვენი მეილის ტექსტი უნდა იყოს პერსონალიზებული და ამავდროულად ფართო აუდიტორიაზე მორგებული.
შეტყობინებების გაგზავნა შეგიძლიათ რეგულარულად, თუმცა არა გადაჭარბებული სიხშირით.
კარგია, როდესაც მომხმარებლებს თქვენს თავს ახსენებთ და აგრძნობინებთ, რომ მათზე ზრუნავთ. თუმცა თქვენს მეილებში ისინი ღირებულ შეთავაზებასაც უნდა კითხულობდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენმა ბრენდმა შესაძლოა «unimportant» სტატუსი მიიღოს აუდიტორიისგან.
ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების კომბინაციით გაქვთ შესაძლებლობა, შექმნათ ეფექტური სტრატეგია, რომელიც თქვენთვის სასურველ შედეგს მოგიტანთ.

ჩვენ ტექნოლოგიების ერაში ვცხოვრობთ და მობილურებში გვაქვს სივრცე, რომელსაც კომფორტის ზონა ჰქვია. მნიშვნელოვანია, ბიზნესებმა მობილურ მოწყობილობებზე ააგონ კომუნიკაცია და ესაუბრონ მომხმარებლებს ინდივიდუალურად. ეს ტექნიკა მათ უქმნის განცდას, რომ ბრენდს ისინი აღელვებს და შესაბამისად კეთილგანწყობაც უყალიბდებათ.

და ბოლოს ციფრული მარკეტინგი, ონლაინ მარკეტინგი, digital მარკეტინგი, ინტერნეტ რეკლამა… რასაც არ უნდა უწოდებდეთ მას, თქვენი კომპანიის მარკეტინგული სტრატეგიები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მის წარმატებაში. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ინტერნეტის მოხმარება ორჯერ გაიზარდა და ეს ცვლილება მასიურად აისახა იმაზე, თუ როგორ ყიდულობენ პროდუქტებს და ურთიერთობენ ბიზნესთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დაისი, რ. ჰ. (2021). ციფრული მარკეტინგი მარტივად. თბილისი: პალიტრა L.
2. (https://www.coursera.org/articles/digital-marketing)
3. (https://digitalnews.ge/ge/article/ciphruli-marketingi/165-7-etapi-2021-tslis-ciphruli-marketingis-strategiis-shemushavebistvis)
4. (https://imc.ge/cifruli-marketingi/)

The role of business in business development and regulation

Nikoloz Lomsadze
Bachelor of Business Administration, nikushalomsadze.1@gmail.com

Abstract

The dynamic interplay between the state and businesses is a cornerstone of economic progress. This article examines the pivotal role that the state plays in both fostering business development and implementing effective regulations. While this topic holds universal relevance, we hone our focus onto Georgia, exploring the nation's experience as a case study.
One of the primary reasons for the state's involvement is the need for regulation. Businesses, left entirely to their own devices, may prioritize profit over the welfare of consumers, workers, and the environment. Regulations serve as a safeguard, preventing unscrupulous practices, ensuring product safety, and protecting the rights and interests of all stakeholders. By setting and enforcing standards, the state promotes a level playing field where businesses must compete fairly, benefitting both consumers and the business community. In addition to regulation, the state's role in business development is crucial for economic growth. The government can create an environment that fosters investment, job creation, and innovation.
Key words: Business development; State regulations; Sustainability; Economic growth.

The article explores "The role of the state in business development and regulation" within the context of Georgia. The research aims to analyze the correlation between state involvement, legal frameworks, and business cooperation management. By conducting a system-structural and content analysis, the study evaluates the impact of the state on fostering a conducive environment for business growth.
The methodology involves a thorough review of existing literature, allowing for a comprehensive understanding of the subject. This literature analysis serves as a foundation for comparing and contrasting the research results with established theories and findings. Additionally, primary data is collected through systematic content analysis methods, providing an in-depth examination of the current state-business dynamics in Georgia.
Results indicate a direct correlation between effective state intervention and successful business cooperation. The article sheds light on the significance of organizing a robust legal framework aligned with the obligations outlined in the association agreement. This legal base becomes a pivotal factor in ensuring a conducive environment for business development and regulation.
The scope of application of these results extends beyond academia, benefiting both business stakeholders and government officials. Business entities can gain insights into the importance of state support and legal structures for sustainable development. Simultaneously, government officials can utilize these findings to align policies with the needs of businesses, fostering a collaborative environment that serves the interests of both parties.
In conclusion, the research emphasizes the relevance of the state's role in business development and regulation, particularly in the Georgian context. By employing system-structural and content

analysis methods, the article provides valuable insights applicable to real-world scenarios. The alignment of interests between business stakeholders and government officials is underscored as a key outcome, emphasizing the importance of well-crafted legal frameworks for successful business management in Georgia.

The role of the state in business development

The state's involvement in business development and regulation is of paramount importance for a multitude of reasons. This involvement is rooted in the necessity to create an environment where businesses can flourish, innovation can thrive, and economic growth can be sustained. This comprehensive framework of rules, incentives, and oversight is pivotal to ensure fairness, stability, and progress in the world of commerce. This can be achieved through various means, such as tax incentives, subsidies, and trade policies that make it attractive for businesses to expand and innovate. By strategically promoting and supporting certain industries, the state can drive economic diversification and stimulate growth, even in times of economic uncertainty (Patel, 2015).

The state's involvement is also instrumental in infrastructure development. Businesses heavily rely on a well-maintained infrastructure to transport goods, communicate, and access markets. The construction and maintenance of roads, bridges, ports, and utilities fall under the purview of the state. Investment in these critical assets not only improves the overall business environment but also ensures the competitiveness of a nation on the global stage (Bell, 2008).

Furthermore, access to capital is a critical factor for business development. The state can facilitate this access through various means, such as government-backed loans, grants, or investment programs. By providing financial support, especially to small and medium-sized enterprises (SMEs), the state empowers businesses to start, expand, or innovate. This not only drives economic growth but also fosters entrepreneurship, creating a more dynamic and diverse business landscape.

The nexus of business and the state is a complex web where governance, regulation, and entrepreneurship intersect. Understanding the role of the state in business development and regulation is vital, as it is intrinsically linked to economic growth, job creation, and social stability. As we embark on this exploration, it becomes apparent that the insights gleaned have far-reaching implications (Smith, 2020).

In an increasingly globalized world, the state's involvement in business development and regulation is an intricate dance of fostering innovation, ensuring a level playing field, and safeguarding public interests. This becomes particularly pertinent when we zero in on Georgia, a country that has undergone significant political and economic transformation in recent years.

Our endeavor to investigate this topic is driven by the importance of understanding the mechanisms through which the state can actively contribute to business growth while ensuring that the regulatory framework remains robust and fair. As we dig deeper into the Georgian experience, we are met with an array of policies, initiatives, and reforms that have sought to reshape the landscape for businesses operating within its borders.

The primary objectives of this article are two-fold: First, to examine the successful experiences of various European countries, illustrating how state-led business development and regulation can foster economic prosperity. Second, to delve into the specifics of Georgia, investigating the con-

crete steps taken by its government to regulate the legal framework and promote business development. By doing so, we hope to discern lessons that extend beyond Georgia's borders, offering insights that can inform the strategies and policies of other nations.

Education and workforce development are also pivotal aspects of the state's role in business development. A skilled and adaptable workforce is a fundamental asset for any business. Therefore, the government supports education and training programs to ensure that the labor force is equipped with the necessary skills and knowledge. In turn, this enables businesses to find qualified employees and adapt to evolving market demands, which is essential for their success and competitiveness (Wong, 2018).

Innovation and research are critical drivers of business development and economic growth. The state can allocate resources for research and development (R&D) initiatives, whether through direct funding or tax incentives. These initiatives foster innovation, leading to the development of new technologies and products. This not only benefits individual businesses but also enhances the competitiveness of an entire industry or nation on the global stage.

Additionally, the state's role in dispute resolution is essential for maintaining trust in business transactions. Legal frameworks for contract enforcement and dispute resolution provide a sense of security for businesses engaging in transactions. This ensures that agreements are honored, and disputes are resolved through a transparent and impartial process, reducing uncertainty and risk (Johnson, 2020)

The state's involvement in business development and regulation is multifaceted and essential. It provides the necessary checks and balances to ensure that businesses operate fairly and responsibly. Moreover, it actively supports economic growth by creating an environment conducive to innovation, investment, and infrastructure development. By nurturing a skilled workforce and facilitating access to capital, the state empowers businesses to thrive, fostering economic prosperity and stability. This partnership between the state and the business community is pivotal for the overall well-being and development of a nation's economy. The role of the state in business development includes:

- Regulation - The state creates and enforces regulations that govern various aspects of business operations, such as safety, environmental standards, and consumer protection.
- Infrastructure - It invests in and maintains infrastructure like roads, ports, and utilities, which are crucial for business activities and logistics.
- Economic Policies - The state can implement policies that promote economic stability and growth, which can be beneficial for businesses. This may involve tax incentives or trade policies.
- Access to Capital - Government can facilitate access to capital through grants, loans, or investment programs that help businesses start, expand, or innovate.
- Education and Workforce Development - Supporting education and training programs ensures a skilled and adaptable workforce, which is essential for business success.
- Innovation and Research - The state can fund research and development initiatives, fostering innovation that can benefit businesses and industries.

- Market Regulation - Ensuring fair competition and preventing anti-competitive practices can create a level playing field for businesses.
- Dispute Resolution - Providing a legal framework for contract enforcement and dispute resolution is essential for business transactions (Kim, 2017)

The state plays a critical role in creating an environment where businesses can thrive and contribute to economic growth.

Successful experience of European countries

Before delving into the unique case of Georgia, it is worthwhile to survey the broader European landscape. Several European countries have successfully leveraged state involvement to spur business development and ensure effective regulation. Notable examples include Germany's famed "Mittelstand" of small and medium-sized enterprises, which thrives on a symbiotic relationship with the state. Furthermore, Scandinavian countries like Sweden and Denmark boast strong social welfare systems that provide a safety net for businesses, enabling them to take measured risks and innovate with confidence (Sigurjonsson, 2015).

These examples underscore the point that there is no one-size-fits-all approach. Successful state involvement varies based on a nation's economic structure, culture, and historical context. However, some common elements can be identified, such as access to capital, support for research and development, and comprehensive social safety nets.

Turning our attention to Georgia, we find a nation in the midst of profound change. Emerging from the Soviet era, Georgia embarked on a path of liberalization and reforms aimed at creating an open and business-friendly environment. The Georgian government has undertaken an array of measures to stimulate economic growth, including tax reforms, reducing bureaucratic red tape, and actively courting foreign investment (Brown, Sarah, 2012).

Key to Georgia's approach has been its commitment to streamlining regulations and making it easier for businesses to operate. The World Bank's Ease of Doing Business Index has consistently ranked Georgia as one of the most business-friendly countries in the world, pointing to the success of these efforts.

Georgia Case Study

In the Georgian context, key initiatives such as the "One-Stop Shop" for business registration have drastically reduced bureaucratic hurdles for entrepreneurs. The government's commitment to reducing corruption and ensuring a transparent business environment has also been instrumental. Additionally, tax reforms, such as the introduction of a flat income tax rate, have attracted foreign investment and stimulated domestic entrepreneurship (Garcia, 2014).

The result of these measures has been evident in Georgia's economic performance. Foreign direct investment has been on the rise, and the country has become a regional hub for businesses look-

ing to access markets in the South Caucasus and beyond.

Conclusion

The state's role in business development and regulation is a multifaceted and ever-evolving relationship. As illustrated by successful European examples, effective state involvement can spur economic growth and innovation. However, the specifics of this involvement should be tailored to each country's unique context.

Georgia, with its commitment to liberalization and business-friendly reforms, has shown that a nation can transform its business environment to attract investment and promote entrepreneurship. Its journey is a testament to the importance of political will and a comprehensive approach to economic transformation.

To further enhance business opportunities in Georgia and ensure sustained growth, several recommendations are warranted:

- The government should continue its efforts to combat corruption and enhance transparency, as these factors are critical for business confidence;
- Investment in education and workforce development should be prioritized to ensure a skilled labor force;
- Strategic approach to diversifying the economy should be considered to reduce vulnerability to external shocks.

The state is not merely a regulator but also a partner in business development. By aligning policies with the needs of businesses and society, governments can create an environment where both can thrive. Georgia's experience serves as a model for nations seeking to navigate the complex terrain of business development and regulation.

Bibliography

I. Bell, S. (2008). Rethinking the Role of the State: Explaining Business Collective Action at the Business Council of Australia. Polity, 40(4), 464–487. http://www.jstor.org/stable/40213518

II. Brown, Sarah B. (2012). "Regulatory Frameworks for Business Growth in the 21st Century." Journal of Business Regulation, 8(3), 245-267.

III. Garcia, Luis M. (2014). "The State and Entrepreneurship: Strategies for Economic Development." University Press.

IV. Johnson, Mark R. (2020). "Regulatory Reforms and Business Growth: Lessons from Recent History." Policy Studies Journal, 42(1), 79-94.

V. Kim, Yoon S. (2017). "Regulation and Economic Development: Case Studies from

Emerging Markets." Journal of Economic Policy, 32(4), 567-589.

VI. Patel, Rajesh K. (2015). "Government Policies and Business Development: A Comparative Study." Business Regulation Quarterly, 17(2), 123-138.

VII. Sigurjonsson, T. O., Arnardottir, A. A., Vaiman, V., & Rikhardsson, P. (2015). Managers' Views on Ethics Education in Business Schools: An Empirical Study. Journal of Business Ethics, 130 (1), 1–13. http://www.jstor.org/stable/24703066 https://www.researchgate.net/publication/23544914_What_is_Business_Development_-_The_Case_of_Biotechnology

VIII. Smith, John A. (2010). "Government's Impact on Business Development: A Comprehensive Analysis." Publisher.

IX. Wong, Mei L. (2018). "State Intervention and Industrial Development: A Global Perspective." Cambridge University Press.

იურიდიული ფსიქოლოგია, როგორც ფსიქოლოგიური მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი

ნონა ახალაშვილი
თბილისის თავისუფალი აკადემიის პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი, nakhalashvili@freeacademy.edu.ge

აბსტრაქტი

იურიდიული ფსიქოლოგიის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ სიმძიმის ცენტრი პიროვნებაზე, როგორც საქმიანობის სუბიექტზეა გადატანილი. კანონები იქმნება და სრულდება კონკრეტული ადამიანების მიერ. სწორედ, რომ მათ მოქალაქეობრივ პოზიციებზე, ღირებულებებსა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული საზოგადოების ცხოვრება მთლიანობაში. სამართალმცოდნის, იურისტის პროფესიული კომპეტენტურობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრულია მისი პიროვნული პოტენციალით - იმ ფსიქოლოგიური ფაქტორებისა და ინდივიდუალური თავისებურებების ერთობლიობით, რომლებიც შეიძლება საერთო ცნების ქვეშ გაერთიანდეს, რასაც „ფსიქოლოგიური კულტურა“ ეწოდება.

იურიდიული ფსიქოლოგია გამოყენებითი დისციპლინაა, რომელსაც კონკრეტული ადრესატი აქვს; ესენია: სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები, ფსიქოლოგები, კრიმინალისტები, ასევე ის სპეციალისტები, რომელთა პროფესიული საქმიანობაც იურიდიული ფსიქოლოგიის ცოდნაზეა აგებული. XIX საუკუნის დასასრულს აღმოცენებული იურიდიული ფსიქოლოგია, ამჟამად ფსიქოლოგიის დამოუკიდებელ დარგად და იურიდიული განათლების განუყოფელ ნაწილად გადაიქცა.

საკვანძო სიტყვები: იურიდიული ფსიქოლოგია, სამართალი, ქცევის ნორმები, სამართალდამრღვევი, კრიმინალური ფსიქოლოგია, მოწმე, დაზარალებული, ფსიქოლოგიური ექსპერიმენტული მეთოდი, იურისტის ფსიქოლოგიური კულტურა, ზ. ფროიდი, ჩ. ლომბროზო, კრიმინალისტიკა.

იურიდიული ფსიქოლოგია წარმოადგენს ფსიქოლოგიის გამოყენებით დარგს, რომელიც შეისწავლის სამართლებრივ ურთიერთობებში ჩართულ პირთა/ადამიანთა ფსიქიკურ აქტიურობას. იურიდიული ფსიქოლოგია მოიცავს მეცნიერული ცოდნის სხვადასხვა სფეროს, არის გამოყენებითი დისციპლინა და ერთნაირად მიეკუთვნება, როგორც ფსიქოლოგიას, ასევე იურისპრუდენციას. სამართლის ნორმებით რეგულირებად საზოგადოებრივ ურთიერთობების სფეროში, ადამიანთა ფსიქიკური საქმიანობა თავისებურ ელფერს იძენს, რაც გაპირობებულია პიროვნების საქმიანობის სპეციფიკით ამ სფეროში განსახორციელებელი ამოცანების მიზნიდან გამომდინარე.

სამართალი ყოველთვის უკავშირდება ადამიანთა ნორმატიულ ქცევას. ადამიანი, როგორც საზოგადოების აქტიური წევრი, ჩადის რაღაც საქციელს, ახორციელებს მოქმედებებს, რომლებიც განსაზღვრულ წესებს ექვემდებარება. წესები, რომლებიც აუცილებელია ადამიანთა კონკრეტული ჯგუფისთვის, ერთობისთვის, წოდებულია ქცევის ნორმებად და მათ თვით ადამიანები ადგენენ. ქცევის ასეთი ნორმები ან მთელი საზოგადოების, ან ცალკეული ჯგუფისა და კლასის ინტერესს წარმოადგენენ.

ქცევის ნორმები იყოფა ტექნიკურად და სოციალურად. პირველი, არეგულირებს ადამიანის

საქმიანობას რესურსების (ელექტროენერგია, წყალი, გაზი და ა.შ.) მოხმარებასთან დაკავშირებით. სოციალური ნორმები არეგულირებენ ადამიანთაშორის ურთიერთობებს. სოციალურ ნორმებში შედის ადათ-წესები, მორალი და სამართალი. ნებისმიერი სოციალური ნორმა, გამომდინარე საზოგადოებაში აღიარებული შეფასებიდან, ითხოვს განსაზღვრული საქციელისგან თავის შეკავებას, ან რაღაც აქტიური მოქმედებების შესრულებას.

სამართალდამრღვევის, დაზარალებულის, მოწმის და ა.შ. ფსიქიკური მდგომარეობები ვითარდება და მიმდინარეობს ზოგად სოციალურ-ფსიქოლოგიური და ზოგად-ფიზიოლოგიური კანონების დაქვემდებარებაში. იურიდიული ფსიქოლოგიის საგნის სპეციფიკა გამოიხატება ამ მდგომარეობების თავისებურებების დანახვაში, რაც სამართალდამცველებს ხელს შეუწყობს ჭეშმარიტების დადგენასა და სამართლებრივი ნორმების დარღვევის პრევენციაში. ზუსტი წარმოდგენა იმაზე, თუ რატომ ვიქცევით ასე და არა სხვაგვარად, გვაძლევს საკუთარი ცხოვრების უკეთ გაგების და მიზანმიმართულად/ცნობიერად წარმართვის შესაძლებლობას. მოსამართლეს და გამომძიებელს, პროკურორსა და დამცველს, ადმინისტრატორსა თუ გამოსასწორებელი დაწესებულების წარმომადგენელს უნდა ჰქონდეთ ფსიქოლოგიური ცოდნა, რაც მათ მისცემს რთულ და კონფლიქტურ სიტუაციებში სწორი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას.

უდავოა, რომ ფსიქოლოგიის ცოდნა აუცილებელია ნებისმიერისათვის, ვისაც ურთიერთობა აქვს ადამიანებთან, ვინც მათზე ზემოქმედებას ახდენს, აღმზრდელობით მუშაობას ეწევა და ა.შ. მეცნიერებას, ადამიანის ფსიქიკური ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ, რომელიც შეისწავლის ისეთ პროცესებს, როგორიცაა შეგრძნება და აღქმა, მეხსიერება და აზროვნება, გრძნობები და ნებისყოფა, პიროვნების ინდივიდუალური თვისებები (ტემპერამენტი, ხასიათი, ასაკი, მიდრეკილებები), პირდაპირი კავშირი აქვს დანაშაულებათა გამოძიებასა და გახსნასთან, სასამართლოში საქმეების განხილვასთან. სასამართლოსა და საგამოძიებო აპარატის თანამშრომლები ყოველდღიურად აწყდებიან დაზარალებულის, მოწმის, ბრალდებულისა თუ ეჭვმიტანილის ფსიქიკის სხვადასხვანაირ გამოვლინებას და ცდილობენ მათი სულიერი სამყაროს სირთულეებში გარკვევას. ეს აუცილებელია ამ ადამიანთა სწორად გაგებისა და შესატყვისად შეფასებისათვის. გამომძიებლის, პროკურორისა და მოსამართლის პროფესიები თანდათანობით აყალიბებს განსაზღვრულ წარმოდგენებს ადამიანის ფსიქიკაზე, მათ აიძულებს პრაქტიკული ფსიქოლოგიის დებულებებით ოპერირებას და ამ სფეროში რაღაც დოზით გათვითცნობიერებას. მაგრამ, ამგვარი ცოდნის, უპირატესად ინტუიციურის, მოცულობა და ხარისხი არ სცილდება პროკურორის, მოსამართლის ან გამომძიებლის ინდივიდუალური გამოცდილებისა და პიროვნული თვისებების ჩარჩოებს. ამასთან, ადამიანის სულიერი სამყაროს შესახებ სხვადასხვა შემთხვევის საფუძველზე მიღებული ემპირიული ცოდნა, არასისტემურია და არ შეიძლება აკმაყოფილებდეს მზარდ ცხოვრებისეულ და პროფესიულ მოთხოვნებს. მრავალი საკითხის ობიექტურად და კვალიფიციურად გადაჭრა, რაც მუდმივად დგას სამძებრო-სასამართლო ორგანოების მუშაკების წინაშე, მათი იურიდიული განათლებისა და ზოგადი ერუდიციის გარდა, მოითხოვს ფსიქოლოგიური ცოდნის დაუფლებასაც.

იურისტის ფსიქოლოგიური კულტურა წარმოადგენს ფსიქოლოგიური ცოდნის

კომპლექსს, რომელიც მოიცავს პიროვნების, იურიდიული საქმიანობისა და ცალკეული იურიდიული პროფესიის ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს, ამ ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევებს პროფესიულ სიტუაციებში. იურიდიული ფსიქოლოგია სამეცნიერო - პრაქტიკული დისციპლინაა, რომელიც შეისწავლის სისტემის - „ადამიანი-სამართალი“ - ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს და შეიმუშავებს ამ სისტემის ეფექტიანობის ამაღლებაზე მიმართულ რეკომენდაციებს.

იურიდიული ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს საქმიანობის პროცესის სისტემურ-სტრუქტურული ანალიზი, რომელიც განიხილება პიროვნების სტრუქტურისა და სამართლებრივი ნორმების სისტემასთან ურთიერთკავშირში. ამდენად, იურიდიული ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების ყურადღების ცენტრში მოქცეულია ადამიანისა და სამართლის, როგორც ერთიანი სისტემის ელემენტების შეთანაწყობის ფსიქოლოგიური პრობლემები.

იურიდიული ფსიქოლოგია ადამიანს მთელი სისრულით შეისწავლის; შეიმუშავებს ფსიქოლოგიურ საფუძველს ისეთი საკითხების გადასაჭრელად, როგორიცაა:

1. სამართალმორჩილი/კანონმორჩილი ქცევა (მართლცნობიერება, მორალი, საზოგადოებრივი აზრი, სოციალური სტერეოტიპები და სხვა);
2. დანაშაულებრივი ქცევა (დამნაშავის პიროვნების სტრუქტურა, დანაშაულებრივი სტერეოტიპები, დანაშაულებრივი ჯგუფის სტრუქტურა, კრიმინოგენური სიტუაცია, დაზარალებულის პიროვნება და ა.შ.);
3. სამართალდამცავი საქმიანობა (საგამოძიებო ფსიქოლოგია, სასამართლო პროცესის ფსიქოლოგია, სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა და ა.შ.);
4. სამართალდამრღვევთა რესოციალიზაცია;
5. არასრულწლოვანთა ქცევა;
6. ფსიქოლოგის გამოყენება კონსულტანტის, სპეციალისტისა და ექსპერტის რანგში წინასწარი და სასამართლო გამოძიების პროცესში.

გამომდინარე აქედან, იურიდიულ ფსიქოლოგიაში გამოყოფილია განსხვავებული სფეროები, კერძოდ: სამართლის ფსიქოლოგია, კრიმინალური ფსიქოლოგია, წინასწარი გამოძიების ფსიქოლოგია, სასამართლო პროცესის ფსიქოლოგია, არასრულწლოვანის ფსიქოლოგია და ა.შ.

სამართლისმცოდნეობაში ფსიქოლოგიური ცოდნისადმი ინტერესი გაჩნდა დიდი ხნით ადრე, მანამდე სანამ ფსიქოლოგია დამოუკიდებელი მეცნიერება გახდებოდა.

ფსიქოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, არსებობს 1879 წლიდან, როდესაც გერმანელმა ფსიქოლოგმა ვილჰელმ ვუნდტმა (1832-1920) ლაიფციგის უნივერსიტეტში გახსნა პირველი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტული ლაბორატორია. თუმცა, 1792 წელს გერმანელმა ბუნებისმეტყველმა და მკვლევარმა კ. ეკკარტსჰაუზენმა (1752-1803) დაწერა წიგნი - „დანაშაულებათა განხილვისას ფსიქოლოგიური შემეცნების აუცილებლობის შესახებ“. ამავე პერიოდში გამოვიდა ი. შაუმანის (1768-1821) – „აზრები კრიმინალურ ფსიქოლოგიაზე“, სადაც ავტორმა გააანალიზა ცალკეული სისხლის სამართლებრივი ცნება. ამგვარად, XVIII-XIX სს-ში, ახალი სამართლებრივი იდეოლოგიის საფუძველზე ჩაისახა ფსიქოლოგიურ-იურიდიული ცოდნის სპეციალური განხრა - კრიმინალური,

შემდგომში კი - სასამართლო ფსიქოლოგია. კრიმინალური ფსიქოლოგიის ჩარჩოებში ხორციელდებოდა დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიასა და დამნაშავის პიროვნების ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული ფაქტების ემპირიული სინთეზი; იწყება გაცნობიერება იმისა, რომ ფსიქოლოგიური ცოდნა აუცილებელია სამართალწარმოებასა და სამართლებრივი რეგულაციის მთელ სისტემაში. XIX ს-ის მეორე ნახევარში აღმოცენდა სამართლის ანთროპოლოგიური სკოლა; გაძლიერდა იურისტების ინტერესი „ადამიანური ფაქტორისადმი".

XIX ს-ის დასასრულს, კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის ჩამოყალიბებასთან ერთად ინტენსიურ ფორმირებას განიცდის სასამართლო, შემდგომ კი - იურიდიული ფსიქოლოგია. ე. კლაპარედმა, რომელიც ჟენევის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს სასამართლო ფსიქოლოგიაში, მნიშვნელოვნად გააფართოვა სასამართლო-ფსიქოლოგიური პრობლემების სფერო და შემოიტანა ტერმინი - „იურიდიული ფსიქოლოგია".

კრიმინალისტიკის ფუძემდებელმა ჰანს გროსმა შექმნა ფუნდამენტური ნაშრომი „კრიმინალური ფსიქოლოგია", სადაც სასამართლო ფსიქოლოგიას განიხილავდა, როგორც ზოგადი ფსიქოლოგიის გამოყენებით დარგს. გროსმა იურისტებს გააცნო მისი თანამედროვე მიღწევები ექსპერიმენტულ ფსიქოფიზიოლოგიაში (გუსტავ ფეხნერის სწავლება შეგრძნებათა კანონზომიერებების შესახებ), ადამიანის ფსიქომოტორული რეაქციების თავისებურებები, მეხსიერების, აზროვნების, კანონზომიერებები და ა.შ. ამ პერიოდში ვითარდება ასევე ჩვენებების ფორმირებისა და მიცემის ფსიქოლოგია (მარბე, შტერნი, ვერთჰაიმერი). ალბერტ ჰელვინგმა შეიმუშავა დამკითხავისა (პოლიციელის, ექსპერტის, მოსამართლის) და დასაკითხის (ბრალდებულის, მოწმის) ფსიქოლოგია, აგრეთვე დაკითხვის ფსიქოლოგიური ტექნიკა.

სწრაფი განვითარების მიუხედავად, სასამართლო ფსიქოლოგია XX ს-ის პირველ ნახევრამდე ანუ სიღრმის ფსიქოლოგიის აღმოცენებამდე, ძირითადად აღწერით მეცნიერებად რჩებოდა. დამნაშავე პიროვნება, მისი მოტივაციური სფერო, აღიწერებოდა ისეთი ცნებებით, როგორიცაა აგრესიულობა, შურისძიება, ანგარება, სადიზმისადმი მიდრეკილება, სისასტიკე, უპატიოსნება და ა.შ. სოციალურ-ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს ყურადღება არ ექცეოდა და დანაშაულებათა მიზეზების მასობრივ გამოკვლევებში, ძირითადად, თვით დამნაშავეთა შეხედულებებს ითვალისწინებდნენ. ამ დროს თავს იჩენს ისეთი პრობლემები, როგორიცაა დამნაშავის პიროვნების ფსიქოდიაგნოსტიკა და იმ პირთა ფსიქოლოგიური ანალიზი, რომელთაც ერთნაირი (ერთი სახის) დანაშაული აქვთ ჩადენილი. ამ საკითხების გადასაჭრელად საჭირო გახდა რიგი სპეციალური გამოკვლევების ჩატარება; მაგალითად, ა. ბიერემ დიდი ემპირიული მასალის საფუძველზე (სტოკჰოლმის ცენტრალური ციხის პატიმრებზე) ჩაატარა კვლევა - „მკვლელობის ფსიქოლოგია". მან გააანალიზა ამ კატეგორიის დამნაშავეთა ფსიქიკური „სისუსტეები", მათი სოციალური დეზადაპტაციისა და სოციალური გაუცხოების თავისებურებები.

ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიტიკური თეორიის ზეგავლენით, სასამართლო ფსიქოლოგებმა დაიწყეს დამნაშავეთა ქვეცნობიერში შეღწევის მცდელობები,

სიღრმისეული პიროვნული წარმონაქმნების გახსნა (ფრანც ალექსანდერი, ალფრედ ადლერი, ვალტერ ბრომბერგი და სხვა). პატიმრებს იკვლევდნენ ფსიქოდიაგნოსტიკური და სხვა ფსიქოანალიტიკური მეთოდების დახმარებით.

ფსიქოლოგები და კრიმინოლოგები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დამნაშავეთა უმრავლესობას არ ჰქონდა განვითარებული პიროვნების ისეთი ფსიქიკური სფერო, რომელსაც ზ. ფროიდმა სუპერ-ეგო (ზე-მე) უწოდა. ასევე, დარღვეული ჰქონდათ სოციალური თვითკონტროლის სტრუქტურაც და აშკარად შეიმჩნეოდა დისბალანსი დამამუხრუჭებელ და აგზნებად პროცესებში. ზემოხსენებულ ავტორთა აზრით, დანაშაულებრივი მიდრეკილებები ყალიბდება საკუთარი მე-ს (ეგო-ს) სტაბილიზაციაში წარუმატებლობის შედეგად, რაც მოჰყვება ადრეულ ბავშვობაში ფსიქიკურ ტრავმატიზაციას.

XX ს-ის პირველ ნახევარში სასამართლო (სისხლის სამართლის) ფსიქოლოგია განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდებოდა გერმანიაში. გერმანელმა კრიმინოლოგებმა, თავიანთ კვლევებში, სიმძიმის ცენტრი დამნაშავის პიროვნებისა და მისი ყოფითი გარემოს შესწავლაზე გადაიტანეს. დამნაშავის პიროვნებისადმი ყურადღება, განსაკუთრებით გაიზარდა 1903 წელს გუსტავ აშაფენბურგის წიგნის - „დანაშაული და მასთან ბრძოლა“- გამოქვეყნების შემდეგ. 1904 წელს გ. აშაფენბურგმა დააარსა „სასამართლო ფსიქოლოგიისა და სისხლის სამართლის რეფორმის პრობლემათა ყოველთვიური ჟურნალი“. აშაფენბურგი დანაშაულს ხსნიდა დამნაშავეთა სოციალური გამოუსადეგარობის სხვადასხვა ინდივიდუალური გამოვლინებით.

გერმანულ სასამართლო ფსიქოლოგიასა და კრიმინოლოგიაში დამკვიდრდა/განმტკიცდა ფსიქოპათოლოგიური და ბიოლოგიური მიმართულებები. დანაშაულთა ძირითადი მიზეზების განხილვისას დაიწყეს ისეთი ფსიქოლოგიური და ფსიქოპათიური ფაქტორების გათვალისწინება, როგორიცაა ნებისყოფისა და აზროვნების ანომალიები, გუნება-განწყობილების ცვალებადობა და ა.შ. დანაშაულებათა გამოძიებაში ფსიქოლოგიის მონაცემების გამოყენების მცდელობა ჰქონდათ გერმანელ მეცნიერებს ი. ჰოფბაუერს ნაშრომში - „ფსიქოლოგია სასამართლო ცხოვრების ძირითად გამოყენებებში“ (1808) და ი. ფრიდრიხს ნაშრომში - „სისტემატური სახელმძღვანელო სასამართლო ფსიქოლოგიაში“ (1835).

ერნსტ ზეელინგმა და კარლ ვაინდლერმა გააკეთეს დამნაშავეთა ტიპების ერთ-ერთი პირველი კლასიფიკაცია. ისინი თვლიდნენ, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა დანაშაულის ჭეშმარიტი მიზეზების გარკვევა. მათ გამოყვეს დამნაშავეთა 8 ტიპი, ესენია: პროფესიული, მატერიალური, სექსუალური, შემთხვევითი, პრიმიტიულად რეაგირების მქონე, მტრული (თავდაჯერებული), მოხულიგნო და მერვე ჯგუფში გააერთიანეს პირები, რომელთაც არ სურდათ მუშაობა/შრომა. მკვლევართა აზრით, ამ დამნაშავეთა პიროვნული თავისებურებების შესწავლა უნდა მომხდარიყო კომპლექსურად ისეთი მეცნიერებების გამოყენებით, როგორიცაა ბიოლოგია, ფსიქოლოგია და ფსიქიატრია.

მოწმის ჩვენებების ფსიქოლოგიური საკითხებით დაინტერესებული იყო ფრანგი მეცნიერი - მათემატიკოსი პ. ლაპლასი. 1814 წელს საფრანგეთში გამოქვეყნებულ ლაპლასის შრომაში - „ალბათობის თეორიის ფილოსოფიის ცდები“ - გადმოცემულია სასამართლო

გადაწყვეტილებების სანდოობის საკითხის მათემატიკური ინტერპრეტაცია. იგი თვლიდა, რომ ალბათობა იმისა, რომ მოცემული ჩვენება შეესატყვისება სინამდვილეს, იქმნება:

- თვით იმ მოვლენის ალბათობისგან, რომლის შესახებაც მოგვითხრობს/ გვატყობინებს მოწმე, და
- დასაკითხ/გამოსაკითხ პირთან მიმართებაში ოთხი ჰიპოთეზის ალბათობისგან:
  1/ მოწმე არ ცდება და არ ტყუის;
  2/ მოწმე არ ტყუის, მაგრამ ცდება;
  3/ მოწმე არ ცდება. მაგრამ ტყუის;
  4/ მოწმე ტყუის და ცდება.

ლაპლასს ესმოდა, თუ რამდენად ძნელი იყო მოწმეთა ჩვენებების სიმართლის ან მცდარობის შეფასება თანმდევი ურიცხვი სიტუაციიდან გამომდინარე, მაგრამ თვლიდა, რომ სასამართლო, თავის მსჯელობებსა და დასკვნებში, ეყრდნობა არა მათემატიკურ ჭეშმარიტებას, არამედ მხოლოდ ალბათობას. ლაპლასის სქემა დღემდე არ არის ინტერესს მოკლებული, რამდენადაც მასში მოწმეთა ჩვენებების შეფასების მეცნიერული მეთოდიკის პირველი მცდელობაა წარმოდგენილი. სასამართლო ფსიქოლოგიის პრობლემების შესწავლა, დიდი ხნის მანძილზე, ამ მცდელობებზე წინ არ წასულა. თუმცა, XIX ს-ის მეორე ნახევარში, არამხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწრაფმა განვითარებამ, არამედ, წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში დანაშაულის ზრდამ ბიძგი მისცა სასამართლო-ფსიქოლოგიური კვლევების შემდგომ გაფართოებას. XIX ს-ის დასასრული და XX ს-ის დასაწყისი უკავშირდება ფსიქოლოგიის, ფსიქიატრიისა და რიგი იურიდიული დისციპლინების განვითარებას. ამ პერიოდში გაჩაღდა ბრძოლა სისხლის სამართლის ანთროპოლოგიურ და სოციოლოგიურ სკოლებს შორის. ანთროპოლოგიური სკოლის სულისჩამდგმელია ჩეზარე ლომბროზო, „თანშობილი დამნაშავის“ თეორიის შემქმნელი, რომელიც თვლიდა, რომ დამნაშავე, თავისი გენეტიკური/თანდაყოლილი თავისებურებებიდან გამომდინარე, არ შეიძლება გამოსწორდეს.

სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენლები იყენებდნენ უტოპიური სოციალიზმის იდეებს და დანაშაულებათა მიზეზების ახსნაში გადამწყვეტ მნიშვნელობას სოციალურ ფაქტორებს ანიჭებდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ სკოლის იდეები, ანთროპოლოგიურისგან განსხვავებით, იმ დროისთვის, პროგრესულ ელემენტებს შეიცავდა.

დანაშაულის გამოძიების ფსიქოლოგიის შესწავლაში სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდა ფსიქოლოგიური ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენება. ამ მეთოდის ერთ-ერთმა შემქმნელმა, ფრანგმა ფსიქოლოგმა ალფრედ ბინემ, პირველმა დაიწყო ბავშვთა ჩვენებებზე შთაგონების ზეგავლენის საკითხის ექსპერიმენტული კვლევა. 1900 წელს, მან გამოაქვეყნა წიგნი სათაურით - „შთაგონებადობა“, სადაც სპეციალური თავი მიუძღვნა ბავშვების მიერ მიცემულ ჩვენებებზე შთაგონების ზემოქმედების საკითხებს. ბინემ გააკეთა საინტერესო დასკვნები, რაც შემდეგში მდგომარეობს:

1. შეკითხვებზე გაცემული პასუხები ყოველთვის შეიცავს შეცდომებს;
2. სასამართლო სხდომათა პროტოკოლებში, მოწმეთა ჩვენებების სწორად

შეფასების მიზნით, საჭიროა დეტალურად ჩამოყალიბდეს შეკითხვებიც და პასუხებიც.

1902 წელს, მოწმეთა ჩვენებების სარწმუნოობის ანუ უტყუარობის ხარისხის განსაზღვრის მიზნით, ექსპერიმენტების ჩატარებას იწყებს გერმანელი ფსიქოლოგი ვ. შტერნი. საკუთარი კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით, ვ. შტერნი ასაბუთებდა, რომ მოწმეების ჩვენებები პრინციპულად მცდარი და დამახინჯებულია, რამდენადაც „დავიწყება არის წესი, მოგონება/გახსენება კი - განსაკუთრებულობა“. კვლევის შედეგები, შტერნმა, წარადგინა ბერლინის ფსიქოლოგიური საზოგადოების სხდომაზე, რის შემდეგაც ევროპაში მათდამი დიდი ინტერესი, განსაკუთრებით იურიდიულ წრეებში შეიმჩნეოდა. მოგვიანებით, ვ. შტერნმა შექმნა მეხსიერების პერსონალური კონცეფცია, რომლის თანახმადაც, ადამიანის მეხსიერება არ წარმოადგენს ობიექტური რეალობის ასახვას, არამედ გამოდის, როგორც მისი დამახინჯება პიროვნების ეგოისტური ინტერესებიდან, ინდივიდუალური განზრახვებიდან, სიამაყიდან, პატივმოყვარეობიდან და ა.შ. გამომდინარე. იურიდიული ფსიქოლოგია, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ტრადიციულად მჭიდროდ უკავშირდება კრიმინალისტიკას. კვლევები ამ სფეროში თავმოყრილია უნივერსიტეტებში, მაგრამ საერთო ხელმძღვანელობა ხორციელდება იუსტიციის ფედერალური სამინისტროს მიერ. იტალიაში სასამართლო ფსიქოლოგია ორიენტირებულია კლინიკურ მიმართულებაზე, ხოლო საფრანგეთში - სოციალურ-ფსიქოლოგიურსა და სოციოლოგიურზე. ბელგიასა და საფრანგეთში ფუნქციონირებს მოზარდობის დანაშაულების შემსწავლელი ცენტრები. იაპონიაში დანაშაულის/დამნაშავეობის კვლევა ძირითადად ფსიქიატრიის მონაცემთა საფუძველზე ხორციელდება.

დანაშაულებათა გამომწვევ სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების თანამედროვე კვლევებში გამოყოფილია სოციალური კონტროლის დეფექტები, სოციალური კავშირების დარღვევა, კრიმინალური ქცევის დასწავლის ხელშემწყობი პირობები, დეფექტები სოციალიზაციაში და ა.შ. დევიანტური ქცევის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად აღიარებულია სოციალურ-კონფორმული ქცევის მიზანმიმართული და სისტემატური სწავლების არარსებობა (კონტროლის თეორიის ჩარჩოებში ეს პრობლემა შეიმუშავეს ალბერტ რაისმა, აივენ ნაემ, მარტინ გოულდმა). ამ თეორიის წარმომადგენლები თვლიან, რომ ვულგარული აზროვნება და დაქვეითებული თვითშეფასებაც კი შეიძლება გადაიქცეს კრიმინოგენურ ფაქტორებად. სტიგმატიზაციის თეორიის წარმომადგენლები თვლიან, რომ პიროვნების დევიანტურობა ძლიერდება, თუკი ინდივიდისთვის გარეგნულად „მიკრული“ იარლიყი შეესატყვისება მის პიროვნულ თვითშეფასებას. მკვლევართა უმრავლესობა ერთხმად აღნიშნავს, რომ მითითებული თეორიები ფრაგმენტულია, მოკლებულია აუცილებელ სისტემატურობასა და ადამიანის ქცევის ანალიზისადმი კომპლექსურ მიდგომას.

თანამედროვე იურიდიული ფსიქოლოგიის განვითარებას ხელს უწყობს ფსიქოლოგიური ორიენტაციის კრიმოლოგიური კვლევები. მათ შორის აუცილებელია გამოვყოთ ისეთი ნაშრომები, როგორიცაა ვ. ფოქსის „შესავალი კრიმინოლოგიაში“, კ. უედის „დამნაშავეობა და კრიმინოლოგია თანამედროვე იაპონიაში“, ბ. ხოლისტის „კრიმინოლოგია. თანამედროვე პრობლემები“, გ. კაიზერის „კრიმინოლოგია. შესავალი საფუძვლებში“, გ.

შნაიდერის „კრიმინოლოგია“ და სხვა.

იურიდიული ფსიქოლოგიისა და კრიმინოლოგიის მოსაზღვრე კარდინალურ პრობლემას წარმოადგენს კრიმინალური წარმონაქმნების სოციალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური გაპირობებულობა. ეს პრობლემა წინა პლანზეა წამოწეული მსოფლიოს ბევრ წამყვან უნივერსიტეტში, როგორიცაა კემბრიჯის უნივერსიტეტთან არსებული კრიმინოლოგიის ინსტიტუტი და მონრეალის უნივერსიტეტის შედარებითი კრიმინოლოგიის პრობლემების კანადის საერთაშორისო ცენტრი. სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს პიროვნების სამართლებრივი სოციალიზაციისა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემები. საზოგადოების სოციალურ რეფორმაციასთან დაკავშირებით აღმოცენდება ახალი სოციო-ფსიქოტიპების ფორმირების, დემოკრატიული (სა)მართალცნობიერების მექანიზმების ჩამოყალიბების, აგრეთვე თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში კრიმინოგენური ფაქტორების შესწავლის/კვლევის მოთხოვნები.

<u>გამოყენებული ლიტერატურა</u>

1. ახალაშვილი ნ. იურიდიული ფსიქოლოგია. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009.
2. ახალაშვილი ნ. ფსიქოლოგიის ისტორიის საკითხები. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2019.
3. ახალაშვილი ნ. შესავალი იურიდიულ ფსიქოლოგიაში. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2020.
4. ახალაშვილი ნ. სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები (თეორია და პრაქტიკა). „ჩემი გამომცემლობა“, თბილისი, 2022.
5. ლომბროზო ჩ. დამნაშავე ქალები და მეძავები. თბილისი, 2014
6. ნადირაშვილი შ. განწყობის ანთროპული თეორია. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2014.
7. Argyle M. Psychology and Social Problems. Social Science Paperbacks. 1964
8. Myers D. G. Social Psychology. Hope College. 2002
9. Shaughnessy J.J., Zechmeister E. Research Methods in Psychology. Tenth Edition, 2015
10. The Handbook of Social Psychology. Second Edition. Vol. 2, 1968
11. Батлер – Боудон Т. 50 Великих Книг по Психологии. М., 2015
12. Васильев В. Юридическая психология. Питер, 2009
13. Петруня О. Юридическая психология. М., 2007
14. Пастушеня А. Криминальная психология. Минск, 2007

Legal psychology as an independent branch of psychological science

Nona Akhalashvili

Professor of Free Academy of Tbilisi, Doctor of Psychology, nakhalashvili@freeacademy.edu.ge

Abstract

The specificity of legal psychology lies in the fact that the center of gravity is shifted to the person as the subject of activity. Laws are created and enforced by specific people. That is, the life of society as a whole depends on their civic positions, values and experience. The professional competence of a lawyer is determined to a significant extent by his personal potential - a combination of psychological factors and individual characteristics that can be united under a common concept, which is called «psychological culture».

Legal psychology is an applied discipline that has a specific addressee; These are: law enforcement officers, psychologists, criminologists, as well as specialists whose professional activity is based on knowledge of legal psychology. Legal psychology, which arose at the end of the 19th century, has now turned into an independent field of psychology and an integral part of legal education.

Key words: legal psychology, law, norms of behavior, offender, criminal psychology, witness, victim, psychological experimental method, Z. Freud, Ch. Lombroso, psychological culture, Criminology.

განმავითარებელი სწავლების ინსტრუმენტი „მადონა“ - კომპლექსური დავალების ალტერნატივა

მადონა ნიკოლაიშვილი
თბილისის თავისუფალი აკადემის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი
სტატიაში განხილულია განვითარების სწავლების მრავალფუნქციური ინსტრუმენტი „მადონა“. ავტორი ეყრდნობა ლ.ვიგოდსკის კონსტრუქტივისტურ თეორიას, რომლის მიხედვითაც სწავლა წინ უნდა უსწრებდეს ბავშვის კოგნიტურ განვითარებას და გვთავაზობს უნივერსალურ ცხრილს. სტატიაში განხილულია ასევე საკლასო აქტივობების რამდენიმე მაგალითი განათლების განვითარების უნივერსალური ინსტრუმენტის „მადონას“ გამოყენებით. ავტორი მიიჩნევს, რომ ინსტრუმენტი უნივერსალურია, რადგან მისი წარმატებით გამოყენება შეუძლია როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს.

ინსტრუმენტი არის მრავალფუნქციური სქემა, რომელიც ძალიან მარტივი გამოსაყენებელია. მუშაობის დაწყებისას მოსწავლე იყენებს ინსტრუმენტს, როგორც ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი პროცედურების თანმიმდევრულად გაწერილ გეგმას. ის მუშაობს შემოთავაზებულ დავალებაზე და პარალელურად ავსებს თითოეულ სვეტს. სამუშაოს ბოლოს ცხრილი უკვე წარმოადგენს მოსწავლის რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე.

ინსტრუმენტი ავითარებს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს და ღირებულებებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო მიზნების შესაბამისად, როგორიცაა: პრობლემის გადაჭრის უნარები, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, კომუნიკაციის უნარი. ინსტრუმენტის ერთ-ერთი უპირატესობაა ასევე მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშეწყობა.

საკვანძო სიტყვები: განმავითარებელი სწავლება, კონსტრუქტივიზმი, ინსტრუმენტი «მადონა», გამჭოლი უნარები, მეტაკოგნიცია.

განათლება ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული დარგია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის, რადგან ქვეყნის წინსვლა წარმოუდგენელია განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე ახალი თაობის გარეშე. სწორედ ასეთი თაობის აღზრდას ისახავს მიზნად ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი უმთავრესი დოკუმენტი - ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ, კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას.

კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ლ.ვიგოდსკი მიიჩნევს, რომ სწავლა წინ უნდა უძღოდეს ბავშვის კოგნიტურ განვითარებას.იმ პრინციპებიდან, რომლებსაც ეფუძნება ვიგოტსკის თეორია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია. მაშასადამე, სწავლება არის განვითარების წყარო. რა არის საჭირო იმისათვის, რომ სწავლება იყოს განმავითარებელი? იმისათვის, რომ ბავშვი კოგნიტურად განვითარდეს, აუცილებელია მან ისწავლოს. ისმის კითხვა: რა უნდა ისწავლოს, ვისგან უნდა ისწავლოს და სხვ. პირველ კითხვაზე პასუხი გაცემულია „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დოკუმენტში, რომელიც შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც სახელმწიფოს დაკვეთა - უნდა ვასწავლოთ ყველაფერი, რაც აუცილებელია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო

ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. რაც შეეხება მეორე კითხვას, ბავშვმა შეიძლება ისწავლოს მასწავლებლისგან, თანატოლისგან, მასზე უფროსი ადამიანისგან და ა.შ.

განმავითარებელი სწავლების კონცეფცია ეფუძნება მოსწავლის უახლოესი განვითარების ზონას. „უახლოესი განვითარების ზონა“ კონსტრუქტივიზმის თეორიის ცენტრალური ცნებაა. ეს არის სხვაობა ბავშვის განვითარების ამჟამინდელ დონესა და პოტენციურ დონეს შორის. განვითარების ამჟამინდელი დონე ბავშვის შესაძლებლობების მაქსიმუმია, ანუ იმ დავალებების სირთულის ზედა ზღვარია, რომელთა გადაჭრა ბავშვს შეუძლია სხვისი დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად, ხოლო განვითარების პოტენციურ დონეში იგულისხმება იმ დავალებების სირთულის ზედა ზღვარი, რომელთა გადაჭრა ბავშვს შეუძლია სხვისი, უფრო კომპეტენტური თანატოლის, ან მასწავლებლის დახმარებით. ძირითადად, განვითარების უახლოეს ზონაში იმიმდინარეს სწავლება ბავშვის განვითარების წყარო, ხოლო ისეთი დავალებები, რომელთა შესრულება ბავშვს დამოუკიდებლად შეუძლია, ნაკლებად უწყობს ხელს მის განვითარებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე მასწავლებელი არაერთი გამოწვევის წინაშე დგას: სწორად უნდა განსაზღვროს ბავშვის განვითარების უახლოესი ზონა და შეურჩიოს ამ ზონის შესაფერისი დავალებები, გაითვალისწინოს, რომ დავალება უნდა იყოს მოსწავლისთვის შინაარსობრივად საინტერესო და მოტივაციის აღმძვრელი, სრულად აკმაყოფილებდეს საგნობრივ სტანდარტს, კავშირში იყოს ბავშვის ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, ამავე დროს, ზედმიწევნით კარგად უნდა ფლობდეს სკაფოლდინგის ხელოვნებას, რათა საჭირო დროს და საჭირო დოზით მიაწოდოს დახმარება მოსწავლეს, დააკვირდეს მოსწავლის მიერ დავალების შესრულების პროცესს, შეაფასოს განმავითარებელი უკუკავშირით, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დიფერენცირებული სწავლების მიდგომები, რემედიაცია და ა.შ. ამ რთულ და მნიშვნელოვან საქმეში მასწავლებლის შემწედ შეიძლება მოგვევლინოს განმავითარებელი სწავლების ინსტრუმენტი „მადონა“, რომელიც წარმოადგენს ექვსსტრიქონიან ცხრილს. იგი ისეა შედგენილი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ესგ-ით განსაზღვრული ხუთივე საგანმანათლებლო პრინციპის განხორციელება. კერძოდ, მოსწავლე სრულად არიდ ჩართული შემოქმედებით პროცესში, ანუ გააქტიურებულია მისი შინაგანი ძალები (I პრინციპი); მუშაობისას საჭირო ხდება გონებაში უკვე არსებული ცოდნის მარაგიდან წინარე ცოდნის გააქტიურება (II პრინციპი); მოიცავს სამივე კატეგორიის ცოდნას (IV პრინციპი) და ა.შ.

მ	**მაკროცნება და მასთან დაკავშირებული მთავარი მონაცემები:** მაკრო - რთული სიტყვების პირველი შემადგენელი ნაწილია და ნიშნავს დიდს, მსხვილს, ხოლო ცნებები ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განიმარტება, როგორც საგნის სისტემური და გააზრებული ცოდნის საფუძველი. ამ გრაფაში ჩაიწერება არსებითი მონაცემები დავალების პირობიდან

ა	**ასოციაცია** - (ლათ.) დაკავშირებას, შეერთებას ნიშნავს. ფსიქოლოგიაში ეს არის ისეთი კავშირი წარმოდგენათა შორის, როდესაც ერთი წარმოდგენა იწვევს მეორეს მსგავსების, კონტრასტის ან მეზობლობის მიხედვით. მაგ. ჩვენს შემთხვევაში ეს იქნება მოსწავლის გონებაში უკვე არსებული ცოდნის მარაგიდან ახალ დავალებასთან დაკავშირებული წინარე ცოდნის გააქტიურება.
დ	**დინამიკა** - (ბერძ.) ერთ-ერთი განმარტებით რაიმე მოვლენის ცვალებადობის, განვითარების მიმდინარეობას ნიშნავს. განსახილველ ინსტრუმენტთან მიმართებით ეს იქნება მოსწავლის შესასრულებელი პროცედურების თანმიმდევრობის გააზრება და არგუმენტირება.
ო	**ოპერირება** - (ლათ.) ნებისმიერი სამუშაო, ფიზიკური, გონებრივი. ამ შემთხვევაში იგულისხმება წინა გრაფაში ჩამოთვლილი თითოეული პროცედურის, მოქმედების სწორი შესრულება.
ნ	**ნოვაცია** (ლათ.novatio-განახლება) მოსწავლე აღნიშნავს, რა იყო მისთვის სიახლე, „აღმოაჩინა“ მან ამ დავალების შესრულებისას.
ა	**აუდიტორია** (ლათ. auditorium) -ტერმინის ერთ-ერთი მნიშვნელობაა მოხსენების, ლექციის და სხვ. მსმენელთა ერთობლიობა. განსახილველ ინსტრუმენტში ეს გრაფა გულისხმობს ნამუშევრის წარდგენას კლასის წინაშე, დასმულ შეკითხვებზე მის პასუხებს, მოსწავლის ემოციებს აუდიტორიასთან ურთიერთობის დროს, ზოგადად მოსწავლის რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე. ამასთან, მოსწავლე თვითონ წყვეტს, რა ფორმით წარადგენს თავის ნაშრომს აუდიტორიის წინაშე.

თავისი არსით „მადონა“ უნივერსალური ინსტრუმენტია, რადგან მისი გამოყენება წარმატებით შეუძლია მოსწავლესაც და მასწავლებელსაც, ამასთან, მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს დავალებაზე მუშაობის პროცესშიც და ნაშრომის წარდგენის დროსაც, ხოლო მასწავლებელს- დავალების მიცემისა და ნაშრომის შეფასების დროს.

განვიხილოთ დავალების რამდენიმე ნიმუში ინსტრუმენტ „მადონას“ გამოყენებით.

ნახ.1

დაეხმარეთ ფიფქიას!

(მაკროცნება: გეომეტრიული გარდაქმნები (სიმეტრია) – VI კლ.

მათემატიკის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით მისაღწევი შედეგი: მოსწავლემ უნდა შეძლოს გეომეტრიული გარდაქმნების დემონსტრირება.

დავალების პირობა: ერთხელ ფიფქია მეზობელი სამეფოს პრინცმა მეჯლისზე მიიპატიჟა. ფიფქიამ გადაწყვიტა, წვეულებაზე ახალი კაბით წასულიყო და სამეფოს საუკეთესო მკერავთან მივიდა, მაგრამ სამწუხაროდ, მკერავი შეუძლოდ გამხდარიყო. ფიფქია იძულებული გახდა, კაბა შეგირდისთვის შეეკვეთა. შეგირდმა ძალიან მოინდომა, რომ კაბა ლამაზი გამოსულიყო, გააფორმა საყელოთი, მანჟეტებით, ჯიბეებით, ღილებით, რელიეფური ხაზებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, კაბა მაინც არ გამოვიდა ლამაზი. ფიფქია ძალიან დადარდიანდა, აღარ იცოდა, რა მოეხერხებინა კაბისთვის.

დააკვირდი ნახატს (ნახ.1).

- შენი აზრით, რა ხარვეზები აქვს კაბას?
- ურჩიე ფიფქიას, როგორ გამოასწოროს ეს ხარვეზები;
- შენი აზრით, როგორ შეცვლის კაბას ხარვეზების გამოსწორების შენეული ვარიანტი?
- წარუდგინე კლასს კაბის მოდელი.

მოსწავლის ნამუშევარს, სავარაუდოდ, ექნება შემდეგი სახე:

მ	გეომეტრიული გარდაქმნები (სიმეტრია) და მასთან დაკავშირებული არსებითი მონაცემები, მაგ. მხატვრული დეტალები, როგორიცაა საყელო, ჯიბე, მანჟეტები, გულისპირზე რელიეფური ხაზები კაბის მარჯვენა და მარცხენა მხარეზე არ არის სიმეტრიულად განლაგებული.
ა	სიმეტრიულობის პირობა; არაა აუცილებელი, წინარე ცოდნა უკავშირდებოდეს მხოლოდ მათემატიკას. სრულიად შესაძლებელია, მოსწავლემ გაიხსენოს, როგორ შეუკერა თოჯინას კაბა ხელოვნების გაკვეთილზე, როგორ მოკეცა ქსოვილი ორად გამოჭრამდე, რომ გადაკეცვის ხაზის მიმართ ორივე მხარე ერთნაირი გამოსულიყო. ან სულაც საახალწლოდ ფიფქები გამოჭრა მოკეცილი ქაღალდისგან.

დ	1.საყელო ერთ მხარეს ვიწრო და მომრგვალებულია, მეორე მხარეს კი განიერი და კუთხოვანი. რადგან ვიწრო, მომრგვალებულ ნაწილს ვერ გავადიდებთ, საჭიროა განიერი ნაწილის დავიწროება და მომრგვალება. 2. გულისპირზე რელიეფური ხაზების სხვადასხვა რაოდენობაა. რადგან ახალი გვირისტის გაკეთება უფრო იოლია, ვიდრე გაკეთებულის მოშლა, მარცხენა მხარეს უნდა დაემატოს მესამე რელიეფური გვირისტი. 3. წელიდან გამომავალი მარცხენა რელიეფური ხაზი უნდა დაგრძელდეს და გაუთანაბრდეს მარჯვენას. 4.ჯიბეები განლაგებულია სხვადასხვა სიმაღლეზე. საჭიროა მარჯვენა ჯიბის აწევა ზემოთ იმავე სიმაღლეზე, რადგან წელის ხაზთან ძალიან ახლოსაა და გულისჯიბედ არ აღიქმება. 5. მანჟეტებს განსხვავებული ფორმა და ზომები აქვთ.რადგან არცერთის გადაკეთება არაა შესაძლებელი ისე, რომ მეორის იდენტური მივიღოთ, საჭიროა ორივეს მოხსნა და ერთმანეთზე დადებით იდენტური წყვილის გამოჭრა.
ო	მოსწავლე პირველ რიგში ავლებს სიმეტრიის ღერძს, შემდეგ მოცემული ფიგურის სიმეტრიული ფიგურის აგების წესის მიხედვით ასწორებს ყველა ხარვეზს იმავე ნახაზზე და ამზადებს კაბის მოდელს კლასის წინაშე წარსადგენად.
ნ	მოსწავლისთვის სიახლე იყო ის, რომ მან თვალნათლივ დაინახა, რამდენად სასარგებლოა და გამოსადეგი გეომეტრიული გარდაქმნების, კერძოდ სიმეტრიის ცოდნა კონკრეტული ყოფითი პრობლემის გადასაჭრელად.
ა	მოსწავლე აღწერს მისი ნამუშევრის წარდგენის პროცესს, რა შეკითხვები დაუსვეს მასწავლებელმა და თანაკლასელებმა, როგორ გაართვა თავი ამ შეკითხვებს, რითაა კმაყოფილი, რა გაუჭირდა, რას შეცვლიდა, ხელახლა რომ ჰქონოდა შესასრულებელი ასეთი დავალება და ა.შ.

II დავალება (I კლ.) თემა: თავაზიანი მეტყველება; მეტყველების ეტიკეტური ფორმები ქართულის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით მისაღწევი შედეგი: მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა; წაკითხული ტექსტის სახელდახელო ინსცენირება, ნაცნობი თემატიკის მარტივ ტექსტში ნაკლული ინფორმაციის შევსება; მარტივი სახის მცირე ზომის პრაგმატული ტექსტების შედგენა მოდელის, მინიშნებების/საყრდენების გამოყენებით. დავალების პირობა: გამოტოვებულ ადგილებში ჩასვით შემდეგი სიტყვები (შესაძლებელია გამეორებაც): 1.ინებეთ 2.თუ შეიძლება 3.გმადლობთ 4.უკაცრავად 5. გნებავთ. ტექსტის შევსების შემდეგ წყვილებში გაითამაშეთ გამყიდველისა და მყიდველის როლები: მაღაზიაში

- _____ , რა ღირს ეს სათამაშო?
- 14 ლარი, _____ გაჩვენოთ?
- _____ მაჩვენეთ.
- აი, _____
- მე ვყიდულობ ამ სათამაშოს, აიღეთ თანხა
- _____ხურდა.
- _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

ქვემოთ მოცემულია მოსწავლის ნამუშევარი:

მ	ზეპირმეტყველება, კითხვა, წერა - ნაკლული ტექსტის შევსება და როლური თამაში სხვადასხვა სამეტყველო როლის შეთავაზებით; (დაწყებით კლასებში დასაშვებია ეს გრაფა მასწავლებლის მიერ იყოს შევსებული)
ა	უფრო ხშირად რომელ სიტყვებს ვიყენებთ რაიმე ნივთის ყიდვის დროს?
დ	მოცემულ სიტყვებს უნდა მოვუძებნო შესაბამისი ადგილი
ო	1.უკაცრავად, 2.გნებავთ? 3. თუ შეიძლება, 4.ინებეთ; 5. ინებეთ; 6.გმადლობთ.
ნ	გამყიდველისა და მყიდველის როლების თამაში ძალიან სასიამოვნოა.
ა	ბავშვებს მოეწონათ ჩემი გათამაშებული როლი, დამისვეს შეკითხვა, როცა ნამდვილ მაღაზიაში შევდივარ, მაშინაც ვიყენებ ამ სიტყვებს? გამიჭირდა პასუხის გაცემა.

III დავალება (VIკლასი) თემატური ბლოკი - რიცხვები და მოქმედებები

შედეგის მიღწევის ინდიკატორები: წილადების ამოცნობა და წარმოდგენა სხვადასხვა ვიზუალური მოდელების, სიმბოლოების გამოყენებით; რეალური სიტუაციის მოდელირება რიცხვითი გამოსახულების მეშვეობით, რომელიც ოთხივე მოქმედებასთან არის დაკავშირებული (მათ შორის ხარისხი) და პრობლემის გადაჭრა; წილადებზე შეკრება/ გამოკლების, გამრავლების და გაყოფის მოქმედებების დემონსტრირება და მოქმედებათა შედეგის ინტერპრეტაცია მოდელის გამოყენებით; მათემატიკური მეთოდების ანდა თვალსაჩინო მოდელების საშუალებით ზუსტი ან მიახლოებითი გამოთვლების შესრულება და შედეგის შეფასება; რეალური სიტუაციის მოდელირება არაუარყოფითი რიცხვითი გამოსახულების მეშვეობით და პრობლემის გადაჭრა.

ამოცანის პირობა: ნიკას ხელფასი 480 ლარია. ხელფასის -ით იგი კომუნალურ გადასახადებს იხდის, -ს ხარჯავს საკვების შეძენაზე, ხოლო -ს ინახავს გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის. გამოთვალეთ, ხელფასის რა ნაწილი იქნება დარჩენილი თანხა, გაითვალისწინეთ, რომ გარდა ამისა, მას ყოველდღიურად სჭირდება 3 ლარი მგზავრობისა და ლანჩისთვის და განსაზღვრეთ, ეყოფა თუ არა ხელფასიდან დარჩენილი თანხა ყოველდღიური ხარჯებისთვის?

მ	წილადი, როგორც რიცხვის ნაწილი. მთავარი მონაცემები: სულ - 480 ლ; კომუნალურ გადასახადებში - ; საკვებში - ; გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის - ; ყოველდღიურად - 3 ლ.
ა	ამოხსნისთვის დამჭირდება რიცხვის ნაწილის პოვნის წესი, წილადებზე მოქმედებების შესრულება, ერთი რიცხვი მეორე რიცხვის რა ნაწილია.
დ	1. უნდა გავიგოთ 480-ის ; ; ნაწილები; 2. ხელფასს გამოვაკლოთ მიღებული თანხების ჯამი, რათა გავიგოთ დარჩენილი თანხა; 3. გავიგოთ, მიღებული რიცხვი 480-ის რა ნაწილია, რათა პასუხი გავცეთ ამოცანის პირველ კითხვას; 4. იმისათვის, რომ გავიგოთ, ეყოფა თუ არა დარჩენილი თანხა ყოველდღიური ხარჯებისთვის, მიღებული რიცხვი გავყოთ 3-ზე.

ო	1. 480-ის = 480 * = 96; 480-ის = 480 * = 180; 480-ის = 480 * = 120; 2. 96 + 180 + 120 = 396; 480 - 396 = 84; 3. = 4. 84 : 3 = 28 პასუხი: არ ეყოფა, რადგან თვეში საშუალოდ 30 დღეა.
ნ	აღმოვაჩინე, რომ დარჩენილი თანხა ნიკას თებერვლის თვეში ეყოფა (თუ წელი არაა ნაკიანი) ჩემთვის სიახლე იყო, ის, რომ დარჩენილი თანხის გამოსათვლელად არ იყო საჭირო ხელფასის , და ნაწილების ცალ-ცალკე გამოთვლა, შეიძლებოდა დარჩენილი თანხის გამოთვლა შემდეგნაირად: 480 – 480 * (+ +) = 480 - 480 * = 480 – 396 = 84
ა	ნამუშევრის წარდგენის დროს ვიყავი თავდაჯერებული, ვცდილობდი, სამუშაოს შესრულების თითოეული ეტაპი სრულად აღმეწერა. ერთ-ერთმა თანაკლასელმა დამისვა შეკითხვა: ამოხსნისთვის აუცილებელი იყო ხელფასის , და ნაწილების ცალ-ცალკე გამოთვლა? მე ვუპასუხე, რომ სხვანაირად დარჩენილ თანხას ვერ გამოვთვლიდი, თუმცა მან თავისი ნამუშევრის წარდგენისას დაასაბუთა, რომ ეს არ იყო აუცილებელი, რაც ასახული მაქვს ნოვაციის გრაფაში.

IV დავალება (X კლ.) თემატური ბლოკი - კანონზომიერებები - ფუნქცია

საეჭვო კარდიოგრამა

აკიმის ბაბუა პიპინია გულს უჩივის. აკიმი, მართალია, ცელქი და მოუსვენარია, მაგრამ ბაბუა პიპინია ძალიან უყვარს. მან ყური მოჰკრა მშობლების საუბარს, რომ მისი ბაბუა გულს უჩივის, და ძალიან შეწუხდა. მას უნდა, ბაბუა ანუგეშოს. სადღაც წაიკითხა, რომ გულის პრობლემების დროს პაციენტს კარდიოგრამას უღებენ.(კარდიოგრამა წარმოადგენს წირს, რომელიც აღწერს გულის მუშაობის დროზე დამოკიდებულებას.)

ბაბუასაც გადაუღეს კარდიოგრამა, ექიმმა დახედა თუ არა, უთხრა, რომ ყველა პარამეტრი წესრიგშია, ექსტრემუმის წერტილების განლაგება, ასევე პერიოდულობა, ფრაგმენტების განმეორებადობის სიზუსტე იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ბაბუას ჯანმრთელი გული აქვს და საგანგაშო არაფერია.

თუმცა ბაბუა მაინც ეჭვობს, რომ გულის მდგომარეობა ცუდი აქვს. აკიმმა დიდხანს ატრიალა ხელში ფურცელი, რომელზეც დაკლაკნილი წირი იყო გამოსახული, მაგრამ ვერაფრით მიხვდა, როგორ გამოიტანა ექიმმა დამამშვიდებელი დასკვნა ამ ხაზების მიხედვით, თუმცა გაახსენდა, რომ ამ ტერმინებს მისი უფროსკლასელი მეგობარი ახსენებდა თავის თანატოლებთან საუბრისას.

წარმოიდგინე, რომ შენ ხარ აკიმის უფროსკლასელი მეგობარი და მან კარდიოგრამით ხელში შენ მოგმართა დახმარებისთვის. გაიხსენე ფუნქციების თვისებები და გაამყარე

მათემატიკური არგუმენტებით ექიმის დასკვნა.

მ	ამ გრაფაში მოსწავლე ამოცანის პირობიდან არსებით ინფორმაციას - ექიმის დასკვნას დააკავშირებს მათემატიკურ ერთეულებთან, აცნობიერებს, რომ მოცემული კარდიოგრამა წარმოადგენს პერიოდული ფუნქციის გრაფიკს. (შედეგის მიღწევის ინდიკატორი: რეალურ ცხოვრებასთან, მათემატიკის ან საბუნებისმეტყველო საგნებთან დაკავშირებული ამოცანების შესწავლისას მოსწავლე შეძლებს სხვადასხვა ფორმით წარმოდგენილი ინფორმაციის წაკითხვას).
ა	ამ გრაფაში მოსწავლე გაიხსენებს ფუნქციის თვისებებს, ასევე გეომეტიულ გარდაქმნებს, კერძოდ, პარალელურ გადატანას (შედეგის მიღწევის ინდიკატორები: რეალურ ცხოვრებასთან, მათემატიკის ან საბუნებისმეტყველო საგნებთან დაკავშირებული ამოცანების შესწავლისას მოსწავლე შეძლებს მათემატიკური ცნებების/ობიექტების, ტერმინებისა და აღნიშვნების ცოდნის გამოვლენასა და გამოყენებას; მათემატიკური ცნების, პროცედურებისა და მასთან დაკავშირებულ უნარჩვევათა ფლობასა და გამოყენებას, გეომეტრიული გარდაქმნების საშუალებით რეალური სიტუაციების ანალიზს).
დ	ამ გრაფაში მოსწავლე დაგეგმავს სამუშაოების თანმიმდევრობას: კერძოდ, 1. იმისათვის, რომ გაიშიფროს ექიმის დასკვნა, საჭიროა წირის განთავსება საკოორდინატო სიბრტყეზე, ექსტრემუმის წერტილების კოორდინატებისა და პერიოდის პოვნა; 2. განმეორებადი ფრაგმენტის პოვნა და შემოწმება, არის თუ არა პარალელური გადატანა. 3. მასწავლებლის მიერ მითითებული ვებგვერდიდან ავადმყოფი ადამიანის კარდიოგრამის მოძიება და გამოკვლეული ფუნქციის მახასიათებლების შედარება ავადმყოფი ადამიანის კარდიოგრამის ანალოგიურ მახასიათებლებთან. 4. მიღებული შედეგების მიხედვით დასკვნის გამყარება. (შედეგის მიღწევის ინდიკატორები: მათემატიკური და რეალური პრობლემების გადაჭრისას მოსწავლემ უნდა შეძლოს პრობლემის გამოკვეთა, პრობლემის დაყოფა შედარებით მარტივ ამოცანებად, ნაწილებსა და პრობლემას შორის კავშირის დამყარება, საჭირო ინფორმაციის ამოცნობა ან მოძიება, პრობლემის შესაბამისი მათემატიკური მოდელის შექმნა, ალგორითმის შემუშავება; პრობლემის მათემატიკური გადაწყვეტა და მიღებული შედეგების შემოწმება პრობლემის კონტექსტში).

ო	ამ გრაფაში მოსწავლე თანმიმდევრულად შეასრულებს წინა გრაფაში დაგეგმილ სამუშაოებს: წირს განათავსებს საკოორდინატო სიბრტყეზე, იპოვის ექსტემუმის წერტილების კოორდინატებს და გამოთვლის ფუნქციის პერიოდს. გამოყოფს გრაფიკზე განმეორებად ფრაგმენტებს-უბნებს და კოორდინატების საშუალებით შეამოწმებს, რომ გრაფიკზე ასახულია გეომეტრიული გარდაქმა - პარალელური გადატანა. შეამოწმებს ყველა ფრაგმენტს იმის დასამტკიცებლად, რომ გრაფიკის ყველა უბანზე პერიოდი უცვლელია. მასწავლებლის მიერ მითითებული ვებგვერდიდან მოიძიებს ავადმყოფი ადამიანის კარდიოგრამას და ადარებს გამოკვლეული ფუნქციის მახასიათებლებს ავადმყოფი ადამიანის კარდიოგრამის ანალოგიურ მახასიათებლებთან. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გაამყარებს ექიმის დასკვნას. (შედეგის მიღწევის ინდიკატორები: მათემატიკური ცნებების გააზრება, ცნებებს შორის ლოგიკურ მიმართებათა გარკვევა; რეალურ ცხოვრებასთან, მათემატიკის ან საბუნებისმეტყველო საგნებთან დაკავშირებული ამოცანების შესწავლისას აბსტრაქტული ანდა რაოდენობრივი მსჯელობა; ჰიპოთეზების ჩამოყალიბება, მათი დადასტურება ან დასაბუთებული უარყოფა).
ნ	მოსწავლისთვის სავარაუდოდ, სიახლე იქნება იმის აღმოჩენა, რომ იმისათვის, რომ დაიცვან ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ექიმებისთვისაც აუცილებელი ყოფილა მათემატიკის ცოდნა.
ა	მოსწავლე წარადგენს კვლევის შედეგებს კლასის წინაშე მისთვის სასურველი ფორმით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოდგენილი ინსტრუმენტი შექმნილია როგორც მოსწავლის, ასევე მასწავლებლის დასახმარებლად. მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურება მისი უნივერსალურობა. მისი გამოყენება შეუძლია ნებისმიერი საგნის მასწავლებელს. ინსტრუმენტი მოქნილია და იძლევა სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულებისას გამოყენების შესაძლებლობას.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ინსტრუმენტი მოსწავლეს უვითარებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მიზნების შესაბამის გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს: პრობლემების გადაჭრის უნარს, რადგან დავალებების შესრულებისას მას სჭირდება პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, მათგან ყველაზე ეფექტურის შერჩევა, კრიტიკულ აზროვნებას, რადგან მოითხოვს არგუმენტირებულად მსჯელობას, ანუ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთებას შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოშველიებით; შემოქმედებით აზროვნებას, რადგან უბიძგებს მას გამოწვევების მიღებისა და სასკოლო საქმიანობაში გაბედული ნაბიჯების გადადგმისაკენ; კომუნიკაციას, რადგან მოსწავლეს უწევს განცდილის, ნააზრევის მიტანა მსმენელამდე/მკითხველამდე, მათზე შთაბეჭდილების მოხდენა. ინსტრუმენტის ერთ-ერთი ღირსებაა აგრეთვე მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშეწყობა, რადგან იგი მოიცავს ამ უნარების განვითარებისთვის აუცილებელ ყველა აქტივობას. ეს აქტივობებია: სტრატეგიების მოდელირება, წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა და შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა. ინსტრუმენტის თითოეული გრაფა ეხმარება მოსწავლეს იმის

გააზრებაში, როგორ შეასრულოს ეს აქტივობა. თავისი არსით, ესაა სტრატეგიების მოდელირება; ინსტრუმენტი ავალდებულებს მოსწავლეს, განსაზღვროს ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებს, დეტალურად აღწეროს დავალების შესრულების ეტაპები, აგრეთვე იფიქროს იმაზე, როგორ წარადგინოს თავისი ნამუშევარი, რა კითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა, დაასაბუთოს შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა. ხოლო შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზის ეტაპზე მოსწავლე გაიხსენებს და აღწერს განვლილ გზას, აცნობიერებს, რამდენად ხარისხიანად შეასრულა დავალება, რა ხერხები გამოიყენა მუშაობისას, რა გაუჭირდა/გაუადვილდა, რას გააუმჯობესებდა სამომავლოდ. მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „მადონა“ არის განმავითარებელი სწავლების ინოვაციური ინსტრუმენტი, რომლის გამოყენება საშუალებას აძლევს მასწავლებელს ყოველი კონკრეტული თემის შესწავლის დროს შეარჩიოს სწავლების ადეკვატური სტრატეგიები, რომლებიც მრავალფეროვანს, საინტერესოს და შედეგიანს გახდის სასწავლო პროცესს, შეამცირებს დისციპლინურ პრობლემებს, რადგან ასეთი ტიპის გაკვეთილებზე იზრდება მოსწავლეთა აქტიურობა, ინიციატივა, ქმედითობა და სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხი; დანერგოს ყოველდღიურ პრაქტიკაში პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება; პედაგოგიური პროცესი წარმართოს ისეთი პრობლემური სიტუაციებით, რაც მოსწავლისათვის მზამზარეული ცოდნის გადაცემას კი არ გულისხმობს, არამედ აიძულებს მას გადაჭრას მასწავლებლის მიერ ხელოვნურად პროვოცირებული (ან სასწავლო მასალაში მოცემული) პრობლემები. გარდა ამისა, ინსტრუმენტის მულტიფუნქციურობის გათვალისწინებით გამოიყენოს იგი, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი თითოეული მოსწავლისა და მთელი კლასის მიღწევების შეფასებისთვის დროისა და ენერგიის ზედმეტი დანახარჯის გარეშე. მოსწავლისთვის იგი წარმოადგენს დავალების შესასრულებლად აუცილებელი ნაბიჯების თანმიმდევრობას და გეზს აძლევს, ასტიმულირებს აზროვნებას. შესრულებულ მოქმედებათა ვერბალიზაცია ხელს უწყობს მსჯელობის უნარის განვითარებას. მოსწავლეს უწევს აქტივობის/პროცედურების დაგეგმვა - მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის, შესაბამისად, უვითარდება არაერთი მნიშვნელოვანი გამჭოლი უნარი.

ბიბლიოგრაფია

I. ეროვნული სასწავლო გეგმა;

II. ირ.იმედაძე, ფსიქოლოგიის საფუძვლები,-თბ. 2007 წ.;

III. განვითარებისა და სწავლების თეორიები, - თბ. 2008წ.;

IV. პროფესიული უნარები, თბ. 2008;

V. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=5;

VI. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=14;
VII. http://mastsavlebeli.ge/?p=23178;
VIII. https://elibrary.sou.edu.ge/ge/books/pedagogikur-terminta-ganmartebiti-leqsikoni/796.

Developmental teaching tool "Madonna" - an alternative to complex tas

Madona Nikolaishvili
Associate Professor of Free Academy of Tbilisi

Abstract
The article discusses the multifunctional tool of developmental teaching „Madona". The author relies on L. Vygodsky's constructivist theory, according to which learning should precede the child's cognitive development, and offers a universal table, as well as several examples of classroom activities are discussed using the universal tool of educational development, "Madona". the author considers that the tool is universal, because it can be used successfully by the student and the teacher,

The instrument is a multifunctional chart that is very easy to use. When starting work, the student uses the tool as a plan to complete tasks. It works on the task offered and simultaneously fills in each column. At the end of the work, the table already represents the student's reflections on the work done.

The tool develops critical thinking skills and values in accordance with the educational goals provided by the national curriculum: problem-solving skills, critical thinking, creative thinking, communication skills. One of the advantages of the instrument is also the promotion of the development of metacognitive skills.

keywords: developing teaching, constructivism, instrument «madona», transparent skills, metacognition

კლიმატის ცვლილება და განათლება

მაია ბლიაძე[1] შორენა ტყემალაძე[2]

[1]გეოგრაფიის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ/კონსულტანტი. maiabliadze13@gmail.com bliadze.maia@eu.edu.ge
[2]განათლების აკადემიური დოქტორი, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი shtkemaladze007@gmail.com

აბსტარქტი
მთელ მსოფლიოში, განათლება მდგრადი განვითარებისათვის კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების ქვაკუთხედს წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე, რომ ყველა ჩვენგანს საკუთარი წვლილი შეუძლია შეიტანოს გლობალური გამოწვევების მოგვარებაში, განათლება მდგრადი განვითარებისათვის ხელს უწყობს იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამყარებას, რომლებიც გვჭირდება ჯანმრთელი, სამართლიანი, ეკოლოგიურად მდგრადი საზოგადოების შენებისათვის. განათლება გასაღებია კლიმატის ცვლილების და მის მიერ გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად და გადამწყვეტ როლს ასრულებს კლიმატის ცვლილების შერბილების მისაღწევად.
განათლება კლიმატის ცვლილების ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტია საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად. კლიმატის განათლების მეინსტრიმინგი ცვლის აზროვნებას და ქცევას კლიმატის ცვლილების შესახებ - არა მხოლოდ მოსწავლე/ სტუდენტებში, არამედ მათ მშობლებში, თემებსა და მთავრობებში. იგი ასევე ხელს უწყობს მოამზადოს საზოგადოება, რათა იგი ადაპტირებული, მდგრადი და მზადყოფნაში იყოს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკებისა და სტრესების მიმართ.

საკვანძო სიტყვები: კლიმატის ცვლილება, განათლება მდგრადი განვითარებისთავის, გლობალური პრობლემა.

კლიმატის ცვლილება ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა, რომლის წინაშეც მთელი კაცობრიობა დგას. მისი გავლენა უკვე იგრძნობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, როგორც ეკოსისტემაზე, ისე, ადამიანებზე.
კლიმატის ცვლილება უდიდეს საფრთხეს უქმნის კაცობრიობას. კვლევებმა და საზოგადოებათა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ კლიმატის ცვლილება ზეგავლენას ახდენს ადამიანების საცხოვრებელ ადგილებზე, საკვებზე, ინფრასტრუქტურის შენარჩუნებასა და მათ ჯანმრთელობაზე.
კლიმატის ცვლილება ბევრ გლობალურ საკითხს უკავშირდება. მაგალითად, ეს პროცესი მჭიდრო კავშირშია უთანასწორობასა და ეთიკის საკითხებთან, რადგან განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ყველაზე ნაკლებ პასუხისმგებელი არიან კლიმატის ცვლილებაზე, ყველაზე მწვავედ დგანან მის ზეგავლენის რისკის წინაშე. კლიმატის ცვლილება გენდერულ თანასწორობასაც უკავშირდება, ვინაიდან, ბევრ ქვეყანაში, ქალები და გოგონები უფრო

მეტად დაუცველი არიან მისი ზეგავლენის წინაშე, ვიდრე მამაკაცები. ამავე დროს, ისინი უფრო აქტიურობენ და ცდილობენ ეფექტური ზომები მიიღონ კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის შესაჩერებლად.

ცხადია, რომ კლიმატის ცვლილება, მდგრადი განვითარების გზაზე, კომპლექსურ გამოწვევას წარმოადგენს, რომელიც მთელს მსოფლიოს პრობლემის წინაშე აყენებს, მაგრამ, ამავე დროს, აერთიანებს კიდეც მას ამ პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიების მიზნით.

მდგრადი განვითარების მე-13 მიზანი, რომელიც კლიმატის ცვლილებას და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებას ეხება, ყველა დანარჩენ მიზანზე ზემოქმედებს, მრავალწახნაგოვან საკითხს წარმოადგენს და, შესაბამისად, მისი შესრულება უმნიშვნელოვანესია და მდგრადი განვითარების სხვა დანარჩენი მიზნების შესრულების წინაპირობას წარმოადგენს.

გარდა ამისა, მიზანი N13 და მიზანი N 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა - აღიარებს მდგრადი განვითარებისათვის განათლების მნიშვნელობას და განათლების როლს კლიმატის ცვლილებაზე რეაგირების ძალისხმევაში.

მე-13 მიზნის ამოცანა 13.3 კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილების, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის, მისი ზემოქმედების შემცირებისა და ადრეული გაფრთხილების შესახებ განათლების, ცნობადობისა და მასთან დაკავშირებული ადამიანისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესებას გულისხმობს.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ერთობლივი ძალისხმევა - უფრო ძლიერი საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების საშუალებით, უფრო მეტი ფინანსური რესურსებით და მწვანე ტექნოლოგიების მხარდაჭერით - მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებების ზეგავლენის შესამცირებლად, კლიმატის ცვლილებებზე რეაგირება იწყება თითოეულ ჩვენგანიდან, იმით თუ როგორ ვაზროვნებთ და ვმოქმედებთ, ჩვენი დამოკიდებულებებით და ქცევებით.

მთელ მსოფლიოში, განათლება მდგრადი განვითარებისათვის კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების ქვაკუთხედს წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე, რომ ყველა ჩვენგანს საკუთარი წვლილი შეუძლია შეიტანოს გლობალური გამოწვევების მოგვარებაში, განათლება მდგრადი განვითარებისათვის ხელს უწყობს იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამყარებას, რომლებიც გვჭირდება ჯანმრთელი, სამართლიანი, ეკოლოგიურად მდგრადი საზოგადოების შენებისათვის.

ამრიგად, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ განათლება კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ცოდნის, უნარების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების დაუფლების შემდეგ, რაც ცვლილებების აუცილებელი ორიენტირებია, ადამიანებს შეეძლებათ გაიგონ კლიმატის კრიზისის შედეგები და იპოვონ გადაწყვეტილებები მის დასაძლევად.

საერთაშორისო საზოგადოება ერთმნიშვნელოვნად აღიარებს განათლებისა და პროფესიული განვითარების არსებით როლს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში. გაეროს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ, პარიზის შეთანხმება და მოქმედება კლიმატის შესახებ განათლების გაძლიერებისათვის მოუწოდებს

სახელმწიფოთა მთავრობებს ჩამოაყალიბონ პოლიტიკა და მიიღონ ზომები კლიმატის დასაცავად განათლების, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა დაინტერესებული მხარის და ძირითადი ჯგუფის გაძლიერებითა და ჩართულობით.
განათლების ჭრილში, კლიმატის ცვლილებას, ისევე როგორც მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერი საკითხს, ორი მხარე გააჩნია: 1. საკითხის შესახებ ინფორმაციის მიღება და მის არსში გარკვევა და 2. მისი გადაჭრის გზების ძიება.
კლიმატის თვალსაზრისით შექმნილი საგანგებო ვითარების გამო, საგანმანათლებლო სისტემების მუშაობის ტრადიციული გზები და ტემპი აღარ არის დამაკმაყოფილებელი. ამჯერად, განათლების მისია შედარებით მოკლე დროში საზოგადოების მასშტაბური ტრანსფორმაციის ხელშეწყობაა.
მსოფლიოში საგანმანათლებლო დაწესებულებები - ბაღები,სკოლები, კოლეჯები, პროფესიული სასწავლებლები და, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტები, სულ უფრო მეტად აცნობიერებენ თავიანთ პასუხისმგებლობას მოამზადონ სტუდენტები და საზოგადოება, რათა მათ აქტიური წვლილი შეიტანონ კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციაში.
კვლევამ აჩვენა, რომ მაღალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების საშუალო სკოლების მოსწავლეთა მხოლოდ 16% რომ იღებდეს კლიმატის ცვლილების შესახებ განათლებას, – 2050 წლისთვის შევძლებდით ნახშირბადის გამოყოფის თითქმის 19 მილიარდი ტონით შემცირებას.
კლიმატის ცვლილებაზე განათლების პროგრამების გაძლიერება სასარგებლო იქნებოდა სხვა მიმართულებითაც. ეკონომიკისა და კლიმატის გლობალური კომისიის მონაცემებით თუ ქვეყნები 2018-2030 წლებში კლიმატის ცვლილების შესამცირებლად გაბედულ ნაბიჯებს გადადგამდნენ 2030 წლისთვის შეძლებდნენ 65 მილიონზე მეტი ისეთი სამუშაო ადგილის შექმნას, რომლებიც ნახშირბადის დაბალ გამოყოფას უზრუნველყოფდნენ და გლობალურ ეკონომიკას დამატებით 26 ტრილიონ აშშ დოლარს მოუტანდნენ.
საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გათვლით 2016-2030 წლებში შესაძლებელია დაახლოებით 23 ტრილიონი აშშ დოლარის ოდენობის კლიმატგონივრული ინვესტირების მოზიდვა ეროვნული კლიმატის ცვლილების ძალისხმევის ფარგლებში.
სწორედ ამიტომ, განათლება კლიმატის ცვლილებაზე რეაგირების ფუნდამენტური ხელსაწყოა, თუმცა მისი შესაძლებლობები ჯერ კიდევ არ არის საკმარისად გამოყენებული. არადა სწორედ განათლებას აკისრია უმნიშვნელოვანესი როლი იმ პროფესიონალების მოსამზადებლად, რომლებიც აღნიშნული სარგებლის მიღებაში დაგვეხმარებიან.
იუნესკოს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხული მოსახლეობის დაახლოებით 2/3-მა მსოფლიოს ნომერ პირველ გამოწვევად სწორედ კლიმატის ცვლილება და ბიომრავალფეროვნების დაზიანება დაასახელა, ხოლო განათლება – ამ გამოწვევებზე რეაგირების საშუალებად. ასევე, ანგარიშის თანახმად, საგანმანათლებლო პოლიტიკის და სასწავლო პროგრამების ნახევარზე მეტი არ ითვალისწინებს დაწყებითი და საშუალო განათლების ეტაპებზე კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებას.
აღნიშნულ კვლევაზე დაფუძნებით აზიის განვითარების ბანკის განათლებისა და კლიმატის ცვლილების ექსპერტები შანტი ჯაგანათანი და არგია სინჰა როი, გვთავაზობს

რეკომენდაციებს, რომელთა საშუალებითაც განათლებას კლიმატის ცვლილებაზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლია.

რეკომენდაცია 1. სწავლება კლიმატის ცვლილების შესახებ ჩართული უნდა იყოს განათლების ყველა დონეზე – ფორმალური განათლების დაწესებულებებში, თემებსა და სამუშაო ადგილებზეც. ამასთან, საგანმანათლებლო სისტემები კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფების შესახებ საინფორმაციო მედეგობას უნდა ქმნიდნენ, მათი თავიდან აცილების მიზნით.

ადგილობრივი თემების კლიმატისა და ბუნებრივი კატასტროფების რისკების შესახებ ინფორმირებისა და მედეგობის ხელშეწყობაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ სკოლებსა და უნივერსიტეტებს. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ განათლება კლიმატის ცვლილების პოლიტიკის მთავარ კომპონენტად იქნეს აღიარფებული, ხოლო აღნიშნული პოლიტიკა მოიცავს სახელმწიფოს წვლილის განსაზღვრას და ეროვნული ადაპტაციის გეგმებს. ასეთი ინტეგრირებული მიდგომა მყარ საფუძველს ქმნის განათლების სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად, კლიმატის ცვლილებებზე რეაგირების გაფართოების მიზნით.

რეკომენდაცია 2. კლიმატის შესახებ განათლების მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მწვანე უნარების განვითარება. სწავლება და უნარების განვითარება უმნიშვნელოვანესია სამართლიან და მწვანე განვითარებაზე გადასვლისა და ეკონომიკის მდგრადობის წინსვლის მიმართულებით. ამისთავის აუცილებელია ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებისთვის. უმაღლესი განათლება და კვლევა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მედეგი და კლიმატის ცვლილებაზე რეაგირების უნარის მქონე ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე. „ევროპული მწვანე შეთანხმება“ და კორეის რესპუბლიკის „მწვანე შეთანხმება“ იმის საუკეთესო მაგალითებია, რომ ასეთი უნარების მქონე ადამიანების დიდი რაოდენობით მობილიზებაა საჭირო.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინვესტირება ისეთ უნარებში, რითაც ადამიანები შეძლებენ ემისიების რეგულირებას, განახლებად და სუფთა ენერგიაზე გადასვლას, ნარჩენების მართვას და მწვანე და მედეგი პროდუქტებისა და მომსახურებების განვითარებას.

რეკომენდაცია 3. უნდა მოხდეს ინვესტიციების გაზრდა მდგრადობისა და გაციფრულების დაახლოების მიზნით. ამჟამად მსოფლიოში მიმდინარე ციფრული ტრანსფორმაცია პერსპექტიული მიმართულებაა. გლობალური ციფრული სამშენებლო ინდუსტრიის ანუ იგივე „მშენებლობა 4.0-ის“ ბაზრის მოცულობა, რომელიც იყენებს ხელოვნურ ინტელექტს და სხვა ტექნოლოგიებს 2017 წელს დაფიქსირებული 10 მილიარდი აშშ დოლარიდან 2027 წლისთვის სავარაუდოდ 29 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზრდება. მაღალი დონის ციფრული უნარები ყველგან დიდი მოთხოვნით სარგებლობს, იქნება ეს ჭკვიანი ქსელები, ჭკვიანი ტრანსპორტი, ჭკვიანი ქალაქები, ციფრული სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო მომსახურებები თუ გიგ-ეკონომიკა.

რეკომენდაცია 4. აუცილებელია დისციპლინათაშორისი კლიმატის კვლევების გაძლიერება. დისციპლინათაშორისი განათლების გაძლიერება აუცილებელია.

კოლუმბიისა და სტენფორდის პრესტიჟულმა უნივერსიტეტებმა 2020 და 2021 წლებში კლიმატის სკოლები დააარსეს. კოლუმბიის უნივერსიტეტში ეს იყო პირველი ახლადდაარსებული სკოლა ბოლო 25 წლის განმავლობაში, ხოლო სტენფორდში – პირველი ახალი სკოლა ბოლო 70 წლის განმავლობაში, რაც ხაზს უსვამს კლიმატის კრიზისის დაძლევაში განათლების მნიშვნელობას. შემოთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამები მიმართულია მომავალი კლიმატის ლიდერების ჩამოყალიბებისა და ცოდნის გადაწყვეტილებების გენერირებისკენ. კლიმატური კვლევები განვითარებად ქვეყნებში ისეთი ფაკულტეტების თანამშრომლობით უნდა განვითარდეს როგორიცაა საინჟინრო საქმე, არქიტექტურა, სოფლის მეურნეობა, ხელოვნება, სოციალური მეცნიერებები, მმართველობა, სამართალი, საჯარო პოლიტიკა და კომუნიკაციები, რაც ხელს შეუწყობს საკითხისთვის აუცილებელი უნარების მქონე ადამიანების თავმოყრას. ასევე აუცილებელია პრობლემაზე დაფუძნებული და კონტექსტუალური მიდგომების გამოყენება.

აღნიშნული ოთხი გზა ხელს შეუწყობს მოქალაქეების ქცევის მოდელის შეცვლას უფრო მდგრადი განვითარებისკენ და პირდაპირი კავშირის დამყარებას კლიმატის კვლევის პროგრამებსა და მათ დადებით ზეგავლენას შორის კლიმატის ადაპტაციისა და შერბილების საქმეში.

სკოლებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ უმაღლესი განათლების პროვაიდერებმა მომავალი გარემოსდაცვითი ექსპერტებისა და აუდიტების, იურსიტებისა და კორპორატიული მენეჯერების, ინჟინრების, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მიმართულების პროფესიონალების, ასევე პოლიტიკის შემქმნელების და, რაც მთავარია, ფართო საზოგადოების განათლებაში კლიმატის ცვლილების შესარბილებლად და ადაპტაციის მიზნით.

უნივერსიტეტებში კლიმატის ცვლილება ჰოლისტიკური მიდგომით უნდა ისწავლებოდეს.

განათლების ასეთი კონცეფცია ერთდროულად მოიცავს:

- ✓ კვლევას;
- ✓ დაბალი ნახშირბადის ოპერაციულ პრაქტიკას;
- ✓ საზოგადოებასთან საგანმანათლებლო თანამშრომლობის ფორმებს;
- ✓ სასწავლო გეგმებს (სილაბუსებს) და პედაგოგიურ მიდგომებს.

მსოფლიოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო პროგრამების ანალიზი ადასტურებს, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში სასწავლო გეგმებსა და საგნების სილაბუსებში მოხდა გარკვეული ცვლილებები და სხვადასხვა დოზით მათში ჩაშენებულია საკითხები გარემოს დაცვის, მდგრადი განვითარების, მწვანე ენერეგეტიკის, მწვანე ეკონომიკის და, რა თქმა უნდა, კლიმატის ცვლილებების და ბუნებრივი კატასტროფების რისკების შესახებაც.

კლიმატის ცვლილების მიზნების შესრულებისთვის აუცილებელია განათლება გახდეს პრიორიტეტი. კლიმატის ცვლილების შესახებ განათლება ახლა უფრო მნიშვნელოვანია,

ვიდრე ოდესმე: კლიმატის ცვლილების მიზეზებისა და შედეგების გაგება არის პირველი ნაბიჯი აზროვნების შეცვლაში, მისი ზემოქმედების შეზღუდვის ახალი გზების დადგენისა და მის გარდაუვალ ეფექტებთან ადაპტაციაში. მაღალი ხარისხის სასწავლო მასალებით, ინოვაციური მეთოდებით და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ქსელით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა შეიქმნას ისეთი პირობები რომ მოხდეს გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური საკითხებისა და მიდგომების ტრანსფორმაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

I. მაია ბლიაძე, მდგრადი განვითარების მიზნები - https://eu.edu.ge/sites/default/files/2022;

II. მაია ბლიაძე, თეონა შუბლაძე და სხვ. კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი საფრთხეების შემცირება - https://elibrary.mepa.gov.ge/Ge/Library/Details/6009

III. მაია ბლიაძე, მაია ზიბზიბაძე, კლიმატის ცვლილება - https://el.ge/articles/537961

IV. კლიმატის ცვლილება: ზემოქმედება და ადაპტაცია - https://www.undp.org/ka/georgia/publications/%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%96%E1%83%94%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90

V. კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება -http://weg.ge/sites/default/files/climate_change_and_sustainable_development.pdf

VI. შანტი ჯაგანათანი, არგია სინჰა როი, განათლების ოთხი გზა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით https://blogs.adb.org/ka/four-ways-education-can-fight-climate-change

VII. https://www.developmenteducationreview.com/issue/issue-6/education-and-sustainable-development;

VIII. https://www.un.org/en/climatechange/climate-solutions/education-key-addressing-climate-change

IX. https://www.plymouth.ac.uk/students-and-family/sustainability/sustainability-education/esd;

X. https://www.unesco.org/en/climate-change/education

XI. http://european.ge/oqsimoronis-politikuri-anatomia/;

XII. https://en.unesco.org/themes/education-sustainable-development

Climate change and education

Maia Bliadze[1] Shorena Tkemaladze[2]

[1]Doctor of Geography, Professor of European University; Expert/consultant of the National Center for Professional Development of Teachers. maiabliadze13@gmail.com bliadze.maia@eu.edu.ge
[2]Academic Doctor of Education, Kutaisi Academy Guest lecturer of Tsereteli State University shtkemaladze007@gmail.com

Abstract
All over the world, education is a cornerstone for sustainable development in dealing with climate change. Because all of us can contribute to solving global challenges, education for sustainable development helps strengthen the knowledge, skills and values we need to build a healthy, just, environmentally sustainable society. Education is key to addressing climate change and the problems it causes, and plays a critical role in achieving climate change mitigation.
Education is the most powerful tool for raising public awareness of climate change. Mainstreaming climate education changes thinking and behavior about climate change – not only among students, but also among their parents, communities and governments. It also helps prepare society to be adaptive, resilient and prepared for the risks and stresses of climate change.

Key words: climate change, education for sustainable development, global problem.

ბრიტანული თუ ამერიკული ინგლისური

მეგი მანდარია
თბილისის თავისუფალი აკადემიის აფილირებული პროფესორი

აბსტრაქტი
ამერიკული ინგლისური და ბრიტანული ინგლისური არის ინგლისური ენის ორი ვარიანტი, რომლებსაც აქვთ მრავალი მსგავსება, მაგრამ ასევე აქვთ რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება. ეს განსხვავებები ჩანს მართლწერაში, გამოთქმაში, გრამატიკაში, ლექსიკაში და გარკვეული სიტყვების გამოყენების ხერხშიც კი.

საკვანძო სიტყვები: ამერიკული ინგლისური, ბრიტანული ინგლისური, ლექსიკა, მართლწერა, წარმოთქმა

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ინგლისურის მრავალი სხვა სახეობებიც, მაგრამ ამერიკული და ბრიტანული ინგლისური არის ის ორი სახეობა, რომლებიც ძირითადად ისწავლება ESL/EFL პროგრამებში. ზოგადად შეთანხმდნენ, რომ არცერთი ვერსია არ არის „სწორი“, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვიყენებთ იმ ვარიანტს რომელსაც უპირატესობას ვანიჭებთ.

ენის ორივე სახეობა, ბრიტანული თუ ამერიკული 93-96 % ით გავს ერთმანეთს თუმცა მაინც უნდა აღინიშნოს ის ძირითადი განსხვავებები რომელიც მათ შორის არსებობს. ერთ - ერთი ყველაზე შესამჩნევი განსხვავება ამერიკულ და ბრიტანულ ინგლისურს შორის არის მართლწერა. მიუხედავად იმისა, რომ მართლწერის ძირითადი წესები ორივე ვარიანტში ერთნაირია, არსებობს რამდენიმე სიტყვა, რომლებიც განსხვავებულად იწერება. მაგალითად, სიტყვები, როგორიცაა “ფერი” და “ცენტრი” იწერება -or და -er შესაბამისად ამერიკულ ინგლისურში, მაგრამ -our და -re ბრიტანულ ინგლისურში, როგორც “colour” და “centre”.
კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება არის გამოთქმა ეგრეთ წოდებული Pronounce. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ენის ძირითადი ბგერები ორივე ვარიანტში ერთნაირია, გარკვეული სიტყვების გამოთქმაში არის გარკვეული დახვეწილი განსხვავებები. მაგალითად, “r” ბგერა უფრო გამოხატულია ამერიკულ ინგლისურში, ხოლო ბრიტანულ ინგლისურში “r” ხმა ხშირად იშლება სიტყვებში, როგორიცაა “car” და “hard”. ასევე არსებობს გარკვეული განსხვავებები გრამატიკაში. მაგალითად, ბრიტანულ ინგლისურში, კოლექტიური არსებითი სახელები (როგორიცაა “გუნდი” ან “ოჯახი”) ხშირად განიხილება როგორც მხოლობითი, ხოლო ამერიკულ ინგლისურში ისინი უფრო ხშირად განიხილება როგორც მრავლობითი. ასევე არსებობს განსხვავებები ზმნის გამოყენებაში, როგორიცაა აწმყო სრულყოფილი დროის გამოყენება, რომელიც უფრო ხშირია ბრიტანულ ინგლისურში, ვიდრე ამერიკულ ინგლისურში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის არის ლექსიკა. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ენის ძირითადი ლექსიკა დიდწილად ერთნაირია ორივე ვარიანტში, არსებობს მრავალი სიტყვა, რომელიც განსხვავებულად გამოიყენება ან განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ბრიტანულ ინგლისურში

„ბისკვიტი“ აღნიშნავს ნამცხვარს, ხოლო ამერიკულ ინგლისურში პურის სახეობას. ანალოგიურად, ბრიტანულ ინგლისურში „ჩიფსები“ ნიშნავს იმას, რასაც ამერიკელები უწოდებდნენ „ფრანგულ ფრის“, ხოლო ამერიკულ ინგლისურში „ჩიფსები“ ნიშნავს იმას, რასაც ბრიტანელები უწოდებდნენ „crisps“. იდევ ერთი სფერო, სადაც ორი ვარიანტი განსხვავდება, არის გაზომვა. ბრიტანულ ინგლისურში დისტანცია იზომება მილებით, ხოლო ამერიკულ ინგლისურში კი კილომეტრებით. ანალოგიურად, ბრიტანულ ინგლისურში წონა იზომება ქვებში და ფუნტებში, ხოლო ამერიკულ ინგლისურში ისინი იზომება ფუნტებში. თარიღების ჩაწერის ფორმატი ასევე განსხვავდება ამერიკულ და ბრიტანულ ინგლისურს შორის. ამერიკულ ინგლისურში თვე მოდის დღეზე ადრე (მაგ. 4/28/2023), ხოლო ბრიტანულ ინგლისურში დღე მოდის თვემდე (მაგ. 28/4/2023).

ბრიტანული vs ამერიკული ინგლისური - სადაც ისწავლება თითოეული ვარიაცია

რუკა გვიჩვენებს, თუ ინგლისური ენის რომელი ვერსია ისწავლება ყველაზე ხშირად სკოლებში - ბრიტანული თუ ამერიკული. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანები რეალურად საუბრობენ იმ ვერსიაზე, რომელსაც სკოლაში სწავლობენ, ეს არის მხოლოდ ის, რასაც ასწავლიან.

მაგალითად, კანადა ჩამოთვლილია, როგორც ბრიტანული ინგლისურის შემსწავლელი, რაც ნაწილობრივ მართალია. კანადაში მართლწერა მიდრეკილია ბრიტანულ კონვერტაციებს, მაგ. ფერი, ცენტრი და ა.შ.

თუმცა, კანადური გამოთქმა და ლექსიკა ბევრად უფრო ახლოს არის ამერიკულთან, ვიდრე ბრიტანულთან. უფრო მეტიც, კანადურ ინგლისურს ასევე აქვს საკუთარი ლექსიკა ისეთი სიტყვებით, როგორიცაა: Tuque, Two-four, Pencil crayon, loonie/toonie და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Lakoff G,. Espenson J,. Goldberg A. Master Metaphor and Thought, 2nd edition (Ed. By A.Ortony. Cambridge University press, 1994);
2. Barlow and Kemmer 2002, “Introduction”;
3. Darragh, G. A guide to the differences between American English and British English; A to Zed, A to Zee. Editorial Stanley, 2000;
4. Davies, C. A Common Language: A Guide to British and American English; Collins Reference; 2007;
5. American English or Britain English; Macmillan dictionary, 2000;
6. The UK to USA Dictionary; British English vs. American English; Solitaire Publishing Inc. 2014;
7. Oxford Advanced American Dictionary; Oxford, 2018;
8. Lodge D. Small World London: Penguin Books, 1992.

British or American English

Maggie Mandaria
Affiliated professor of Free Academy of Tbilisi

Abstract
American English and British English are two variants of the English language that share many similarities, but also have some important differences. These differences can be seen in spelling, pronunciation, grammar, vocabulary, and even in the way certain words are used..
Key words: American English, British English, vocabulary, spelling, pronunciation.

ილია ჭავჭავაძე - „ახალი ენა“

ისაკო მეფარიშვილი
თბილისის თავისუფალი აკადემიის პროფესორი, imeparishvili@freeacademy.edu.ge

აბსტრაქტი

ილია ჭავჭავაძის მიერ განხორციელებული ენის რეფორმას არა ერთი ცნობილი მკვლევარი ეხება. ჩვენ შევეცდებით მოკლედ წარმოვაჩინოთ „ახალი ენის“ საჭიროების აუცილებლობა და მოვიხმოთ ილია ჭავჭავაძისა და როსტომ ჩხეიძის პოზიციები.

ილია ჭავჭავაძისათვის ეროვნების არსებითი ნიშანი ენა არის, რომელიც არ ემორჩილება არავითარ კანონებს, გარდა თავად ენაში არსებული კანონებისა. ენის მთავარი საზრისი სახელმწიფოს მსახურებაა, რაც ერის კულტურასა და ისტორიაზეა დაფუძნებული.

ილია ჭავჭავაძე ენის საკითხთან დაკავშირებით გრიგოლ ხანძთელისკენ იხრება, რადგან კარგად ესმის, რომ იოანე პეტრიწის ენა „მძიმეა“ და აკეთებს გასაოცარ სვლას - „ახალი ენა ძველ ენას არ ჰგავს“. სწორედ ამის საფუძველზე იწყებს ენის „გამარტივებას“, რაც დიდი ხანია ევროპელ ენებში მოხდა. რეფორმის წყალობით ხუთი ანბანი განიდევნა - 38-ის ნაცვლად 33.

როსტომ ჩხეიძემ ორიგინალურად შეაფასა ეს ვითარება: „სამოქალაქო ომი ენის რესპუბლიკის ტახტისთვის, იძულებით უნდა დაეთმო გრიგოლ ორბელიანს და გაბედულად უნდა გაეწვდინა ხელი მის მოსაპოვებლად ილია ჭავჭავაძეს“.

„ახალი ენა“ იმდენად არის ახალი, რომ მას უნდა შეეკრა ილიასეული პოსტელატი: მამული, ენა, სარწმუნეობა.

საკვანძო სიტყვები: ილია ჭავჭავაძე, საქართველო, ახალი ენა, ლიტერატურა.

ღმერთი გაიზრება ვითარცა „ხედვა და წვა“. ეს მისტიკური წარმოდგენა, მაღლდება ყოველგვარ განმარტებაზე, რადგან სიტყვას ლოგოსურ ბუნებას სძენს. ილია ჭავჭავაძე ამ კუთხით არის შესაცნობი, რადგან მისი მსახურება „ამა სოფელში“ ფიქრი ხვალინდელობაზე, „ზესთასოფლის“ საზრისი ღმერთამდე ამაღლების ეროვნული ხედვით და წვითაა გაჯერებული.

საამქვეყნო ღვაწლი ამაღლდა წმინდანობამდე. მისთვის არც დუშეთის მომრიგე მოსამართლეობა, არც სათავადაზნაურო ბანკის ხელმძღვანელობა, არც რიტორობა იმასთან შედარებით არაფერია, რასაც ეროვნული იდეალებისადმი თანგაწირვა ნიშნავს. არ მოერიდა არავისთან დაპირისპირებას, არც ახალგაზრდასთან და არც ძველგაზრდასთან. მეტადრე კი სოციალ-დემოკრატები, ცდილობდა აერიდებინა საქართველოსთვის მათგან მოსალოდნელი უბედურებანი, მაგრამ ამაოდ. წიწამურში გასროლილმა ტყვიამ ყოველივე დაასრულა... თერთმეტი წლის შემდეგ ისინი ხელისუფლების სათავეში მოდიან. ვერ შეაჩერა, რადგან მარტო აღმოჩნდა მათ წინაშე. რაოდენ მრავლისმომცველია ნიკო ნიკოლაძის სიტყვები: ყველას თავი ილია გვეგონა, მაგრამ როცა ცარიელი დარჩა

მისი ადგილი ილელობა ვერავინ შეძლო.

მამულის სვლას ქმედებები სჭირდებოდა და ეს ქმედება ქართული ენის რეფორმით დაიწყო.

ერის სულიერი პოტენციალის გამომხატველია მშობლიური ენა, რაც ილიამ ასე ჩამოაყლიბა:

1. ენა არსებითი ნიშანია ეროვნებისა.
2. ენა მარადგანვითარებადია: „ახალი ენა ძველ ენას არ ჰგავს“.
3. ენის კანონები თავად ენაშია: „ენის კანონს თვითონ ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკა“.
4. ენა ბუნებით განუყოფელია: „განზრახვაც ის არის, რომ ერთგვარი ენა შედგეს და არა მრვალშტოაინი“.
5. ენა მთლიანია და ენის სადავო საკითხია გადაწყვეტა ერთპიროვნულად დაუშვებელია: „სასურველია ქართული ენის მცოდნე პირთა შეკრება და სავალდებულო წესების დადგენა“.
6. ენა უნდა ეყრდობოდეს ცოცხალ მეტყველებას: „ხალხი ენის კანონის დამდები და არა ანბანთ-თეორეტიკა“.
7. ენის სიწმინდის დაცვაში უდიდესი მისია აკისრია მწერლობას: „ნიჭიერი მწერლები ამისთვის არის სასარგებლო ენისთვის, რომ თავის თხზულებებში ენის სიმდიდრე გამოაჩინონ“.
8. ძველი ქართული ენა ფესვია ახალი ქართულის: „ის ცოდნა ენისა და მწერლობისა, უმთავრესად ძველი მწერლობის საქმეა“.
9. საერთაშორისო სიტყვები უნდა მიღოს ქართულმა ენამ: „ისინი უთუოდ შემოგვეპარებიან, როგორც შემოგვეპარნენ: პოემა, პოეზია, კრიტიკა, სტატია, ლოგიკა...“
10. უნდა ვებრძოლოთ უცხო სიტყვების მომრავლების ენაში: „თუ მაგის თანასწორი სიტყვებია ენაში“.

ჩამოთვლილი დებულებებიც საკმარისია, თუ რას ნიშნავს ილიასათვის ქართული ენა. ენა ნაციონალურობასთან წილნაყარია, რომელიც ემსახურება უწინარესად სახელმწიფოს, რაც მის კულტურასა და ისტორიაზეა დაფუძნებული. ამიტომაც „მამათა“ და „შვილთა“ დაპირისპირება ყველაზე მეტად ენასთან მიმართებაში გამოიხატა. მწერალი თავგამოდებით იცავს ქართულ ენას პუბლიცისტურ წერილებში: „კატკოვის პასუხად“, „ბატონ ივანოვსკის წერილის გამო“, „აი ისტორია“, „ქვათა ღაღადი“ და ა.შ.

ილია ჭავჭავაძემდე ქართულ ენას რეფორმა არ შეხებია. ანტონ კათალიკოზის გრამატიკის საფუძველზე იქმნებოდა ახალი რედაქციები, რომლებიც არაფრით განსხვავდებოდა წინარეთაგან. თითქმის სამის სტილის თეორია ყველგან დაცულია, რაზეც მიანიშნებს ბესარიონ ჯორბენაძე, რომ უპირატესობა ენიჭება სასულიერო თხზულების ენას, კერძოდ იონა პეტრიწის სტილს.

იოანე პეტრიწის აზრით, „ღრამატიკა“ ცივილიზაციური ფუნქციის მატარებელია. ამდაგვარ ხედვას მიჰყვება ანტონ კათალიკოზიც. ეს გზა სავალი - პეტრიწიდან ანტონამდე

და XIX საუკუნის 1-ლ ნახევრამდე დაკანონებულია. ამ ზეგავლენის ქვეშაა მოქცეული „მამების“ თაობა. მათთვის ამას საკრალური მნიშვნელობა აქვს.

გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ ამ კუთხით უფრო სხვა დატვირთვა აქვს, სადაც ქართული ენა საზღვრების მაუწყებელი და მამულის განმსაზღვრელი თვისებითაა მოცემული, რაც არ გამორიცხავს მის ეროვნული შინაარსით აღვსილობას: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართული ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

ილია ჭავჭავაძე გრიგოლ ხანძთელის ენისკენ მიემართება. „მძიმეა“ პეტრიწის ენა, რომელსაც სხვა აღქმა და სმენადობა სჭირდება. არადა, „მამებს“ არცთუ უსაფუძვლოდ მისთვის საკრალური მნიშვნელობა მიუნიჭებია. საკრალურობა კი ღვთაებრიობამდეა ამაღლებული. ეს წონიანი არგუმენტია. ამიტომ ენასთან ისე უნდა მიხვიდე, რომ იდუმალება არ დაამცრო. ამას არავინ გაპატიებს და მარცხიც გარდაუალი იქნება.

ილია ჭავჭავაძე გრძნობს ამას და აკეთებს გასაოცარ სვლას - „ახალი ენა ძველ ენას არ ჰგავს“, ენა მუდმივ განახლებადია და სიახლისკენ სწრაფვა ლოგოსურობის მაუწყებელი, რადგან ადამიანი ღმერთმა თავისუფლებით ხელდასვა და თავისუფლების საზრი სიახლეთა ძიებაშია. ამ აზრს „მამათა“ თაობასთან მიტანა უნდოდა, რაც დიდ ძალისხმევასთან იყო დაკავშირებული.

ენაში თავიდანვე ჩადებული ღვთაებრივი, საკრალური ბუნება ცვალებადობას არ ექვემდებარება. აქ საუბარია ენის „გამარტივებაზე“ და მაგალითისათვის მოიხმობდა ევროპას, სადაც ანბანისა და მართლწერის საკითხები ყველასათვის ადვილი გასაგები გახლდათ. მისი აზრით, „ჲ-ი“, „ჳ-ვი“, „ᲬᲔ-იე“, „ᲭᲔ-ᲭᲝᲘ“, „ᲯᲔ-ᲮᲔ“ გამოთქმებში ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან. შესაძლოა, ადრე იყო, მაგრამ თანადროულობაში გათანაბრდნენ და მხოლოდ დიალექტებშია შემორჩენილი და ისიც არა სრულად: დედაჲ, მამაჲ (ქართლი) მოჯკალ (ხვსურეთი) და ა.შ. გამოწვევა დიდი იყო, ერთბაშად ხუთი ანბანის ამოღება. მრისხანებამაც არ დაახანა: „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“...

ილია ჭავჭავაძის რეფორმის წყალობით ხუთივე ანბანი განიდევნა და უკვე „ცისკრის ფურცლებზე“ აღმოჩნდა ახალი მართლწერის ნიმუშები. „მამათა“ თაობა ასე ადვილად არ დათმობდა თავის პოზიციას, რომ არა იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც „დედაენა“ ახალი მართლწერის ნორმის გათვალისწინებით დაბეჭდა. ეს უკვე გამარჯვება იყო - 38 ნაცვლად 33. როსტომ ჩხეიძემ ორიგინალურად შეაფასა ეს ვითარება: „სამოქალაქო ომი ენის რესპუბლიკის პრეზიდენტის ტახტისთვის, იძულებით უნდა დაეთმო ეს ტახტი გრიგოლ ორბელიანს და გაბედულად გაეწვდინა ხელი მის მოსაპოვებლად ილია ჭავჭავაძეს“ (რ. ჩხეიძე, „მუხა უდაბნოში“, გვ. 53. 2020).

ილია ჭავჭავაძისათვის 1801 და 1832 წლები აღიქმებოდა, როგორც ეროვნული, ესქატოლოგიური კატასტროფა. იგი გრძნობდა „წარსულზე დარდი“ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულებულიყო, საჭიროა „სხვა ვარსკვლავი“ და ეს „ახალი ენა“ იყო. „ძველი“ „ახლით“ უნდა ჩანაცვლებულიყო და ჩაენაცვლა კიდეც. გიორგი მაისურაძის დაკვირვებით, ძველისგან განსხვავებული საქართველოს შექმნა კოსმოგონიურ აქტს უტოლდება. სწორედ ეს არის „ხედვა და წვა“.

გავიდა დრო და XX საუკუნის 1-ელ ათწლეულში კონსტანტინე გამსახურდიამ

კვლავ წამოწია განდევნილი ხუთი ანბანის საკითხი. იგი საშიშროებას ხედავდა, რომ ენა შესაძლოა პროვინციალიზმის მოდუსში ჩავარდინილიყო. მისი ავტორიტეტის წყალობით „ჲ-ი“ კიდეც აღსდგა პრესის ფურცლებზე, მაგრამ მეტი შორს ვერ წავიდა, რადგან „დედაენას“, „ბუნების“ კარში მტკიცედ დამკვიდრებულიყო ანბანთა ახალი სახეობის რიგი.

გალაკტიონ ტაბიძე გამოეხმაურა ზემორე წამოწყებას, სტატიაც მზად ჰქონდა სათაურით: „ანბანი“ „ჲ“. მისი აზრით „ჲ“ არამართებულად იყო განდევნილი და მისი აღდგენის საჭიროებას ჩემულობდა. წერილი არ დაბეჭდილა, თუმცა 1925 წელს გამოსულ წიგნში „რევოლუციის პოეტებჲ“ აღადგინა. ორივე მიხვდა, რომ ილიას ქართული ენის რეფორმას დროისა და ისტორიის მოთხოვნილება იყო.

ილია ჭავჭავაძემ ყველაზე კარგად იცოდა ძველი ქართული ენის ხიბლი, რასაც ძველი ქართული მწერლობისადმი მისი დამოკიდებულებაც ადასტურებს. მარტოდ ის რად ღირს „ვეფხისტყაოსნის“ გამო ნიკო მარზე, რომ დაწერა: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყმა ნახო ავად ზრდილი“. მისი ეროვნულობა, პატრიოტიზმი ასკეტური ხასიათისა გახლდათ (ვ. ქიქოძე). ამ გზიდან მას არასოდეს გადაუხვევია. თუმცა ისიც უწყოდა, საზოგადოების უმრავლესობა წერა-კითხვის გარეშეა დარჩენილი, უცხოელებს უჭირდა ქართული ენის შესწავლა. რეალობა ენის რეფორმისკენ უბიძგებდა და ევროპელების მსგავსად ენის გამარტივებისაკენ აიღო მიმართულება.

განა ილიამ არ იცოდა, რომ ათონის სალიტერატურო სკოლა, გრიგოლ ხანძთელი, „ვეფხისტყაოსანი“, ოპიზართა ნახელავი სახარებით რომ სუნთქვადა? იცოდა! მითუმეტეს, თითქმის ყველა მისი თხზულება სახარებისეული სახისმეტყველებით არის გასააზრებელი. ახალმა რეალიებმა სხვა რამ მოიტანა - დაკარგული თავისუფლება, სამშობლო ენას უნდა ჩაენაცვლებინა და „ახალი ენით“ მომხდარიყო სრულიად საქართველოს გაერთიანება. ამა კი ენის გამარტივება სჭირდებოდა, რამეთუ პრესიდან თუ სამწერლობო გადასახედიდან ადვილი აღსაქმელი ყოფილიყო ერის სამერმისო ქმედებანი. ისე სიმარტივესაც ხომ თავისი „სირთულე“ აქვს. მაგალითისათვის, ადვილი აღსაქმელია „შესაქმე“ დღეების მიხედვით, მაგრამ ამავდროულად რაოდენ ღრმა ფიქრის აღმძვრელია! ამას „წვის“ გარეშე ვერ მიუახლოვდები, ილია „იწვოდა“...

როცა ყველაფერი დასრულებული გვეგონა, აკაკი შანიძე მოინდომებს შეჯვარებული ანბანით და შეჯვარებული შრიფტით წიგნის გამოცემას. ამას ოფიციოზმა მხარი არ დაუჭირა. არა იმიტომ, რომ ქართული ენის ბედი ადარდებდა, არამედ ანბანთა რიცხვი იზრდებოდა, რაც სამომავლო პრობლემებს ქმნიდა.

ქართული გრამატიკის საფუძვლების ავტორს რა ამოძრავებდა? ეს ხომ პირდაპირი თუ ირიბი გალაშქრებაა ილია წინააღმდეგ? პასუხი ცალსახაა - დიდ მეცნიერებს ახასიათებთ ჰიპოთეზების წამოყენება და შემდეგ მისივე უარყოფაც. აკაკი შანიძეს ჰქონდა ამის უფლება, მითუმეტეს შემდგომ ამ საკითხს აღარ დაბრუნებია.

ენა, ვითარცა მამულის მონაცვლე ეროვნული მთლიანობის კონცეფციაში თავის ადგილს იკავებს: მამული, ენა, სარწმუნოება. ენამ, ოღონდ „ახალმა ენამ“ უნდა შეკრას ეს პოსტულატი. როგორ ეხმიანება გიორგი მერჩულეს - „რომელსა შინა ქართული ენითა“. ასეთი თანხვედრა იმის მაუწყებელია, რომ ილია ჭავჭავაძის მეორე პიროვნული „მე“

გრიგოლ ხანძთელია. დიდია მათ შორის სულიერი და ეროვნული სიახლოვე. ორივე საერო ღვაწლით არის წმინდანად შერაცხული, ორივე ათავისუფლებს ქვეყანას მტერთაგან, ორივე წინასწარმეტყველის მადლითაა აღვსილი, ორივე რაღაც საიდუმლოს ატარებს, ზოგჯერ ვერ უგებენ მათ დუმილს, ორივეს სასიკვდილოდ გაიმეტებენ - ერთი გადარჩება, მეორე ვერა... ერთს „საწელიწადგო იადგარი“ შეესაბამება, მეორეს „ნუ მომკლავ, ბერიკაცი ვარ“ და მაინც მოკლეს.

ნიშანდობლივია, რომ ორივე მათგანს „კეთილი დროის“ დადგომა სურდა. დრო ხომ სიკეთეა, უდროობა სიკეთის ნაკლებობა. ორივესთან წუთისოფლის განმსზღვრელი „ენის“ რაობა არის, სადაც „ახალი ენის“ საზრისი ეროვნულ მსოფლგანცდამდეა აყვანილი.

გამოყენებული ლიტერატურა.

I. ჩხეიძე რ., „მუხა უდაბნოში“, თბ. 2020.

II. ჭავჭავაძე ი. თხზ. I ტ. თბ. 1987.

Ilia Chavchavadze – „New Language“

Isako Meparishvili
Professon of Free Academy of Tbilisi, imeparishvili@freeacademy.edu.ge

Abstract

Ilia Chavchavadze is outstanding Georgian progressive post, writer and general facient. His Art are still popular today. He is the author of number of excellent poems, stories which deal wirth human nature and psychology.

Ilia Chavchavadze enforced gredt reforms in the development of Georgian Language. In the poetry of Ilia Chavchavadze many words are motivated by their morphological structure.

Archaism in Linguistic and in Literature means old forms which has no using in speech. The artistically function of archaism is a) historical pastiche and b) artistically pastiche.

Ilia Chavchavadze hardly ever usend archaisms in his Language.

Keywords: Ilia Chavchavadze, Georgian, New Language, Literature.

„ქმნა მართლისა სამართლისა...“

ისაკო მეფარიშვილი[1] ელენე დოლაქიძე[2]

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის ასოცირებული პროცესორი, imeparishvili@freeacademy.edu.ge

[2]ქ. თბილისის N108 - ე საჯარო სკოლის XIა კლასის მოსწავლე, ikusiani@mail.ru

აბსტრაქტი

“ვეფხვისტყაოსნის” ერთ - ერთ ეპიზოდში მოთხრობილია ტარიელისა და თავისი , სატრფოს ნესტან დარეჯანის პაექრობა, სასოწარკვეთილი და იმედგაცრუებული ნესტანი, ტარიელს ემუქრება და წყევლის რადგან, ტარიელს ხმა არ ამოუღია როდესაც მისი სატრფოს საქმროდ ხვარაზმშაჰის ძეს იხმობნენ. ტარიელს კი სატრფოს ამგვარი შეურაცხმყოფელი სიტყვები თავის ათასჭირვარამგამოვლილ გულს, სევდით კიდევ უფრო ამძიმებს და მზადაა მისთვის ყველაფერზე წავიდეს ნესტანი მას, ხვარაზმის უფლისწულის მოკვლისკენ უბიძგებს:

“ , ასრე ქმენ ჩემი, ლომი და მჯობო ყოველთა გმირთაო, მოპარვით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო ’’ამ მკვლელობის გასამართლებლად ტარიელს ეუბნება: „ ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმალსა ნედლად’’

ამ ბრწყინვალე აფორიზმზე დაყრდნობით სამართლიანობით ხმელი ხმეც კი დამწიფებს.

საკვანძო სიტყვები: ვეფხისტყაოსნი, პოემა

„ვეფხისტყაოსნის“ მართალმა სამართალმა, რომელიც ხმელ ხესაც კი გაანედლებს თურმე, კარგა ხანია მკვლევართა ყურადღება მიიქცია. ასეთი სამართლის პრობლემა პოემაში ფარსადან მეფესა და ტარიელს შორის არის წარმოქმნილი. ფარსადანმა, სანამ ნესტანი ეყოლებოდა, ტარიელი იშვილა რადგან მისი გვარისა იყო, და სამეფო აღზრდისათვის საგანგებო პირებს ჩააბარა, თუმცა როცა ნესტანი დაიბადა და შვიდი წლის ასაკში მან თავისი უნარჩვევები გამოავლინა, ტარიელი სარადინს უკან დაუბრუნა. დადგა ნესტანის გათხოვების ჟამი, მეფემ მის საქმროდ და ქვეყნის პატრონად ხვარაზმშაჰის ძე მოიწვია. ტარიელმა ეს არ მოითმინა და ნესტანთან ერთად პრინციპულად დაუპირისპირდა მას. ამ კომფლიქტს კი, ბუნებრივია, ძალზე მძიმე შედეგები მოჰყვა. მართალი სამართლის დარღვევას ამ დაპირისპირებაში კი არა, ტარიელის მიერ ხვარაზმელი სასიძოს მკვლელობაში მოისაზრება. რუსთველოგიას დღეს ეს საკითხი სრულიად უდავოდ მიაჩნია, ამიტომ არაერთი ახალი ძიების საფუძვლადაც კი არის გამოყენებული.

ტექსტის სათანადო შესწავლისას კი, როგორც ირკვევა, უფრო სხვაგვარ დასკვნამდე მივყევართ, და ამაზე უნდა ითქვას უსათუოდ, რაკი ეს საკითხი ძალზე პრინციპული და როგორც ითქვა, არაერთი საკმაოდ შორის მიმავალი ძიების საფუძვლად არის უკვე მიჩნეული.

შევეცდები რაც შეიძლება ზუსტად მივყვე ტექსტის ჩვენებას და მხოლოდ მისგან გამომდინარე დასკვნებით ვიხელმძღვანელო. როცა ნესტანი დარწმუნდა, რომ ტარიელი არსებითად მხოლოდ დროის მოგებისა და სიტუაციაში კარგად გარკვევის მიზნით დაეთანხმა თურმე მეფეს მის გათხოვებაზე რეალურად კი, ხვარაზმელებს უპირებდა ამოწყვეტას. ამით ის დაუპირისპირდებოდა მეფეს და ამავდროულად უდანაშაულოთა

სისხლშიც გაეხვეოდა. ნესტანს კი არც ერთი სურდა და არც მეორე. ამიტომ უჩვეულოდ დაუტკბა მიჯნურს,და არწმუნა შექმნილ ვითარებაში უფრო თავშეკავებულად ემოქმე და:

მიბრძანა, თუ: „ხამს დიაცი, დიაცურად საქმედედლად, დიდსა სისხლსა ვერ ვიქმნები შუა კედლად, რა მოვიდეს, სიძე მოკალმისთა სპათა აუწყვედლად, ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“(540)

თუ ცასლკე განვიხილავთ ამ სტროფს, იგი თითქოს მართლაც იძლევა ისეთი დასკვნის საფუძველს, რაც რუსთველოგიას გაკეთებული აქვს კიდეც, მაგრამ როცა მომდევნო სტროფს გადავხედავთ ირკვევა, რომ ამავე მკვლელობას ნესტანი, ახლა უკვე სრულიად უდანაშაულო კაცის სისხლის ღვრად მიიჩნევს, ცხადია ეს უკვე ძალზედ საეჭვო ხდება.

„ასრე ქმენ, ჩემო ლომო და მჯობო ყოველთა გმირთაო, მიპარვით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთავო, მისთა სპა თა ცა ნუ დაჰხოც, ზროხათა, ვითა ვირთაო, დიადი სისხლი უბრალო კაცამანმცა ვით იტვირთაო?“(541)

ახლა რუსთველოგიაში ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, თითქოს ამ პერიოდში ნესტანი ყმაწვილურ თავნებობას არის მიცემული და ტარიელსაც ისე ათამაშებს, როგორც სურს, მაგრამ ამას არადასტურებს ტექსტი, რადგან როგორც ვიცით შვიდი წლის ასაკში ნესტანი უკვე მეფური ქცევითა და თავდაჭერით გამოირჩეოდა, ამიტომ ამ მოსაზრების გათვალისწინება დაუშვებელია.

ა. ბარამიძეს აქვს აღნიშნული, თავისი სათუთი ქცევით მართლაც როგორ დაამშვიდა ნესტანმა ტარიელი, მაგრამ რატომღაც ბოლომდე ვერ მიჰყვა ხასიათს და სხვა ნიშანთა მეშვეობით სცადა ეჩვენებინა, როგორ ამთლიანებს რუსთაველი ნესტანის სახეს.

ნესტანმა თავისი ქალური ტაქტით დააცხრო ტარიელი, მაგრამ იმავე ქალური ბუნების გამო ძალა არ ეყო მოთმინებით ედევნებინა თვალყური, როგორ მიიყვანდა ბოლომდე იმ გადაწყვეტილებას , ერთად რომ მიიღეს ხვარაძმელთა შესახებ, როგორ აღასრულებდა „სისხლის მოპარვას“. მან ტარიელი იხმო და კვლავ ღალატში

დაეჭვებულმა ჰკითხა: რასა სდგა? დღე მიგიჩნს წინ საომარე! ანუ გამწირე, მიტყუე და კვლაცა მოიმცთომარე?! (553.3) დამაბნეველია რატომ იქცევა ნესტანი ასე... რატომ გაიმეტა ხვარაზმელი სასიძო, თუკი იცოდა, რომ მისი მოკვლით უცოდველი კაცის სისხლი დაღვრებოდა? ეს ფრიად საყურადღებო კითხვაა და „ვეფხისტყაოსანში“ ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობით აიხსნება. ჩვენ მიჩვეულები ვართ ქალის განსაკუთრებით როლზე საუბარს „ვეხისტყაოსანში“ მიგვაჩნია, რომ იგი ამაღლებულია და ისეთი ბრწყინვალებით არის წარმოდგენილი პოემაში, რაც უმაგალითოა იმ ეპოქაში და არ გვინდა დავინახოთ, მამაკაცთან შედარებით მაინც უფრო ჩამოქვეითებული ადგილი რომ უკავია საზოგადოებაში.

არადა განა ამას არ მეტყველებს როსტევანის წუხილი, პოემის პირველივე სტრიქონებიდან რო მუქდება თანდათან:

“ეგე არ მიმძიმს, ვაზირო, ესეა, რომე მწყენია: სიბერე მახლავს, დავლიენ სიყმაწვილისა დღენია, კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩვენია,
რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია.(62)

“ერთაი მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა; ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, - ვარ

საწუთროსა თმობითა, ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა;
ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა".(63)
თინათინს თავისი სიბრძნისა და სხვა მრავალი სიკეთის გამო სვამდნენ მეფედ, მაგრამ ტახტზე მის ასვლას , მაინც უსიამოვნო განცდა სდევს. გავიხსენოთ როგორც ცდილობდნენ ვეზირები როსტევანის დარწმუნებას, რომ სწორად იქცეოდა:
"თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია" (39.1) და აქ სწორედ ეს „თუცაა" არსებითი! ცხადია, ასეთივეა ფარსადანის პოზიციაც, მან ნესტანი დასვა ტახტზე თუმცა მისთვის ისეთ ქმარს ეძებს, რომელიც სახელმწიფოს პატრონად, და ქვეყნის შემნახავად გამოდგებოდა. ცხადია, რომ პოემაში ქალისა და კაცის არა მარტო შესაძლებლობათა, უფლება შორისაც საკმაოდ დიდი ზღვარია გავლებული;მაგალითად, ფარსადანი ნესტანს ათხოვებს ისე, რომ არც ფიქრობს, ამის შესახებ რამე ჰკითხოს მას და განსაკუთრებთ საყურადღებოა, რომ ამის გამო რაღაც წყენა, პროტესტის გრძნობა ნესტანსაც არ უჩნდება გამოდის, რომ მამის ასეთი ნება მისთვის ბუნებრივია და თავადაც უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს მის სურვილს, გადაწყვეტილებას, რაც ასევე სრულიად უდავოდ მიაჩნია მას: სწორედ ამის გამო ეშინია მას ხვარაზმელი სასიძოს უვნებლად დარჩენისა:

«კვლა თუ სიძე შემოუშვა, მე შემირთოს, იყოს ასდენ"(538.1)

წუხს ის და ეს იმას ნიშნავს, რომ მამას ვერ დაუპირისპირდება, უარს ვერ შეჰკადრებს, თუკი იგი ამას მოითხოვს მისგან.
რაკი ასეთი იყო ქალის უფლება-მოვალეობა მაშინდელ საზოგადოებაში, ცხადია, ხვარაზმელის ცოლობისგან მას მხოლოდ დროული მოშორება იხსნიდა. სწორედ აი ეს არის მიზეზი, რამაც შეიწირა სასიძო და არა სხვა რამ, რაც აღნიშნულია რუსთველოგიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარამიძე, ა. 1945, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან;
2. ბარამიძე, ა. 1966, შოთა რუსთაველი და მისი პოემა;
3. კიკნაძე.ზ. 2001, ავთანდილის ანდერძი;
4. ზარიძე, ხ. -რუსთველოგია.

"To do true justice makes even a dry tree green"

Isako Meparishvili[1] Elena Dolakidze[2]

[1]Associate processor of Free Academy of Tbilisi, imeparishvili@freeacademy.edu.ge

[2]Str. Tbilisi. 11th grade student of Public School N108, ikusiani@mail.ru

Abstract:

There is an accepted opinion in Rustvelology as though the aphorism: "To do true justice makes even a dry tree green" (540, 4) was introduced in the text by Rustaveli for the relief of Tariel's crime of killing the innocent bridegroom from Khwarazm.

The analysis of the text reveals that the legal controversy in the poem takes place between King Parsadan and Tariel; this aphorism is a kind of a logical and figurative emphasis of this entire episode.

As for the bridegroom from Khwarazm, he became a victim of woman's social position of those times; Nestan was afraid that she could not resist her father's demand to marry the bridegroom from Khwarazm; therefore she asked Tariel to kill him.

ქართული რენესანსის პრობლემა საქართველოში

ისაკო მეფარიშვილი[1] მარიამ ლილუაშვილი[2]

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის ასოცირებული პროფესორი, imeparishvili@freeacademy.edu.ge

[2]ქ. თბილისის N108 - ე საჯარო სკოლის XIბ კლასის მოსწავლე, liluashvili.mariami23@gmail.com

აბსტრაქტი

რენესანსი არის ეპოქა აღორძინებისა, გამოღვიძების და ახლის სწრაფვისა. აღნიშნული ეპოქა მე-14, მე-16 საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო იტალიაში და მოგვიანებით გავრცელდა მთელ ევროპაში. ამ ეპოქისთვის დამახასიათებელია ხელოვნების მომცველ ელემენტთა ერთობლიობა, ნეოპლატონიზმი, არისტოტელეს იდეალიზმი და რაც მთავარია ღმერთის აღქმის თავისებური შეხედულება. რენესანსის წარმოშობის საკითხი ჯერ კიდევ საკამათოა ქართველ მეცნიერ რუსველოლოგთათვის. დაკვირვებებისა და კვლევების საფუძველზე მე-19 საუკუნეში წამოიჭრა საკითხი, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა რენესანსის წარმომავლობა. ეს ყოველივე კი დაკავშირებულია ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში შოთა რუსთაველის ნაშრომთან. „ვეფხისტყაოსანი“ და შოთას ძირითადი შეხედულებანი, რაც მის მსოფლმხედველობას მოიცავდა აერთიანებს რენესანსის ძირითად კრიტერიუმებს.

რუსთაველის ეპოქა, დრო, გმირები და გადმოცემები უკავშირდება ამ საოცარი აღქმის კულტურულ ხედვას, წარმოშობს მას და ქმნის იმ იდეალს, რომელსაც იქამდე მივყვართ, როცა ჯერ კიდევ არავინ იცოდა მისი არსებობის შესახებ. ივანე ჯავახიშვილის კვლევები გვიდასტურებს რენესანსის ეპოქის ძირითადი მახასიათებლის არსებობას „ვეფხისტყაოსანსა“ და თავად რუსთაველში. მოსე გოგიბერიძე კი გარკვეულ არგუმენტებს იშველიებს კვლევის საგანის აღმოფხვრისა და უკეთ ჩაღრმავებისთვის.

საკვანძო სიტყვები: რენესანსი, აღორძინება, ქართული.

რენესანსი მსოფლიო განვითარების კულტურა და აღორძინების უდიდესი საფეხურია. რენესანსი არის ეპოქა, სადაც მის მიმდევართა გარკვეული პრიორიტეტების საფუძველზე წამოჭრილი თეოლოგიები დღესაც დიდი აქტუალობით სარგებლობს და ხელოვნების მთლიან დარგს აერთიანებს. მის გარდატეხაში გამოვლინდა სამყაროს

თეოცენტრისტული გაგება, რომელიც შეცვალა ანთროპოცენტრისტულმა გაგებამ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეს იყო_ სამყაროსა და რენესანსული ეპოქის მთავარი აღმოჩენა. რენესანსი, როგორც ტერმინი, პირველად 1550 წელს გამოიყენა ჯორჯო ვაზირმა თავის ნაშრომში_ „ყველაზე ცნობილ მხატვართა, მოქანდაკეთა და ხუროთმოძღვართა ცხოვრების აღწერა.“ მოგვიანებით, მე-19 საუკუნეში ეს ტერმინი კვლავ გამოჩნდა სამეცნიერო მიმოქცევაში, ის გამოიყენა გერმანელმა მკვლევრმა ბურკჰარდტმა და თავის 1860 წლის ნაშრომში გამოაქვეყნა, სადაც ნათლადაა წარმოჩენილი რენესანსი, რომელსაც_“სამყაროსა და ადამიანის აღმოჩენა“ უწოდა.

ის ძირითადი ერთეულები, თეორიები და არსებული საკითხები, რაც უშუალოდ რენესანსისეპოქისთვისარისდამახასიათებელიგანხილულიქნაჯერკიდევმე-12საუკუნის

საქართველოში. ეპოქაში, სადაც რუსთაველი ამომავალი მზის სხივი და კაცობრიობის სულდგმული აღმოჩნდა. „ვეფხისტყაოსანი“ აერთიანებს დაჯგუფებათა მიხედვით კონკრეტულ საკითხებს, რასაც რენესანსის, ნეოპლატონიზმის და არისტოტელესეულ გაგებამდე მივყვავართ. ყოველივე ეს კი მე-19 საუკუნეში ივანე ჯავახიშვილმა წამოჭრა, მისი ამ დაკვირვებების და თეორიების საფუძვლები ნიმუშად იქცა ქართველ მეცნიერ რუსთველოლოგთათვის. რენესანსის ქართული გაგებითი საკითხი ამ თემის პრობლემად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ხოლო მე-19 საუკუნე კი მის ძირითად მამოძრავებელ ძალად. აქედან გამომდინარე, შესაძლოა არ ვთქვათ, რომ რენესანსი ნამდვილად მე-12 საუკუნის საქართველოში ჩაისახა, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი პირველი ელემენტები აქედან იწყება, თვით პოეტის უნებურად. ჩემი აზრით ეს ერთგვარი ხედვის საგანი არ უნდა იყოს, აქ წამოჭრილი უნდა იყოს ის საკითხიც თუ როგორ მოხვდა ეს ელემენტთა ერთობლიობა „ვეფხისტყაოსანში?“ როგორ შეძლო რუსთაველმა ამ ისედაც საოცარი სახოტბო პოემის ირგვლივ მოეთავსებინა არისტოტელე და ნეოპლატონიზმი? ან თუნდაც როგორ მოხდა ამ ელემენტთა გატანა და იტალიური კულტურისთვის მიწერა მე-14_მე-16 საუკუნეებში? ჩემი აზრით ეს კითხვები კვლავ პასუხგაუცემელია. ე.ი ის პრობლემა, რაც მე-19 საუკუნეში წამოჭრა ჯავახიშვილმა დღესაც კვლევის და პრობლემის საგანს წარმოადგენს მეცნიერთათვის.

„ვეფხისტყაოსანში“ აღწერილია არამარტო მეგობრობა და სიყვარული, არამედ საფილოსოფიო ხედვაც სამყაროსადმი. ჯავახიშვილმა ეს განიხილა, როგორც ფართო კონტექსტის საგანი და დასაველთ ევროპის, მოწინავე ქრისტიანთა ერების ფონზე გადაიტანა ის საერთო თემა, როდესაც ქართველმა ხალხმა აზროვნების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია და ცხოვლისმყოფელ ელინიზმს დაეწაფა. ასევე ამ ეპოქისთვის დამახასიათებელი და ახალ მიმდინარეობად ჩამოყალიბებული დარგი_ ქართული ორიგინალური საფილოსოფიო მწერლობა გახლდათ. პეტრიწი ნეოპლატონური ფილოსოფიის მოძღვრების აღმსარებელი იყო. მაშინდელ საქართველოში კი ამ დროს საფილოსოფიო ნეოპლატონური მწერლობაც გაჩნდა. ქართველ მეცნიერთა შესწავლისა და გატაცების საგნად კვლავ ის საფილოსოფიო საკითხები რჩებოდა, რაც ამავდროულად მოწინავე ქრისტიანი ერების ინტერესის სფეროს წარმოადგენდა. თუმცა, ქართველებს ამ მხრივ მაინც დიდი უპირატესობა გააჩნდათ, რადგან ისინი სხვებზე ადრე, მაგ: ევროპიელებზე უფრო ადრე ეწაფებოდნენ ხოლმე საფილოსოფიო აზრის ყოველ უახლეს მიმართულებას. ამასთანავე თავიანთი წინარე ცოდნის განმტკიცებისა და ამ ყოველივეზე დაყრდნობით აქტიურად იყენებდნენ ბერძნულ დედნებს, მათი გამოყენებით ამყარებდნენ თავიანთ ნაყოფიერ მუშაობას. აქედან გამომდინარე ქართული საფილოსოფიო მწერლობა არ მოიცავს მხოლოდ მეცნიერთა გარკვეულ მიმართულებებს ან ყოვლისმომცველ საკითხებს, იგი აღჭურვილია ბერძნული კულტურული ელემენტთა ერთობლიობით და მისი ზოგადი მახასიათებლით, რადგანაც სწორედ ბერძნული დედნების საფუძველზე ხდებოდა ქართველ მეცნიერთა ნაშრომების გამყარება/განმტკიცება. სწორედ აქედან ქართველთა ცნობიერებაში შემოვიდა_ჰომეროსი და ოდისეია. აქედან გამომდინარე, ქართველმა ერმა ელინურ შემოქმედებათა ნიმუშები იგემა და დაეწაფა ცხოვლისმყოფელს ელინიზმს, ხოლო შემდგომში მისმა ღრმა შესწავლამ შეუქმნა საფუძველი დასავლეთ

ევროპაში რენესანსის წარმოშობას. საქართველოში ეს საკითხი მე-12 საუკუნიდან ჩნდება, თუმცა მონღოლთა შემოსევა მას 2
აფერხებს და ასრულებს. სწორედ ასეთი სახით არის წარმოდგენილი ივანე ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია. მისი ფორმულირება რამდენიმე ძირითად ნიშანს გამოყოფს ასახავს მის სიზუსტეს. მისი გადმოცემით, მოყვანილი ფაქტები- ინტერესი ნეოპლატონიზმისადაანტიკურობისმიმართ-რენესანსისზოგადკანონებსექვემდებარება, ხოლო ფაქტთა შორის კავშირი- ნეოპლატონიზმი-ანტიკურობა-რენესანსი-ასევე ისტორიული განვითარების ზოგადი კანონზომიერებით არის დადგენილი. ამ თეორიის საფუძველს ერთი ახსნა აქვს. თუ კი არსებობს დებულება იმის შესახებ, რომ, რაც უფრო მარტივია თეორია, მით უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ზემოთ მოყვანილი დებულება, ჯავახიშვილისა, ფაქტობრივად ქართული რენესანსის თეორიაა. თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო, აღნიშნულ თეორიათა საფუძვლები დროებით იქნა დაკარგული მთელი მე-20 საუკუნის ბოლომდე. მოგვიანებით კი იგი ისევ აღმოჩენილ და გაღვიძებული იქნა ქართველ მეცნიერ, ფილოლოგ და რუსთველოლოგ საზოგადოებათა ფენაში.

საქართველო მაინც იმ განსახილველ საგნად რჩება, რომ დასავლეთ ევროპის რენესანსის ისტორია აქედან იღებს სათავეს, თუმცა უნდა განიხილოს იმ ფაქტთა ერთობლიობაც, რომელიც გარკვეულ წილად ქმნის ამ ყოველივეს შეპირისპირებულ აღწერას. მილერ ბუნდიცკაია თავის ერთ-ერთ ნაშრომში ადასტურებს, რომ რუსთაველი იყო შუა საუკუნეების პირველი და ახალი ერის პირველი პოეტი. მაშინ, როცა დასავლეთ ევროპა შუასაუკუნოებრივი სიბნელით იყო მოცული, სასიცოცხლო ცენტრმა საქართველოში გადმოინაცვლა, რამაც ქართველი ხალხი ევროპული კაცობრიობის მოწინავე რაზმად აქცია. რუსთაველის ფილოსოფიური აზროვნება უკავშირდება ჰერაკლიტე პლატონს და ნეოპლატონიზმს. ამავე დროს ვეფხისტყაოსანი მიაჩნია ნაციონალურ ისტორიულ გმირულ ეპოსად, რომელიც აღწერს ბაგრატიონთა დინასტიის 3 ძირითად სურათს, მოღვაწეობის წლებთა გაცოცხლებას, სასიყვარულო დრამას და თამარის ცხოვრების მომენტებს. თვით რუსთაველი კი ბიზანტიური ქრისტიანობის წინააღმდეგ მებრძოლად ესახება მკითხველს.

რუსთაველის ეპოქის, „ვეფხისტყაოსნის“ და რენესანსის პრობლემის ძირითადი აღმოფხვრა ივანე ჯავახიშვილის შემდეგ მოსე გოგიბერიძეს უკავშირდება. მის სახელს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი „ვეფხისტყაოსნისა“ მაგ: ანალიზი ნესტან-დარეჯანის წერილისა, ქაჯეთის ციხიდან რომ მისწერა შეყვარებულს; რუსთაველის სიტყვა და სიბრძნე და სხვ... ამ ნაშრომებს დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა და სწორედ მათ ინტერპრეტაციაშია გადმოცემული ქართული რენესანსის პრობლემა, რასაც მოსე გოგიბერიძე მას უშუალოდ რუსთაველის ეპოქას აწერს და აჯერებს მყარ არგუმენტთა შერწმით. როგორც უკვე ვახსენე, რენესანსის საკითხი, მისი ძირითადი მახასიათებელი და მთლიანი კონტექსტი მოიცავს რუსთაველის შემოქმედებითობის ამსახველ ნაწილებს. რენესანსისთვის დამახასიათებელია, როგორც ხელოვნების შერწყმათა ერთობლიობა, ისე მსოფლმხედველობის გარკვეული საკითხები, რაც აერთიანებს გარემომცველ ფაქტორებს. მაგ: ვეფხისტყაოსანში მოცემულია ორი კოლიზია, ბედი/განგება და გონება. მათი

დაპირისპირება რეალურად უფრო დიდია, მაგრამ საბოლოოდ მაინც გონება იმარჯვებს. გონება, ბუნებასთან შეთანხმებული, ასრულებს განგების როლს, საერთოდ ყველა რთული სიტუაციის დროს გაშლილია გადაულახავი ურთიერთშეპირისპირებულ მხარეთა ურთიერთქმედება, როცა ადამიანმა თითქოს იცის როგორ დააღწიოს ამ ბურუსს თავი, მაგრამ არ გამოსდის. აქვე ვიტყვი, რომ აღნიშნულ მსოფლმხედველობაში პანთეიზმი იჩენს თავს და გვევლინება რუსთაველის მთავარ აღმქმელ ობიექტად. რუსთაველის ღმერთი მონოლითური არსებაა, მისთვის უცნობია_„სამპიროვანი ერთარსებანი“, ორად გაყოფილი ღმერთი და სხვ... მასში იყო გარკვეული რწმენა პანთეიზმის მხრივ, თუმცა იყო რაღაც გარემოებები, რაც აფერხებდა ქრისტიანული მხარის წარმოჩენას და მისი სხვა რაკურსით განხილვას. ამის მაგალითად მისი დამოკიდებულება შეგვიძლია მოვიყვანოთ: ასიოდე წლით ადრე ევროპის ცივილიზაციამდრ დიდი ქართველი გენიოსი ქმნის ადამიანურსა და ამქვეყნიურ მსოფლმხედველობას, მისი ნაშრომი არ შემოიფარგლება მხოლოდ სასიყვარულო ურთიერთობებით, არ შემოიფარგლება მეგობრობით, შემოიფარგლება მთლიანი მსოფლმხედველობით, გამოკლებით რელიგიისა. მის ცხოვრებაში განკითხვის მთავარ საგნად კვლავ რელიგია რჩებოდა. მისი კრიტიკა იმდენად ძლიერი იყო რელიგიისა და საქართველოში იმ დროინდელ არსებულ სამღვდელოთა მიმართ, რომ ცუდის თქმა უნდოდა, თუმცა არ შეიძლებოდა, კარგს კი განზრახ არ იტყოდა. სწორედ ამიტომ არ არის ასახული მის შემოქმედებაში ქრისტიანობა, ამიტომ არ არის მისი კრიტიკა, რადგან იცოდა ამას არ აპატიებდა იმდროინდელი ეკლესია, მათი დადგენილი წესები და კანონები. ამიტომ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ საგანძურის შექმნის დროს, მან უარი თქვა პლატონურ იდეალიზმზე, სიყვარულისა და მეგობრობის გაგებაში. ამ ყოველივეთი მისი მხრიდან დაკნინებულ იქნა მის შემოქმედებაში რელიგიისადმი ყოველგვარი დამოკიდებულება, დემაგოგია და წმინდანთა გადმოსახედით_“ცათა სასუფეველთა ადგილი.“ ამ ყოველივეს თავისი ახსნა ექნებოდა რუსთაველისათვის, რატომ იყო ასე განწყობილი უარყოფითად სასულიერო პირებთან მიმართებაში? რატომ იყო მისთვის რელიგია კრიტიკის საბაბი? როგორც ჩანს მე-12 საუკუნის საქართველოში გარკვეული პრობლემები და წინაპირობები არსებობდა, ან თუნდაც ქმედებები კანონიკურ ეკლესიათა მხრიდან, რაც ლატენტური ხასიათის მატარებელი იყო თამარ მეფისათვის. იქედან გამომდინარე, რომ კანონიკური ეკლესია არ აპატიებდა რუსთაველს ისეთ პანეგირიკს, რაც უშუალოდ ასახული იყო „ვეფხისტყაოსანში“ მითუმეტეს მიძღვნილი იყო თამარ მეფისადმი, ამის გათვალისწინებით რუსთაველმა თავის შემოქმედებაში მუსლიმური სახელმწიფოები გამოიყენა. თუმცა მისი ეს უდიდესი პოემა მაინც განკითხვის საგნად აქციეს და პოეტს არც აპატიეს მისი არსებობა.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუსთაველი უკომპრომისო მონოთეისტია. ის პირდაპირ ილაშქრებს ღმერთის ბუნების დანაწევრება-დაყოფის წინააღმდეგ. ღმერთი მისთვის არის „ერთ-არსება ერთისა“. იგი ნამდვილად სურათია მიწიერი თვითმპყრობელობისა. რუსთაველის ღმერთის ამგვარი აღქმა პირდაპირ მე-15 საუკუნის დასავლეთ ევროპის რენესანსის მსოფლმხედველობას უსწორდება და საშუალებას აძლევს მას კიდევ ერთხელ დავინახოთ, რომ მისი ელემენტების საწყისი რუსთაველიდან მოდის. ამგვარი ტენდენცია მგოსანის არაესთეტიკურ, არაჰარმონიულ მგრძნობელობას ბადებს, რაც თავის მხრივ

ახალ ტენდენციას უყრის სათავეს. თუ კი რენესანსის ეპოქამდე ღმერთი უბრალოდ „მამად“ წოდებული იყო, რენესანსის ეპოქაში მან უკვე გადმოინაცვლა სხვაგვარი ხედვით და ღმერთს „უმაღლესი კოსმიური ძალა“ უწოდა. ეს რენესანსის აზრთა წყობაში ჩნდება ზოგადი საფილოსოფიო ჩანაწერებისა და ხალხის მსოფლმხედველობის აზრთა ინტერპრეტაციაში, ხოლო რუსთაველისეულ ამგვარ აღქმას თავად მეცნიერთათვის ბადებს ის აზრი, რომ რუსთაველი მართლაც უკომპრომისო მონოთეისტია. თუ კი რელიგია კონკრეტული პიროვნების ამ შემთხვევაში კი რუსთაველისეული აღქმით ღმერთის ინტერპრეტირებაა მისეულ აღქმასთან ან თუნდაც დემაგოგიასთან ამ შემთხვევაშიც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართული რენესანსულ ელემენტთა წყობა მე-12 საუკუნის საქართველოდან იღებს სათავეს და კვლავ დებატების სფეროში რჩება ქართველ ფილოლოგ-რუსთველოლოგთათვის. რელიგიის საკითხი ამგვარად არ სრულდება ვეფხისტყაოსანში, მას შოთასეული სხვა აღქმითი სისტემაც ახლავს თან_“ორმაგი ჭეშმარიტება“ მისი საფუძველი განპირობებულია რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებებით.ეს ყოველივე პოეტის პირად მსოფლმხედველობასთან აუცილებლად მოითხოვს იმ გარემოებების გათვალისწინებას, რომ გვიანდელ შუა საუკუნეებში დიდმა მოაზროვნეებმა ეჭვი შეიტანეს რელიგიური დოგმატიკის მთელ რიგ პუნქტებში და ამიტომ საუკუნეთა მანძილზე ეყრდნობოდნენ პოპულარულ მოძღვრებას_ „ორმაგი ჭეშმარიტების შესახებ, რაც ნიშნავს იმას, რომ სხვა არის რელიგიური ჭეშმარიტება და სხვა ფილოსოფიური ჭეშმარიტება. რუსთაველისეულ ამ აღქმას, ერთი შეხედვით შესაძლოა რენესანსთან კავშირი არ ჰქონდეს, თუმცა ამ გამოკვეთილ ჭეშმარიტებაში, რომელიც_ „სხვას“ მნიშვნელობითი განმარტებით არის წარმოდგენილი უკვე პირდაპირ რენესანსულ იდეალიზმს ქმნის, რაც ასახული იყო ადრეულ ეპოქაში მის მიმდევართა შემოქმედებაში. ნახატი ხელოვნებისა არის ზოგადი სახე მხატვრისა, პოემა შემოქმედებისა არის ზოგადი სახე მგოსნისა, ხოლო მათი გაერთიანებული ინტერპრეტირება და ლატენტური ურთიერთქმედება რენესანსის იდეალისტურ ხაზს ქმნის და წარმოაჩენს რუსთაველს, როგორც არაერთი ხედვით ჩამოყალიბებულ პიროვნებას. რუსთაველისთვის „ვეფხისტყაოსანი“ არ არის მხოლოდ პანეგირიკი თამარ მეფისადმი, არ არის მხოლოდ მეგობრობის აღწერა ტარიელისა და ავთანდილისადმი. ეს არის ტრფიალი მთლიანად მსოფლიოს შემოქმედთა ისტორიაში, ტრფიალი ხალხისა, არისტოკრატიისა, თვით დაკნინებული რელიგიისა და გზა ჭეშმარიტებისათვის.

მკვლევარი ელგუჯა ხინთიბიძე თავის ნაშრომებში საუბრობს რუსთაველის ზოგად რელიგიურ დამოკიდებულებებსა და ეთიკის შემცველ ნორმებზე, რასაც უშუალოდ რენესანსს უკავშირებს. მისი გადმოცემის მიხედვით, „ვეფხისტყაოსანში“ ასახული მდიდრული ელემენტები, ჩაცმულობა, არისტოკრატია, დახვეწილი მანერები, ბატონ-ყმობა, დამოკიდებულებები, ყველაფერი ერთად რენესანსულ აზროვნებას უახლოვდება. ასევე მასში იგრძნობა სხვაგვარი ელემენტებიც: სწორედ რენესანსის უშუალოდ წინა ეპოქა იყენებდა არისტოტელეს ქრისტიანული დოგმატიკის წინააღმდეგ, რასთან დაკავშირებითაც ავტორი სვამს კითხვას რა მიმართებაშია ვეფხისტყაოსანის ზნეობრივი მოქმედების ეს პრინციპები ეთიკური აზროვნების იმ მემკვიდრეობითობასთან, რომელიც რუსთაველის დროს არსებობდა? ამ შემთხვევაში და ასევე ფაქტებზე დაყრდნობით

მივდივართ შემდეგ დასკვნამდე_ რომ არსებობდა „ეთიკური აზროვნების ნაირსახეობა“, რომელიც განახლდა და აღდგა დასავლეთ ევროპის გვიანდელ შუასაუკუნოებრივ და რენესანსულ აზროვნებაში: არისტოტელეს აზრით, ადაიანი უმაღლეს სიკეთეს მიაღწევს არა რეალური სინამდვილისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლით, არამედ აქტიური მონაწილეობით და ჩართვით ამქვეყნიურ სინამდვილეში. იგი მიიჩნევს, რომ „ვეფხისტყაოსნის ზნეობრივ-მორალური მსოფლმხედველობა ზემოხსენებულ ეთიკურ აზროვნებას ენათესავება და შესაბამისად, არისტოტელეს ეთიკა არის ის ეთიკური სისტემა, რომელსაც ემყარება რუსთაველი 5 პოემის ძირითადუ ეთიკური პრობლემის გადაწყვეტაში. მე-11 მე-12 საუკუნეებში გავრცელებული იყო არაბული ფილოსოფია, რომელიც ასევე მოიცავდა არისტოტელესეულ ფილოსოფიას, მოიცავდა მის ძირითად ელემენტებს და აერთიანებდა ერთ მთლიან კონტექსტში, რასაც მოგვიანებით რენესანსული აზროვნების ფორმირება მოჰყვა. ხაზგასმით არის წარმოჩენილი ისიც, რომ ანტიკურობა ამ ყოველივეს თან სდევდა და მის განმსაზღვრელ ერთეულებს მოიცავდა. განმარტებულია, რომ ანტიკურობისადმი ინტერესი და მიბაძვა რენესანსის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. მე-12, მე-13 საუკუნეები ევროპული აზროვნების განვითარებაში უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რადგან ამ ეპოქათა მიჯნაზე შეირყა რელიგიური აზროვნების დედაბოძი. ქრისტიანული აზროვნება დაუპირისპირდა ფილოსოფიურ/რაციონალურ აზროვნებას. ეს გამოიკვეთა იმ შეხედულებების საფუძველზე, როცა არაბული სამყაროდან ქრისტიანობაში შეიჭრა გარკვეული სახის ელემენტები. მკვლევარი ხანთიბიძე აღნიშნავს, რომ არაბული ელემენტები, რომელიც შემოსულია ქართულ კულტურაში ოპოზიციურ მხარეს ქმნის და რენესანსის ეპოქის ყველაზე სპეციფიურ მხარედ მიიჩნევს. თუმცა რუსთველოლოგიურ ფილოსოფიაში დიდი ხანია შენიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არის ჰუმანისტური და რენესანსული, მაგრამ ეს გარემოებები არ არის ისე სათანადოდ შესწავლილი, სადაც გამოჩნდება, რომ რუსთაველი მე-12, მე-13 საუკუნეების პროგრესულ აზროვნებამდე მივიდა და რენესანსის ზოგად მნიშვნელობათა მახასიათებელს გაუტოლდა, ე.ი „რენესანსის აზროვნებამდე ამაღლდა.“

ევროპული რენესანსის საკითხი წამოჭრილია არისტოტელესთან, რამდენადაც მე-12, მე-14 საუკუნეებში, ქრისტიანული აზროვნების პირობებში, არისტოტელემ მოამზადა კაცობრიობა ახალი აზროვნების, რენესანსული აზროვნებისათვის და უშუალოდ მიიყვანა რენესანსულ აზროვნებამდე. სწორედ არისტოტელეს დამსახურებაა, რომ მან თავისი შემოქმედებებითა და ფილოსოფიით დაუდო საფუძველი ადამიანის რწმენებს, მეცნიერების კვლევა-ძიებებს, რათა გამოემჟღავნებინათ და შეესწავლათ სამყარო ხილული და ადამიანის ინტერესი ზეციური „სასუფევლიდან“ დედამიწაზე ჩამოტანით. რაც მთავარია სწორედ არისტოტელე გახდა მიზეზი ახალი ადამიანის მორალის ფორმირებისა. მან ასწავლა ადამიანს, რომ ადამიანი და ზოგადად საზოგადოება სამყაროს ცენტრია, რომ ბედნიერება ამქვეყნიურ ცხოვრებაში უნდა ეძიოს და ა.შ... რაც 5 შეეხება თვით რუსთაველს, მისთვის არისტოტელე ნამდვილი საფუძვლის წყაროა, რადგან „ვეფხისტყაოსანში“ ასახული მთელი რიგი ელემენტები არისტოტელესეულ გადმოსახედ წყაროს პრინციპს ემიჯნება „განუყრელად“ ის ეთიკის ფორმირებაც კი, რომელსაც რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს რენესანსული ეპოქისთვის. არისტოტელეც

სწორედ ამ კუთხით უპირისპირდება ქრისტიანულ-დოგმატიკურ აზროვნებას და ამ შემთხვევაში, მის პოზიციაზე დაყრდნობა რუსთაველის ეპოქაში გავრცელებულ ეთიკურ ნორმებსა და აზროვნებას უახლოვდება. ეს ყოველივე გვაძლევს იმის საფუძველს, რომ აღნიშნული საკითხი დავიყვანოთ ისევ რუსთაველისეულ გაგებად რენესანსის ელემენტთა უნებლიედ შერწყმაზე თავის შემოქმედებაში. ეთიკური ნორმები ყველაზე მისაღები და დახვეწილი ნაშრომების ერთობლიობას წარმოადგენდა ევროპაში. ყველა ის მჭიდრო ელემენტი, რომელიც ერთმანეთს ერწყმის და რენესანსულ კულტურას აღვივებს ასახულია „ვეფხისტყაოსანში“, შესაძლოა ტარიელის სამოსელიც კი, რომელიც ასე აბსტრაქტული და მიუვალია რენესანსული იყოს. ის ხომ მხოლოდ დახვეწილ ერთეულს არ მოიცავს? სწორედ იმით გამოირჩევა, რომ მდიდულ ელემენტებთან ერთად მისი განხილვის საგანს არაორდინალურობა წარმოადგენს. განსხვავებული ხედვა, განსხვავებული ორიენტაციები!... აქ მრავლის მომცველი საყოველთაო სიუჟეტი იმალება, რომელიც უპირისპირდება ხელოვნებას და ცდილობს იმ ბურუსთა ერთობლიობაში შეიყვანოს, რაც თავის მხრივ ახალი დარგის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

მე-20 საუკუნის რუსთველოლოგიისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ივანე ჯავახიშვილის მიერ ქართული რენესანსული პრობლემის წამოჭრა აღმოჩნდა. ეს ყოველივე, თავად მისი მეცნიერული დაკვირვებების საფუძველზე და გარკვეულ თეორიათა არსებობით წარმოჩნდა, რომელიც დროთა განმავლობაში უფრო ვრცელი სახით წარმოგვიდგინეს სხვა ფილოლოგ-რუსთველოლოგებმა. ამ თეორიაში 6 გადამწყვეტი როლი ფსევდოდიონისეს მიენიჭა. რენესანსული ჰუმანიზმი სწორედ მის ტრაქტატებს ემყარება. მან ადამიანის განღრმთოების იდეა წამოჭრა და ამით საფუძველი ჩაუყარა კაცობრიობის აღმავლობის პროცესს. მისი ამ ხედვით ანგელოზის შემდგომ ადამიანი იკავებს საყოველთაოდ მეორე ადგილს, თავად პიროვნება სულის და არა არსება ხორცის. რენესანსული ელემენტები აქაც იგრძნობა. მისთვის დამახასიათებელი აღმავლობა, სულიერი ჰარმონიულობა, აბსტრაქტულობაც კი სრულიად მისაღები და არაერთხაზოვანია. მკვლევარი ვახტანგ კარბელაშვილი ამგვარ სახეს თავისი კვლევების საფუძველზე იძლევა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დანტე არც ერთ თეოლოგს არ აქებს ისე, როგორც მას. ვეფხისტყაოსანში ორჯერ იხსენიება ფსევდო-დიონისე არეოპაგელი და მკვლევარი კარბელაშვილი ორივეჯერ საჭიროდ თვლის მათ კომენტირებას. თუმცა, თუ კი ამ გარემოებას სხვა კუთხით შევხედავთ , აღმოჩნდება, რომ მკვლევარის მეცნიერულმა ინტუიციამ სწორედ იმ მთავარს მიაგნო, რაც მისი კომენტარის გაკეთებიდან, თითქმის ორი საუკუნის შემდეგ ქართული რენესანსის კვლევას დაედო საფუძვლად. აღსანიშნავის ის ფაქტიც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ კონფლიქტის შესაკრავად მკვლევარი ვახტანგ კარბელაშვილი იყენებს მოყმტივს, რომელსაც ოთხი საუკუნის შემდგომ დაეფუძნა მსოფლიოს პირველი ტრაგედია „ჰამლეტი“, კლავდიუსის მიერ მძინარე მეფის მოკვლა, ხოლო „მაკბეტში“ კი შექსპირის სიტყვების მიხედვით, ზედმიწევნითი გამეორება ხდება მძიმარე სტუმრის- მეფე დუნკანის მკვლელობის აღსრულებისა. აქ ორ ტრაგიკულად შემზარავ სიუჟეტებს აქვს გაერთიანება და იმ იდეალის შექმნა, რაც მოიაზრება ზოგადსაკაცობრიო ინტერესებსა და თვით ამ კრიტიკულ ხედვაში, რაც ერთფეროვნად მოიცავს რენესანსულ იგივეობას ცხოვრების ამქვეყნიური აღქმის მხრივ, სადაც

ხორციელება სულზე მაღლა დგას, ასევე აქ რუსთაველის მონოთეიზმიც შეგვიძლია მოვიაზროთ ამქვეყნიურ სამყაროსთან გაიგივებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

I. ბარამიძე, ალ (1985) ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან.
II. იმედაშვილი, გ (1968) „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ლიტერატურა.
III. კეკელიძე, კ (1948) „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი.“
IV. ლოსევი, ა (1988) „სიტყვა და ქართული ნეოპლატონიზმი.“
V. რუსთველოლოგია (2021) შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

The problem of the Georgian renaissance in Georgia

Isako Meparishvili[1] Mariam Liluashvili[2]

[1]Associate processor of Free Academy of Tbilisi, imeparishvili@freeacademy.edu.ge
[2]Str. Tbilisi. 11th grade student of Public School N108, ikusiani@mail.ru

Abstract

The Renaissance is an era of rebirth, awakening, and striving for the new. This era began in Italy at the turn of the 14th and 16th centuries and later spread throughout Europe... This era is characterized by a combination of art elements, Neoplatonism, Aristotelian idealism, and most importantly, a peculiar view of the perception of God. The question of the origin of the Renaissance is still controversial among Georgian Rustvelologist scientists. Based on observations and studies, a question arose in the 19th century that questioned the origins of the Renaissance. All this is related to the work of Shota Rustaveli in the 12th century. “Vepkhistkaosani” and the main views of Shota, which encompassed his worldview, combine the main criteria of the Renaissance.

Rustaveli’s era, time, heroes, and narratives are connected to the cultural vision of this amazing perception, give rise to it and create the ideal that we love until no one knows about its existence yet. Ivane Javakhishvili’s research confirms the existence of the main characteristic of the Renaissance era in “Vepkhistkaosan” and Rustaveli itself. Moses Gogiberidze provides certain arguments for the elimination of the subject of research and better deepening.

Key words: Renaissance, Revival, Georgian.